



ანტონ ფურცელაიძე

146
—
ფ-გ-მ


(ავტორის სურათით)

3-97

გამოცემელი

რ. ჩარკვიანისა დ მ. ამარაძისაგან

ფურც. 146
ხურ.



თ ბ ი ლ ი ს ი

სტ. გრ. ჩარკვიანისა | ტიპოგრაფი ურ. ჩარკვიანი
1897

Дозволено цензурою въ Тифлисѣ, 7-Сентября 1896 года.

ჩემს მეგობარს.

თუ რომ დაიწყო მცონარეობა,
მამა-პაპურად ან ღვინოს გაჰყევ;
თუ მოისურვო უღარდელობა
და ჩვენს პირობას მუხთლათ გადუდგე,
მაშინ შენ, ძმაო, ნუ მომიგონებ,
ნუ იტყვი ჩემსა მეგობრობასა,
ჩემსა სახელსა ნულარ ახსენებ:
ვერ ჰპოვებ ჩემში თანაგრძნობასა.
და, თუ ქვეყნისთვის სწირავდე თავსა
და დასდგომოდე სიმართლის გზასა,
მაშინ-კი, მაშინ არ დაძვირწყო,
ბახსოვდეს, რომა, სადაც-კი ვიყო,
შენთან მექნება მღელვარე გული, —
და, თუ შენს გზაზედ ვერ დავალ იმ წამს,
ამ გზასა მე, თავგამეტებული,
აღეს არის თუ ხვალ, თვით შევესწირავ თავს.

1858 წ. ღვინობისთვის.

პ ა ს უ ხ ი .

რა გინდა სულო, რისთვის მიშფოთავ,
 რისთვის ხარ ეგრე მრისხნად მღელავი?
 რას ექებ? რა გწადს? რისათვის დრტვინავ?
 რათა ხარ აგრე მოუსვენავი?

ნუ თუ გწყლავს შენა კაცთ ურიგობა,
 გამწარებს მათი უსამართლობა?

ღაუდგრომლობა მათი გარისხებს

ღა ჯოჯოხეთის ცეცხლსა აღგიგზნებს?

მაშ, თუ აგრეა, ადინთე გული,

ბაუდექ ბრძოლად ბოროტებასა,

ნუ შედრკები, რომ გამძლავრებული,

შეგმართავს მახვილს, გიწყებს დევნასა.

ნუ შეძრწუნდები მით, რომ უშვერი

ხალხი დაგიწყებს ჩაქვავებასა,

რომ მეგობარი, რომ გულის სატრფოც

მიგცემენ წყევლა შეჩვენებასა.

რათ გინდა სატრფო ან მეგობარი,

თუ რომ ისინიც სხვას სწოვენ ტვინსა?

უნდა მომავლის ბედნიერება

ბაგამხნევებდეს, ბრძოლად გასულსა...

თუ, მორეული მტრის მახვილითა,

იღო: მტრის ფეხქვეშ, მიწას გართხული,

მხნედ დასდევ თავი: ამ სიკვდილითა

ბახდები მართალთ გზათ სანათური.

ვეფხისტყაოსნის მამაცაშვილს

როს მე ფიქრითა, მართლ მსჯელითა, გავსცქერი ძველს დროს,
 როს წარმოვიდგენ ჩვენთ წინაპართ მწარე დღეებსა,
 როდეს შევადრი მათსა დროსა ამა დროს მყუდროს,
 როდესაც ვჩხრეკავ და ავწონავ მათს საქმეებსა,
 მაშინ მკმუნვარე ამას ვამბობ: „ვთა ჩვენი ბრალი!,
 ღღეს ჩვენი საქმე რა რიგ არის ჩვენგან წამხდარი!...“
 აწ, რა ვუმზერი, ველარა ვსცნობ დღევანდელს ხალხსა:
 აღარაუერით არა ჰგვანან მამა-პაპასა.
 ბაუტეხრობა, ქვეყნისათვის თავის გაწირვა,
 მტრისა პასუხი, აღრევის ჟამს არ დაცემანი,
 სახლში მხნეობა, მოკლილის დროს სწავლის შეწირვა,
 მამულის ტრფობა, საეროთა წარმართებანი, —
 მათი აღარ გეკირს ამ თაობას, ყურმიგდებულსა
 და საქვეყნოთა საქმეთათვის მიძინებულსა.
 თვითაც აღარ ვიცით, ვინა ვართ და ვის ვემსგავსებით:
 აღარც ქართველი, აღარც რუსი, აღარც თათარი!
 თავით ბოლომდის ამოშლილი ძველი დავთრებით,
 ჩვენ აღარ ვიცით მომავალი ჩვენი რა არი.
 ჯადოქრის ეტლით, ვერა ვხედავთ გარეშე ხალხსა,
 ვით წინ მიჰფრინვენ, ჩვენ-კი მივალთ უკუღმა კვალსა.
 ჩვენი ერობა დაცემულა, ნაცვლად აღდგენის,
 მნა ქართული, ჩვენი მზრდელი, აღარ იმართვის
 სიყვარულითა ძველთა მხნეთ და მეცადინეთა.
 მისსა გარყვნასა შევსცქერივართ ჩვენ გულგრილათა,
 თითქო ამ ენით არ ემოძღვროს წმინდა ნინასა,
 ამა ენით არ ემუსიკნოს შოთას მუზასა,
 ამა ენით არ დაეწეროს თვის ძლევის ხმალზედ
 აღმაშენებელს კანონები მუსლიმთა ხალხზედ:
 თითქო ამ ენით არ წასწერა თვის ძლევის შესხმა

ხალიფთ დროშაზედ ცის მნათობმა თამარ მეფემა!...
 ხდება მამული, და ქვეყანა ხელით გვეცლება.
 და განა ვსცილობთ ვიქონიოთ მის შემეცნება?!...
 დღეს, როდესაცა დრო ხელს კვიწყობს, გვაქვს მოცალეობა,
 მტრისა მახვილი, შემართული არ გვემუქრება,
 როს სხვა განსაცდელს უარრესსა უნდა ველოდეთ,
 თუ დროს შესაფერს საქმეს ხელი ჩვენ არ მოვიკიდეთ, --
 მძიმე მთქნარებით, გულზედან ხელ დაკრებილები,
 ვითა ყენის ზარმაცები, ქანც მიხდილები,
 ვით ჰარემს ფაშა, ტკბილ ზმანებით გატაცებული,
 მძიმე საფენზედ განცხრომითა წამოწოლილი,
 ხელს ყალიონი უქერია მოკიდებული,
 ბვერდს ოდალიკი, თვალეშია ცეცხლ ანთებული,
 მთელი ქვეყანა ამა დროს აქვს დავიწყებული,
 მთლათ მის არსება მშვენებას აქვს დატყვევებული,
 და ამას იქით არას ჰვიქრობს, თუნდა ქვეყანა,
 უყოს პირი და სულ მთლად შთანთქას დედამიწამა,
 ჩვენცა დაგვიხშავს კრუ ზმანების ღრმა მორევშია
 ჩვენი ფიქრები, ჩვენი ცნობა, ჩვენი აზრები,
 და ვერა ვხედავთ, უდარდელსა განცხრომაშია,
 რა უფსკრულისკენ დაშვებულან დღეს ჩვენი გზები.

10 ივნისი 1861 წ.

ბ ა ნ ს ჯ ა

(მიბაძვა ებრაულისა)

როს მოვა მკვდრეთით აღდგომის
 ღლე იგი უკანასკნელი,
 სულ მთლად სამყარო აღიძვრის,
 სინათლეს შთანთქავს ღრმა ბნელი.
 ასტებს ცა ქექა-ქუხილსა;
 ღაიწყებს მიწა გრგვინვასა;
 ხშირნი პლანეტნი, შეძრულნი
 იწყებენ ელვა ტრიალსა;
 მოსწყდება მზისა ნათელი,
 მთვარე დაჰკარგავს სხივებსა,
 ჩამოსცივნიან ვარსკვლავნი,
 მისცემენ სამყაროს ცეცხლსა;
 აღელდებიან მთლათ ზღვანი,
 იწყებენ შფოთვა გრიალსა,
 მღელვარე ზვირთნი ზღვათანი
 ბადემატებიან მთასა;
 მთანი და კლდენი, აღძრულნი,
 ერთმანერთს ეჯახებიან,
 ღა ესე საზარებანი
 ერთ ხმათა შეზავდებიან:
 ბრგვინვა, დგრიალი, ზიზინი,
 საზაროთ გამოისმიან; —
 მების ხმას მოსცემს ცის სივრცე
 უსამძღვრო და ცარიელი
 ღა მთლად მოედოს სამყაროს
 ხმა ესე გასაგმირალი...
 ნალარა მკვდრეთით აღდგომის

ზაისმის ცისა დასთაგან,
 ზულსა განჰგმირავს ყოველს კაცს,
 მოისმის დრტყინვა მკედართაგან,
 და ვინც გცეულან მიწათა,
 ანუ მხეცთაგან შთანთქმულან,
 შეიმოსვიან ხორცითა,
 როგორც ოდესჲე ყოფილან.

მაშინ საშინელს სამსჯავროს
 წარსდგეს ყოველი ძრწოლითა,
 და გოდებითა ჰნანობდეს
 თვისთ დანაშაულთ ბოროტთა;
 ცოდვილი თავს ველარ სცნობდეს,
 ჰქონდეს სინანულთ წადილი,
 ნუგეშს ველარა ჰპოვებდეს,
 თმასა იხოკდეს კოდილი:
 ცასა შესთხოვდეს სიმშვიდეს,
 აცთ შესტიროდეს შენდობას,
 სწყველიდეს მშობლისა მუცელს,
 სტიროდეს თვისსა გაჩენას...!
 შოვლ-რიგი არეულება
 იყვეს კაცთ შორის ამ დროსა, —
 ძმა ძმას ვერ სცნობდეს, მოსისხლეთ,
 მკვლელად ჰხედავდეს და დასა;
 ღედა ვერ სცნობდეს თვის ძეთა,
 მამა და შვილი ერთმანერთს,
 სატრფო მიჯნურნი — მიჯნურთა, —
 შეველა თვის ყოფას სტიროდეს.
 ამ დროს ძე ღვთისა, მოსილი
 ნათელით ზეგანთ ზენითა,
 სიწმინდით გაბრწყინვებული
 მოსილი ძლიერებითა

მშვიდათ მოვიდეს სამჯაეროს,
 აწესოს წესი კაცთ შორის
 და ყოველსავე მოსთხოვოს
 რიცხვი მადლის და ბოროტის.
 აქ ყოველმავე ცოდვილმა
 ცრემლით წარმოსთქვას ცოდვანი,
 და მაცხოვარმა, სულ გრძელმა,
 უტევოს მათი ცდომანი...
 თვის მშობელ აღმზდელ მამულის
 მართალთა სისხლის დამღვრელო,
 ბამღვენო ყოვლის კეთილის!...
 შენ გტანჯდეს მართალთა სისხლი,
 ბწვავდეს სინილისთ ნითქმანი,
 ბღვენიდეს მწარეთ სირცხვილი
 და მოძმეთ შენთა წყევლანი.
 საბრალთ შენაძრწუნები,
 დაჰთარავ შენთა ცოდვათა.
 მაგრამ ძე ღვთისა აღვირაცხს
 ჟოველთა შენთა საქმეთა.
 მაშინ შენ, შიშით, სულ მდაბლათ,
 უწყებ მაცხოვარს ვედრებას,
 რომ მოგიტევოს ცოდვანი,
 და მისცეს ეს დავიწყებას.
 ძე ღვთისა გეტყვის: „ცოდვათა
 მე ვერ შეგინდობ, მანამდის
 არ შეიჯერებ შენთ მსხვერპლთა,
 მაშინ ჩემგანაც შეგენდვის...“
 მაგრამ ყოველ მხრივ წყევლა და
 მოგესმის ყოვლგნით ძახილი:
 „ცეცხლი და ნავთი მაგასა,
 „და წამებისა მახვილი!..“

შოველი ტკბილად ჰხარობდეს
ნეტარებითის შვეებითა,
მხოლოდ შენ ყველგან გღევნიდეს
სისხლი და წყველა მოძმეთა.

1861 წ.

პ რ ო ზ რ ე ს ს ი

(ბარბიელგან)

რას გემსახურებენ აბა ჩვენ ისტორიის მაგალითნი,
 ღროთა ცვლილება, გამოცდა, საუკუნეთ მოძღვრებანი,
 რას მტარვალობა, მუხთლობა, დაუნდობლობა ხელახლად
 უზომოდ მამადგან შვილში გადადის კვალად და კვალად!?
 ჰოი უგუნურნო! დაძვრმალნო! შეკრულნო კრუ ზმანებითა!
 ღიდი ხანია, რაცა ჩვენ, გავსილთა ნეტარებითა,
 წინწილითა და ნალარით თავისუფლება ვლადადეთ
 მართობ ქვეყნისა პირზედა და ყოველს სულსა ვახარეთ?!
 აღტაცებითა გვისმენდნენ ჩვენ ლოცვით ყოველნი ერნი,
 ძმობის, ერთობის, მშვიდობის ნეტარებითა მლოდნელნი.
 მალიარებდით, საესენი წმინდითა სასოვებითა,
 სისხლის ღმერთს, ტრფობის ღმერთადა, მასზედან გულ რწმუნე-
 ბითა,
 და არ ვფიქრობდით მაშინა, რომ იგი ღმერთი თვისთ მსხვერპლთა
 ძვალად მწყურვალე, ჩვეული მოგვთხოვდა ერთი-ორათა.
 შევცქერდით ცასა უღრუბლიოს, მოსილსა წმინდა ჰაერით,
 ლაქვარდოვანსა, მშვენიერს, სპეტაკს, მკობილსა ნათელით;
 და ამავე დროს ღრუბელი ჩვენს თავზედ შეზავდებოდა,
 მამსწავო ქარიშხალისა, თან-და-თან ძლიერდებოდა...
 მაშინ ჩვენ ახლად ვიხილეთ საქმენი უმღრთო, ძლიერნი,
 ღროთა მათ ძველთა დამძვრობნი, საზიზღარ შემარცხვენელნი:
 სიცრუე, ურცხვი ღალატი, უსაზღვრო თვით მპყრობელობა,
 წყურვალი აღმატებისა, კაცთა ძეთ დამანთქმელობა!
 ჩვენ შემდგომ კიდევ ვიხილეთ უფროარე საშინელება, —
 არ უჯერებდით ჩვენს თვალსა — გვაძრწუნებდა დაჯერება: —
 ვით კაცი კაცზედ კბილთ ღრქენით სისხლის მსმელად აღიქურე:
 და იწყოდენა მდინარებრ, სისხლმა უმანკოდ დაღვრილმა;

მიხილეთ, ვით გულთ დედათა, შიშისგან დაყინულებთა,
 შით მინას რასმეს უბრალოს ყუმბარა უწყალოდ ჰლენდა!
 ჩვენ განვიცადეთ მეღეტელნი, მზღვეარნი, ძღვეა მოსილნი,
 შიცის გამტეხნი, მშფოთარნი, ძღვეის გვირგვინით მკობილნი;
 შნახეთ მახვილნი, უწყალოდ გმირული ქალთა გულებში,
 ძუძუთა ბავშვნი, აღფხერილნი თვისთ დამწვართ დედათ ხელებში!
 შოვლორიგი საზარებანი დროთა განვლილთა, საზიზღართ
 აღგვიდგენ თვალწინ გვეჩვენენ უფრო მოსილნი საძაგლად,
 რად არ გვაშორის იმ იქვსა, რომ წარმატება სოფლისა
 წინ არ წასულა არ ოდეს არცა თუ ერთსა ნაბიჯსა!

1861 წ. 19 დეკემბერს.



(ბარბიედან).

არიან დღენი მძიჳენი, კაცს სული სტკივა, უწყებს ღრღნას,
 ტვინსა და დამწვარსა გულში აუშლის ნაღველსა და შხამს:
 შა არის ბნელი, გულსახეთქს ხმაზედა წუწუნებს ქარი,
 ზღვა ზვირთდება და მღელვარებს, შესაზარავათ მშფოთარი;
 თვით ღერო ხისა, როგორც მკვდრის ჩონჩხი გამხმარი, ტიტველი,
 თრთის, გამხმარსვე ტოტებით, მიწისკენ წამოზნექილი;
 ღა იქა, საცალასა შორს, სამარხი, გულისა ძწყვლელი
 ზარი ჰკვენეს, როგორათაც ხმა, სიკვდილის მომსწავებელი.
 აგერა მოაქვთ ვილაცა მკვდარი საკაცით, ძველითა,
 მკვდარსა მოსდევენ გლახაკნი, მოსთქვამენ მწარე ცრემლითა...
 შერ ჰნახავ სახეს ქუჩაში კმაყოფილს, ნათელს და მშვიდსა,
 სულ ყველას ადევს ბეჭედი ჰმუნვის და მწარე ტანჯვისა!...
 ღა, თუ შენ ამა საათში გსურს გაეცალო ამ ყოფას,
 რომ დაივიწყო ყველა ეს და ეძიებდე მშვიდობას, -
 შერ ჰპოვებ ვერსად აღაგსა, ვერ მოისვენებ ვერც წამსა!
 თუნდ დაეწაფო გულზედან შენს სატრფოს ნაზს და წმინდასა,
 სულით და გულით მიეცე ტრფიალთა ნეტარს აღებსა,
 შესტკერდე სიცოცხლით სავსეს სატრფოს მშვენიერს თვალებსა,
 იქაც, ამ ტკბილსა სამყოფსა, სად გესმის ძვერა გულისა,
 სად მხოლოდ გესმის აღერსით სულთქმაი სიყვარულისა, -
 რალაცა დუმილი სული იქვისა, შეჩვენებისა
 ღვარძლის ხარხარით დაგიბრთხობს ოცნებას ნეტარს და ტკბილსა,
 ღა საყვარელსა სახეში, სიცოცხლით, ჟინით სავსეში,
 მღვარებაში ნაზთ ღაწვთა, სავსეს ტრფობითა თვალებში,
 ბიჩვენებს გაცივებულს მკვდარს, სამარეში ნადებარსა
 ღა წარმოვიდგენს გამხმარს თავს დაშლილთ ძვალთაგან მკვდარისა.

ნაქრასოვიდამ.

როს შემომესმის ხოლმე ბრძოლის ხმა,
 შოველს მსხვერპლზედა ბრძოლის ველისა,
 მე არ მებრალოვას არც ცოლი, არც ძმა,
 არცა სიკვდილი თვითონ გმირისა,
 არც მახლობელი მის მეგობარი:
 ინუგეშებენ მალე ცოლიცა,
 ძმაც, ნათესაიც, მეგობარაცა,
 მათთვის გაჰქრება ვითა სოზმარი:
 მაგრამა არის საბრალო სული—
 მის კუბომდის სწყლავს გმირის სიკვდილი!
 ამა სოფლისა მუხთაღს მცნებაში,
 შოვლის სიკრუის მეუფებაში,
 მრთი შევნიშნე, მუხთაღთ კაცთ შორის,
 წმინდა კრემლები მწუხარის თვალის:
 ის კრემლი არის დამწვართ დედათა,
 არ აქვს საშველი მათთა სევდათა,
 არ უნელდებათ მათ აღი ცხელი
 იგი დარჩება მუდამ მათ მწველი!
 მერ ინუგეშვენ ვერაფრით შვილთა,
 სისხლის ბრძოლისა ველს დახოცვილთა,
 მით ვერ შეისხავს აღვა თვის შტოთა
 ძარიშხალისგან დაღეწილებთა.

17 ენკენისთვეს 1861 წ.

ს ი ა

მახსოვხარ შენა, საწყალო სიავ,
როს იყავ ბავშვი მამიშენის სახლს,
მახსოვხარ — დიახ კარგი რამ იყავ
და ქვეყანასაც უქადლი ბევრს კარგს.

სახლი შემკული, გამოწყობილი
ჭკონდათ შენს მშობლებს ყოვლის კეთილით,
თვალ-მარგალიტით, ოქროთ და ვერცხლით;
თვითონ შემკულნი სულის სიმდიდრით.

ჭონება, სარჩო აუარები,
ქვეყნის სამყოფი წლის მოსავალი,
მამული დიდი, თვალ გაუწდომი,
შიგ დიდი ციხე და გალავანი.

რაცა-კი კაცსა ამა სოფელში
დაამშვენებს და მისცემს შვებასა, —
შოველი ნიჭი შენთ მშობელთათვის
ბამოემეტნა უხვს ბუნებასა.

მათ მოწყალება და სიბრალული,
ვით უშრობი ზღვა გლახაუ სწვდებოდა;
შოველი სნეული, ბრმა და საპყარი
მუნ შეწყნარებას მოიპოვებდა.

ქრისტიანული კაცთ-მოყვარება
და მიტევება შეცოდებისა,
მრავალ ჯერ მტერსაც მოიყვანებდა
მოწყალებისთვის იმათს კარებას.

და შენ, დედისა-ერთასა შვილსა,
ბზრდიდნენ სიბთხილით, კეთილ-ზნეობით,
რომ სასარგებლოდ კაცთ ცხოვრებისა
დაგედვა დღენი შენნი სრულებით.

ღა შენშიც იმავ სიყრმითვე სჩანდა
 შხიზელი კკუა, მალხაზი ცნობა:
 აზრის სიმაღლე, გულ-კეთილობა
 შენ საბოლოოს დიდს გიქადებდა.

მაგრამ რით ახდა?!— შენნი მშობელნი
 შეიქმნენ მსხვერპლნი მტერთა დასტათა:
 სარჩო, ქონება შენი ყოველი
 ბაჰქრა წუთს მსისხართ ხელთა მტარვალთა.

ღა დარჩი ობლად, გაუკითხავი,
 ულუკმა პუროდ, მშიერ-მწყურვალი,
 ღა უბატრონო, ჯერ ნორჩი ბავშვი,
 ხელში დაგიპყრეს გონდანამშვრალი.

იმა დღიდანა, უბედურის დღისს,
 მოგცეს სამყოფად სახლი გარყვნილი,
 ღა ჯერ გონება-დაუმჯდარს ყრმასა
 ბავემეს გარყვნის გემოი ტკბილი.

ჰაცთა, რომელთა შენნი მშობელნი
 შესტკერდნენ, ვითა თვისსა კეთილსა,
 სხვებზედ მათ უფრო გამოგიმეტეს,
 ღა იმათ მიგცეს გზასა ცოდვილსა.

ბოლოს, როდესაც მოესწარ თავსა,
 შეგექნა მხედი, გამრჩევი ცნობა,—
 ღაუწყევ ბრძოლა ბოროტებასა,
 ღაუწყევ გამრყენელთ წყევა და გმობა.

მაგრამ ყოველ მხრივ მოშურნეები
 მაცდურებითა გიკრავდნენ გზასა;
 ღა ამ ბრძოლაში, ჯან მოწყვეტილი,
 ტანჯვითა მწარით მიჰხდი ცნობასა.

ამ გვარად მყოფსა გხედავ მე ეხლა,
 დასდიხარ მწარედ ტიტველ-შიშველი,

ძან-გადალლეკილს ქვეყანა გხედავს,
და არავინ გყავს შემბრალებელი.

შენსა ცნობასა, გრძნობითა ტანჯულს,
დასცინის ყველა გაუკითხავად,
შენს დანახვაზედ, გახარებული,
აგედევნება ხალხი ჯგუფ-ჯგუფად:

ზოგი გეძახის მასხარა სახელს,
სცდილობენ შენსა გაჯავრებასა,

ზოგნი გიყოფენ შორილამ ენებს,
და ზოგი გესვრის თავ-პირში ქვეს

საპამპულოთა და სამასხაროდ,
შენილობარ ახლა შენ ქვეყნისთვის

და ღარ ახსოვს დაბრმავებულს ხალხს,
რო შენ ხარ შვილი უბედობისა.

მაგრამა შენი გული მაღალი
სევე ჰღელავს დიდსულოვნებით,

და ხსევ, იმავ სიყრმის კეთილი,
ღრმად ზის შენს გულში მკვიდრად დანერგვით:

და როს დაცინვით უკან მოგდევენ,
შენ ყრუ ღიძილით უპასუხებ მათ,

და როს ხარხარით ქვას მოგარტყამენ —
მხოლოდ დაღრეჯით ამბობ შენთ ტანჯვათ.

მაინც უშვერს და უგრძნობსა ხალხში
შენი წამება არ აღვიძებს დარდს,
მხოლოდ თვით ამბობ შენთ ტანჯვათ ცრენლში,
და გულში იკლავ ნალევლსა და შხაძს.



Handwritten notes in a box on the left side of the page, including the number '146' and some illegible text.

1.

(ბაირონიდამ)

აღარ მაქვს ღონე, ვერ ვიკრებ ძალას!
 სად გავეცალო ამდენს გულის თქმას,
 ამდენს ცხარე ცრემლს, იღუმალს ტანჯვას
 და საშინელსა ჩემს უძლოურებას?

სიცოცხლის გზაზედ მარტოდ-მარტოსა
 დაჰქონდეს კაცსა თვის შეჩვენება,
 და იცოდეს მან, რომ მის ტანჯვასა
 არ მიეპყრობა არ ვის გონება!

ძაცს სული ჰქონდეს წრფელი და ჩილი, ..
 თანაზიარს სულს ვერა ჰპოვებდეს,
 დანსხვრეულს გულში ტანჯვა ღელვილი,
 დაცინვის ღიმიით ეხშოვებოდეს;

სთხოვდეს ქვეყანას სულის საზრდოსა,
 მძებდეს ტრფობას, მეგობრობასა,
 და, ვით გლახაკი, დღიურს ლუკმასა,
 უგრძნო ხალხს სთხოვდეს შეწყნარებასა!

ჰხედავდეს ყველგან შურით სხვის აღერსს,
 თვით ვერ ჰპოვებდეს მოაღერსესა,
 იქა ჰხედავდეს განკიცხვას მწარეს,
 სად ეძიებდეს ტრფიალებასა!

ბაულოს გული თვის მეგობართა,
 სალხინოთ თვისად მათ მიიწვევდეს,
 იქაც საზარო კვნესა წყევლითა
 მხოლოდ ცივს ჰაერს მიეპყრობოდეს!

სად შეკრებილან ძმანი და თვისნი,
 მიხვიდე მიგყვეს თან მწყვლელი ქირი,—

იქაც ვერ ჰნახო მათ შორის ლხინი
 და კვალად დარჩე მარტო, ვით მწირი;
 იქაც უშლიდე, შენი იქ ყოფნით,
 ბულის განცხრომას, ლხენა შევებათა,
 იქაც გვესოდეს გული ნალველით
 და გარბიოდე ისევ ველათა,
 და, ვით კაინი, ქვეყნად დევნილი,
 მოწყვლით სდევნიდე შენცა შენთა დღეთ,
 უნდა ჰხედავდე, შურით დელილი,
 სხვანი ვით სტრფობენ ძმათ და მოკვარეთ!
 ო, რა ძნელია ესე ყოველი!
 საბრალო გული მეწყვლება გესლით:
 ბოდებით, კვნესით, ცრემლების მღვრელი,
 შეეძახი ღმერთსა მწარე ყვედრებით!...
 ბადის ჟამი და ეს ტვირთი მძიმე
 შეჩვენებისა უფრო მიწყლავს გულს;
 ბადის ჟამი და ამ ჟამთა სიგრძე
 მიკლავს ოცნებას ჩემს გატაცებულს!

1863 წ. იანვრის 9 დღე.

(ბერანეილამ)

ზიაფერს უგავს ლოყები,
 ტანთ იცვამს ფარატინებსა,
 ღვეწყებია დარდები
 და შესტრფიალებს ღვინოსა.
 თუ რომ ფული აქვს მთლად მიჰფუნეტს,
 არა აქვს-არას ინალღლის,
 პირიქით ბევრსაც იცინებს:
 „აბა რას ბრძანებთ!...“ იძახის,
 „აბა რას ბრძანებთ!...“ იძახის,
 „რა სეირია უყურეთ!
 ზაიმე გული, დედილო!..
 ზაიმე გული, დედილო!..
 სიცილით მოვკვდი!... მიშველეთ!...“

ღვეთრევა ყოველ ღამე,
 აკმევს ქონებას ქალებსა
 და იმავე ხოჭიქიღამევე
 შემოსჩვევია ვალებსა.
 პოლიცია სუნით ეძებს,
 ტიხეში ჩასმას ექადის,
 ის-კი თავისთვის ხარხარებს:
 „აბა რას ბრძანებთ!...“ იძახის
 „აბა რას ბრძანებთ!...“ იძახის,
 „რა სეირია უყურეთ!
 ზაიმე გული, დედილო!..
 ზაიმე გული, დედილო!..
 სიცილით მოვკვდი!... მიშველეთ!...“

ამძვრალა მალლა ჩარდახზედ
 ცა და დედა-მიწას შუა,

ღროს ჰლუპავს ვარხალალოზედ
 და დაგდაგებს ზამთარშია.
 არც-კი გაიბერტყავს ყურსა,
 როცა წვიმა თავზედ დასდის:
 შესცივა ასტეხს კანკალსა...
 „აბა რას ბრძანებთ!...“ იძახის,
 „აბა რას ბრძანებთ!...“ იძახის,
 „რა სეირია უყურეთ!
 შაიმე გული, დედილო!..
 შაიმე გული, დედილო!..
 სიცილით მოვკვდი, მიშველეთ!..“

—

მის ცოლი, ყმაწვილი ქალი,
 სცვეთავს სულ ფარჩას მძიმესა,
 შველას იმაზედ აქვს თვალი,
 მაზედ იღესვენ კბილებსა,
 მას სჭორავს ქალაქი მთელი,
 ძრახვა და კილვა გაისმის...
 ამან გაიქნია ხელი:
 „აბა რას ბრძანებთ!...“ იძახის,
 „აბა რას ბრძანებთ!...“ იძახის,
 „რა სეირია უყურეთ!
 შაიმე გული, დედილო!..
 შაიმე გული, დედილო!..
 სიცილით მოვკვდი, მიშველეთ!..“

—

მოსვლია სიკვდილის ეამი,
 სნეული ქვეშსაგებს ჰგდია,
 მელარ დაუხუქავს თვალი –
 ჩვინება მოლანდებია;
 მშმაკთ ხროვა თავს დასჩხავის,
 ცოცხლივ მიაქვთ ჯოჯოხეთში

ის მაინც ამ ცუდს ბურანში:
 , აბა რას ბრძანებთ!.. იძახის,
 აბა რას ბრძანებთ!..“ იძახის,
 - რა სეირია უყურეთ!
 ჰაიმე გული, დედილო!..
 ჰაიმე გული, დედილო!..
 სიცილით მოვკვდა!.. მიშველეთ!.. “

1863 წ.

მესამე ხმა კოეზილამ

„საპრობილე“

ჩუმად და მღუმრად ხალხი ჩაგრული
მწევა უღელს თვის მოწებისას
და აღარ აწვევს სიმართლეს გული
მის დაკარგულის კაცთ ღირსებისას.

რაცა-კი კაცსა თავი უცენია
და მოსწრებია სიჭაბუკესა,
მას აქეთია დამონებია
ტვირთსა მძიმესა შესარცხვენელსა:
შურს, მედიდობას, აღმატებასა,
მოძმეთ დაღუპვას და დამხობასა,
და ვისაც ძალა ხელში უგდია
ცდილან და ცდილან სხვათ დამცრობასა.

და სამართლის წილ უსამართლობა
შექნილა ხალხთა წინამავალი,
ჭეშმარიტების წილ-ბოროტება
ბამხდარა ხალხთა ხელის-მძღვანალი.

ქაცთა მძღაერთა და კაცთა ძლიერთა
დასდევს თვის მოძმეთ მონის უღელი,
მას აქეთია სდევნიან, სტრცვიან --
თვის დიდებათ ჰქნეს სისხლი და ცრემლი.

ამ უღმრთო ტვირთ ქვეშ ხალხი უბრალო
ზნექილა მწარედ, ცრემლების მღვრელი,
თანჯულა უღმრთოთ, შეუბრალებლად
და უჭიმვია პირუტყვთ უღელი.

სადაც სიმართლის აღსადგენათა
ბამბედავი ხმა კაცთა გაძრულა,
მსე ხმა ისევ მალე მედგრათა
ჯალათის ცუღს ქვეშ გაჩუმებულა.

სარბიული მოტივები

ჭხტის და ჰბორგავს მოუთმენლად
ბელაური ფიცხი ცხენი...

ნუ სცხარობ! მალე და სწრაფად
მამაცი პატრონი შენი
წელზედ შეირტყავს ბასრს ხმალსა
და ტყისკენ გაგიკრავს თავსა. .

ახალგაზდა მეომარი
საცოლოს ესალმებოდა.
— ერთიც გულში ჩამეკარი,
თვისს სატრფოს ეუბნებოდა...
— ნუ გეშინიან მტერისა,
ვერაფერს დამაკლებს ისა.

— ხშირად და ბევრჯერ მინახავს
ცხარე ბრძოლა, ტყვიის წვიმა,
ვერა მვენო რა ათასმა
მოქნეულმა მტრის მახვილმა.
მტერს დაემტვრა ფარი, ხმალი,
და მე კი დავრჩი ცოცხალი.

— და თუ გაპივლის გულ-გვამსა
ცხელი ტყვია, მტრის მახვილი,
ბლოვნას ნუ მისცემ შენს თავსა,
გმართებს ლხინი და ქადილი:
ნუგეშად გქონდეს შენ ისა,
რომ გავხდი მსხვერპლი ქვეყნისა.

— ბედნიერია ის კაცი,
ვინც სიმართლეს სწირავს თავსა.
რა რიგ მიყვარხარ ხომ იცი!..

ნუ მაშორებ შენს ნაზს თვალსა:
 ვერ ველირსები დიდს ხანსა
 შენს ამბავს, შენსა ნახვასა ..

„ბამოსალმებს რათ სწუხარ“ .
 მტყვის საცოლო საქრმოსა,
 „ჭხედავ მე როგორ მაგრა ვარ!
 ხომ რწმუნობ ჩემს სიყვარულსა...
 მაგრამ ეხლა დრო არ არის
 სიყვარულის ცრემლის დაღვრის!

ჭხედავ ხალხის მწუხარებას!
 წითლად სისხლშია მინდორი...
 უნდა მივსცეთ მოთმინებას
 ჩვენი ტრფობა, სიყვარული:
 მწუხარებისა ცრემლითა
 სამშობლო გვთხოვს შეველას ძეთა.

მე ღირსი არ ვიქნებოდი
 შენის ცხარისა ტრფობისა,
 თუ რომ შენ მეყვარებოდი
 უმეტეს ჩვენის ქვეყნისა...
 ბასწი მოაჯექ მარდათ ცხენს,
 ღაუწყე ჟღეტა ჩვენსა მტერს!..

--

ბალახი სისხლით შესვრილა,
 შვაველი მოთელილია:
 აქ გმირთ სერბთ ბრძოლა ყოფილ:
 აგერ მათი მკვდრებიც ჰვრია.

ღელა მთლათ გაფითრებული,
 ცრემლში ლულლულებს რაღასაც,
 ღადის გლახ გამწარებული
 ღა მკვდრებში ეძებს ვიღასაც...

აგერ საცოლო მუხლებზე
 სდგას მოკლული საქმოს წინა...
 -- ბეძინოს, -- ეუბნებოდა.
 -- ზელარ მოგალხენ მე შენა.

— აღარ აღსდგები ღიმილით
 ჩემი ცხარითა კოცნითა...
 იცოდე სამშობლოსავეით
 მხლა მიყვარხარ მხოლოთა.

1861 წ.

სიმღერა ბედნიერისა

ჩემი თავი უბრალო არ გეგონოთ,
 ბარს ავლია სწორედ რკინის კედლები:
 შერ შეარყევთ, თუნდ ბევრიც რომ ეცადოთ.
 ღვე მლანძღონ!.. რას მიჰქარვენ ბრიყვები!..

ჩემი ხელი ნიჩაბი არ გეგონოთ,
 რომ ვერ არჩევს თავისას და სხვისასა:
 შერ შეაცდენთ, გინდა ბევრიც ეცადოთ,
 შროში ჩასდოს უცხოს ჯიბის ქისასა.

სხვაზედ ფიქრით თავი არ გამისკდება,
 და გაცემით ხელი არ დამიშვრება:
 ჩემი გული წმიდა კლდისა სალია,
 ცრემლების წინ მუდამ შეუბრალია!

ქაცს თუ უნდა, რომ იყვეს ბედნიერი,
 ის არ უნდა იყვეს გულ ლმობიერი.
 ღმერთმა მომცა სარჩოს პოვნის ლაზათი,
 რათ დავკარგო ჯიბის საზრდოს ადათი!

მსტატობით ბედნიერი შევიქენ,
 სიყალბისა სილაქში გამოვიქენ:
 სიმართლისთვის რომ მე ყური დამეგდო,
 უნდა თავი სამარეში ჩამეგდო.

შენც ისწავლე, სადაც ჯუჯუტანაა
 იცან კაცი, ვინც რომ პაწაწანაა,
 შექყავ ხელი, სადაც შეიყოფოდეს,
 ბამოილე, რაც გამოიღებოდეს!

მაშინ შენცა გახდები ბედნიერი,
თუ არა და ამოსწყდები მშვიერი.
ღაისწავლე ბედნიერის სიტყვები!
ღეე მლანძღონ!.. რას მიჰქარვენ ბრიყვები?!

უნდა გქონდეს გული კლდისა სალია,
ტრემლების წინ მუდამ შეუბრალია!
შემოავლე გულსა რკინის კედლები...
ღეე გვლანძღონ. . რას მიჰქარვენ ბრიყვები!
1866 წ.

პოეზიადან საპრობილე

(მეშვილე ხმილამ)

ბედო ქართველთა, ქართველთა ბედო!
 რა განისვენე შენ ღრმა ძილშია,
 მას აქეთია მთლად საქართველო
 არის თვის ყოფის ცხარს ბრძოლაშია.

რამდენი წელი და საუკუნე
 ჭართველი ლომებრ მტერთა ებრძოდა,
 რამდენი ნახა მან დღენი მწარე...

ჯან მოწყვეტილი მტრის წინ დაეცა.

მაშინ მგლეჯაენი, მის მოსისხარნი
 შემოეხვივნენ დაცემულს გვირსა,
 მისს სისხლსა ჰსვამდნენ, ვითა მწყურვალნი
 და მის ხორცს სჭამდნენ, როგორადც ჰურსა.

და აგერ შორსა ცის კამარასა
 თითქო აღმოხდა ბედის ვარსკვლავი,
 ოღნავის სხივით დაგვხედა თავსა,
 და ნუგეშს გვცემდა ეს სანახავი

მას აქედია ოღნავა ჰბეუტავს:
 არცა ჰქრება და არც მთლათ ნათღება,
 ბული ქართველთა იმედით ჰღელავს,
 მაგრამ იმედი ჯერ არ მართლღება.

ან სულ განათდი ბედის ვარსკვლავო,
 ან სულ მთლათ გაჰქერ, გაჰქერ სამუდმოთ:
 ბვეყო ამდენი ცრემლი და ტანჯვა,
 თუ ვიყვნეთ—ვიყვნეთ, თუ არ სჯობს გავსწყვნეთ!

1866 წ.

ნეტარ არიან

ნეტარ არიან, ვის ღღენი თვისნი
 ზამოუვლიათ თავისუფლათა,
 მის კაცთა გესლი, კაცთა ბოროტი
 არ მოსდებია გულში ცეცხლათა:
 მის ცხოვრებისა მბასრავი კლანჭი
 არა ჰქცევია გულში წყლულათა,
 მინ კაცთა შორის აღიზრდებოდა
 სიტკბოებითა და გულსრულათა.
 ცხოვრების ნაკლი მას არ აღონებს,
 არა ჰშლის შხამსა და გესლს მის გულსა.
 ღა როდეს ხალხსა მართალს შესძახის,
 არვის ამტკივნებს არავის წყლულსა
 ლალობა: შვება, უდარდელობა,
 ზამოსკვირს მისსა ყოველს ქცევაში:
 თითს არ მოისმენ, გამოსათხრელად
 რომ ჩაუვარდეს ვისმე ეს თვალში.
 მაგრამა რა ჰქნას მან, ვინც სიყრმითვე
 იყო უწყალო მტარვალებაში
 მისაც გონება დედის მუცლითვე
 ჰქონდა მონებას და წამებაში?!
 რა ჰქნას მან, ვინცა სიყრმითვე იყო
 მოწყლული კაცთა ჩაგვრის გესლითა,
 მის სული, გონი იშხამებოდა
 უშვერთა მცნებით, მტარვალთ ზელითა?!...
 იგი რა იცნობს თავს, ქვეყანასა,
 აცთ არა კაცურს საქმეს, ზნეობას,
 ზული ევსება შხამით და გესლით,
 მბრძვის ქვეყნის ღვარძლს და ბოროტებას

ქაცო ცხოვრებისგან აღელვებული,
 უდგას ბოროტსა შინჯსა და კილში,
 და ცდომილს ხალხსა ურიდლათ მწარეს
 მართალსა სიტყვას ესერის შიგ პირში
 მწველი დალითა მწარე მალამი
 ამხევს, ამტკივნებს სნეულსა წყლულსა,
 და ყველა უცქერს მას, ვით ქვეყნის მტერს.
 შველა ეძიებს მრისხნად მის შურსა.
 აღელვებული ხალხი, მშფოთარი
 ჩასაქოლავათ ესერის მას ქვასა,
 „შემუსრეთ იგი!“ გაიძახიან,
 „აღაპყართ გოლგოთს და აცვით ჯვარსა!“
 1866 წ.

საშინელი ამბავი

(ფალერსლებენისებური)

მრთხელ ერთს ქართველს კაცსა
 ზამოელვიდა შიშუი.

საკვირველიც არ არის —
 ტუდი რამ ჰნახა ძილში.

მის დღეში არ უგრძენია
 ამ ვაჟკაცს შიშის ზარი,

მაგრამ ამ სიზმარმა კი
 ღაუკარგა დავთარი.

ნეტა რა მოელანდა
 ღა რამ დაუფრთხო ძილი?

ანუ რამ გაუხეთქა
 ასრე უეცრათ გული?

რა ნახა, რა ეჩვენა?
 სიმშილი თუ წყურვილი?

თუ ლეკის შემოსევა?
 სისხლი რუებრ დაღვრილი?

არა, მას მოელანდა
 უფრო საშინელემა:

მან ჰნახა... ღმერთო ჩემო!
 წარმოთქმაც მეძნელემა...

მან ჰნახა... რაც ხმელეთზედ
 სავსე ქვევრები იყო,

რალაც მანქანებითა
 მრთბაშათ დაცლილიყო.

1867 წ.

დ ი დ ი ს ა ქ მ ე

(შალერსლებენისებური)

მოდო ღვინოს ჩაუხსნდეთ,
 ღვინო სჯობს ყველაფერსა,
 ღვინოს თავი შევსწიროთ—
 ის ამშვენებს ქართველსა!
 და თუ როდისმე გვეკითხონ:
 მხლა როგორ ჰბრძანდებით“?
 ამაყად ვუპასუხოდ:
 „სულ ღვინოს შევექცევით!“

მგრეთი გვაქვს ადათი,
 მგრეთი ჩვეულება,
 რომ დიდი თუ პატარა
 ღვინოს ენაცვალება.
 ძვეყანა რომ იწვოდეს,
 მტერი შემოგვესიოს,
 მაინც ქართველი კაცი
 თავს ვერ ანებებს ღვინოს.

ღვინის სმა ვალი არის
 შოველი ქართველისა
 და, რაც უნდა მოუხდეს,
 ვერ უმტყუნებს ღვინოსა
 იმისი საკვებური.
 დიდი ბედნიერება
 სუყოველთვის ის არის:
 ღვინოს ეტრფიალება

ჩემო სამშობლოვ ტკბილო,
წვინის ქვევრად ქცეულო,
ხვალინდელის შთანთქმელო,
ღღევანდელის ეულო,
შვილების საყვედურზედ:
„ჩვენთვის რაღას შერებოდით?..
ხომ უნდა უპასუხოთ:
„წვინოში თავს ვიღრჩობდით!“

1867 წ.

შიქრები საპარადო მისაველთან

(ნეკრასოვიდამ)

აი საპარადო მისაველი!

შოველს მალაოსა დღესასწაულს დღეს
 ძალაქის ხალხი გატაცებული
 მოაქლურისა მოწიწებითა,
 თითოლით, კანკალით, გულის ძგერათა
 მიეშურება ამ საკრძალს კარებს.
 რაკი ჩასწერენ გვარსა და სახელს,
 შინა ბრუნდება საჩქაროდ ყველა
 და ეძლევიან სიხარულს ისრეთს,
 თითქო ქვეყნისთვის მიეცეთ შველა.
 შიშისო დღეს ამ დიდ სასახლეს
 ბარს ახვევიან გაჭირვებულნი:
 ზოგნი არდგენენ სხვა-და-სხვა პროექტს,
 ზოგნი კი, გულს ცეცხლ წაკიდებულნი,
 მლიან თავის სევდის შველასა!..
 ბული უღელავს მწარედ ყველასა!..
 და რომ უყურო დილა საღამოს,
 შლევგიანივით გატაცებითა,
 ქურიერები გაცხარებულნი
 ღარბიან ხელში ქაღალდებითა...
 სხვა-და-სხვა ჯურის სანახაობით
 არე არს მუდამ გარე მოცული,
 ზოგი ბრუნდება სიცილ-სიმღერით,
 ზოგი კი ცრემლით, ცეცხლ მოდებული!

მართხელ ვუყურე აქ სანახავსა:
 სოფლის საწყალი გლეხნი მოვიდნენ,
 თავს მოიხადეს და დასდგნენ განსა,
 მწარე ოხვრითა პირჯვარს იწერდნენ,

და მოელოდნენ მას დიდსა პირსა,
 როდის გახდიდა თვის ნახვის ღირსსა.
 შემკრთალი სახით, აღელვებულნი,
 შესცქერდნენ კარებს დაღონებულნი
 აგერ გაიღო ძლივს მძიმე კარი
 და გამოვიდა კარს შვეიცარი.
 „მოახსენევი დიდებულს ბატონს,“
 მწარე ვედრებით ჰკადრეს გლახკაცთა.
 ის მრისხანებით მათ თვალით ასწონს
 და, რა იხილავს მწარეთ შემკრთალთა,
 ძველსა ბრანძვებში გახვეულებსა,
 ბულ გადადღღებდილოთ, დაგაზულებსა,
 დამწვარსა სახეს, შავსა ხელებსა,
 ჯაფისგან ყაწა დახეთქილებსა,
 მოკაკულს ზურგზედ თოფრის ძველებსა,
 ძინწ მოწყვეტილთა, ვითა ოხრებსა,
 მტვერსა თავპირზედ, სისხლსა ფეხებზედ:
 თელის ქერქისა ქალამანებსა,
 თმა აწეწილთა, ხის ჯვარით ყელზედ,
 ზზისგან მოწყვეტილ-მოქანცულებსა, --
 არ იამება მას გლახკაცები,
 ზიზლით ევსება მრისხნად თვალები.
 აქ დაუძახეს უცებ შვეიცარს:
 „ბარეკე! იცი დიდს კაცს არ უყვარს
 ბინძი გლახკაცი, კანგადამწვარი!“
 და მოუხურეს მათ მაგრათ კარი.
 დაფიქრდნენ მძიმეთ ეს გლახკაცები.
 ბახსნეს ბოლოსა ჩვრისა ქისები
 შვეიცარისა დასაქრთამათა,
 რომ დიდებულის სანახავათა
 ბაელო მათთვის აღთქმისა კარი.

მაგრამ მიიღეს მკაცრი უარი:
 ვინ მისცა გლახკაცს იმდენი ფული,
 რომ შეიჯეროს იმათი გული!..
 ლაცინვის ღიმით უკან დაბრუნდა
 აქ 'შევიცარი, განრისხებული.
 დაბრუნდნენ ოხვრით გლახკაცებიცა,
 მწარეთ უცემდათ დამწვარი გული,
 მოსამართლეთა მოიხმეს მათ ცა,
 სთქვეს: ღმერთო იყავ მათი მსაჯული!"
 და მინამ მიმიწვდებოდა თვალი,
 სულ მიდიოდნენ, ქუდებ მოხდილი.

დიდებული კი ამავე ჟამსა
 მიეცემოდა ღიდს განცხრომასა.
 შენ, რომელსაცა პირში მლიქნობა,
 ბაუმადრობა და არშიყობა,
 თამაშობაში გულის გართობა,
 მუდამ ქეიფით დროს გატარება
 მიგანს უმაღლეს სიაძოვნებათ,
 ბამოიღვიძე, მიჰხედე საწყალს,
 ძვეყნით დაჩაგრულს უბედურს გლახკაცს:
 დააბრუნე და ნუგეშ-ეცი მათ!
 მაგრამ ბედნიერს საღ აქვს ის გული,
 რომ ჰქონდეს დამწვართ კაცთ სიბრალოლი! .

არ გეშინიან შენ ცის რისხვისა,
 ძვეყნიერი კი თვით გიპყრია ხელთ!..
 ამგვარ ტანჯვა და ღვრა ცრემლებისა
 ხალხს მოედება კიდითი კიდეთ!..

ან კი რათ უგდებ ხალხის ტანჯვას ყურს,
 რად გაიგონებ ძვეყნის საყვედურს!
 მუდამ ქეიფს და დროს გატარებას
 შენ ვერ აშორებ საპყარს გონებას.

ან ჩემო რაო! ვინ არის ხალხი,
 როს მჯღაბნავთ გუნდნი თავს გახვევიან,
 შენსა დიდებას და შენსა ძალას
 შეუწყვეტელათ უურს შეგძახიან!
 რათ გინდა ხალხი! შენ ხალხის ბედი
 ბადგიქცევია შესაქცევრათა
 შენთა მჯღაბნავთა, შენთა გამართობთა,
 შენთა მონათ დი შენთა მხეველთა.
 უხალხოთაც ხარ დიდს დიდებაში
 და დიდებითვე ჩახვალ საფლავში.
 შეუშფოთებლად და განცხრომაში
 ბადგეხრებიან სიბერის დღენი
 და, მუდამ მყოფსა ტკბილს ოცნებაში,
 შურს დაგრტკობენ სანცვიფრო ხმები.
 მშვენიერს ცის ქვეშ სიცილიისა,
 ჩრდილს ქვეშე სურნელოვანის ხისა
 უყურებ, ვითა იწყებს ჩასვლასა
 ბაბრწყინვებული მზე დიდებული
 ლურჯს, დამშვიდებულს კამკამსა ზღვასა,
 დიდებულათა ჩაყუდებული.
 და განცხრომილი მიზბნედი ხმებით
 მჩქეფარე ტალღის შუა მიწის ზღვის,
 სიცოცხლით მყოფი განცხრომილებით,
 შენ შეეყრები სიკვდილსაცა ტკბილს,
 მზრუნველობის ქვეშ სატრფო კოლშვილის,
 -- რომელიც ელის გულით შენს სიკვდილს!
 და მოგვოტანენ ჩვენ აქ შენს გვამსა,
 რომ დავაყაროთ მწუხარე ცრემლი.
 ამგვარად, გმირო, ჩახვალ საფლავსა,
 ნეტარებით დროს გამტარებელი,
 საქვეყნთდ მალლად დიდად ქებული,

ბულში ქვეყნისგან შეჩვენებული!..

ან კი რას ვბოდავთ! როგორ უბედავთ
 ვილაც გლახთათვის შეწუხებასა!
 არა სჯობიან რომ ხელი მივყოთ
 და შეუტოთ ისევ გლახკაცსა!..
 მე მოგახსენო გლახკაცის ყური
 არ არის მუდამ რისხვას ჩვეული!
 დეე მან სწოვს თვის მძიმე ტვირთსა,
 ვისა სცალიან აბა მისთვისა!..
 დიახ, ვინ უგდებს მათს ტანჯვას ყურსა!
 რა გასცდებიან ამ დიდებულსა,
 დიდებულთ სადგურს დიდსა ქალაქსა,
 სადმე ყრუ დუქანს, ყრუსა ალაგსა,
 ღარდიანს გულზედ გამოთვრებიან,
 რაც აბადიათ სულ მთლათ შესქამენ,
 მემრე ულუკმო პუროდ რჩებიან
 და კენესით მწარით ბედსა მოსთქვამენ!..

სამშობლო მხარე! აბა მიჩვენე—

ისეთი კუთხე მე არ მინახავს,
 სადაც მხნელი და მთესველი შენი,
 ვინ შენ გიცავს და ვინ შენ გინახავს,
 საწყალი გლახი არა ჰკენესოდეს
 და მწარე ცრემლით ბედს არ მოსთქვამდეს!
 ჰკენესის და მოსთქვამს მინდორს და გზაში,
 ჰკენესის საბნელეთს, ჰკენესის საკანში,
 ჰკენესის მადნების უმლოთო შრომაში,
 ჰკენესის ცის რისხვის ცხარე ბრძოლაში,
 ჰკენესის ძნისა და სათივის ქვეშა,
 ჰკენესის ურემ ქვეშ, ღამე კარს მგდები,
 ჰკენესის საცოდავს თავის ჰერს ქვეშა, —
 არ უხარიან თვით მზის სხივები;
 ჰკენესის სოფელში, ჰკენესის ქალაქში,

ჰკენეს სასამართლოს ყოველს ალაგში!
 აბა გაჰხედეთ ვოლგისა ნაპირს,
 ღაუგდეთ ყური იქ რომ ხმა ისმის!
 იქ მღერის ნაცვლად მწარედ ჰკენესიან,
 ამ კენესას მათში სიმღერა ჰქვიან:
 ამა სიმღერით, ტვირთ ქვეშ მუშაკნი,
 თვის მძიმე ჰაპანს მიეწევიან...

ჰოი, ვოლგავ, ვოლგავ! შენ · დიდ წყლობასა
 ისე ვერ ავსებ შენს ნაპირებსა,
 როგორც რომ ხალხის საცოდაობა
 მთლად მოჰფენია ჩვენს ქვეყანასა!
 სადაც კი ისმის ხალხის სახელი,
 იქ ისმის მხოლოდ მოთქმა და კენესა! .
 როს გათავდება ეს სატანჯველი,
 როდის აღმართავს ხალხი თვის ხელსა
 და გაიღვიძებს ძლიერის ღონით!? .
 ანუ იქნება რამე ცის წყრომით
 ის უნებლიეთ დაემორჩილა
 ბუნების კანონს მძლავრს და სასტიკსა;
 ქენესად აქცია თავისი ძალა
 და თავი მისცა სამუდამოდ ძილსა?!..

1867 წ.

უ ნ გ რ უ ლ ი ს ი მ ლ ე რ ა .

(ლეოპარდიამ)

მაჟარო იყავ უცვლელად
 მრთგული შენის ქვეყნისა!
 იქა ხარ დაბადებული
 და იქვე ჩახვალ საფლავსა!
 ისა გზრდის, გივლის, გპატრონობს,
 ბისტუმრებს შორის გზაზედა,
 სიკვდილის შემდგომ მშობლურად
 ის მიგისვენებს გულზედა.

შერსადა მთელსა ხმელეთზედ
 შერ ჰპოვებ ისრეთს ალაგსა,
 სადაც ჰნახავდე ალერსსა
 და სიყვარულსა ამგვარსა.
 აქ საბრძოლველად მტერისა
 უნდა ატარო შენ ხმალი,
 უნდა იბრძოლო, ვიღრემდის
 არ დაგელევა მკლავს ძალი.

მაჟარო იყავ უცვლელად
 მრთგული შენის ქვეყნისა:
 აქ გმირულათა ჩაღვრილა
 სისხლი მამა და პაპისა!
 აუარებლათ ტრიალებს
 მის ხსოვნა ჩვენსა მამულში,
 შითა მნათობი ვარსკვლავი
 ბნელად მოფენილს ღამეში.

ზმირს არჰადს თავის მხედრეჲნი
 აქ გმირებრ უტარებია,
 მტერსა ძლიერს და მძინვარეს
 მედგრულად შეჰბრძოლებია.
 აქ ჰუნიაღის მახვილია
 მტერსა ჰკათავდა და ჰსსვრიდა,
 მათსა ძალას და უფლებას
 ძლიერი მკლავით აღფსვრიდა.

თავისუფლებავ! აქ შენი
 ღროშა მრავალჯერ გაშლილა,
 და შენი გულისათვისა
 მთლად ჩგენი ხალხი აშლილა;
 საუკეთესო მოძმენი,
 მშვენება ჩვენის ქვეყნისა,
 სისხლის ბრძოლის ველს უშიშრად
 შენთვის ჩასულან საფლავსა!

ჰოი სამშობლოვ! რაედენი
 ტანჯვა გინახავს ბედისგან
 და შერყეულხარ ძირამდის
 უზომოდ მძლავრი მტერისგან.
 მაგრამ აქაცა, ამ ტანჯულს
 და შეწუხებულს ყოფაში,
 მოცხალი დარჩი გმირ-ქალხო
 და მტერს უდექი კრიჭაში.

მოცხალი არის ეს ხალხი
 და შეჰგოდს ქვეყანას მთელსა,
 მსე ხმა კენესა—ვაების
 მდება ზღვასა და ხმელსა.

ათასის წლისა ტანჯვანი
 თვალთა წინ აგვეშლებიან:
 სიკოცხლე ანუ სიკვდილი
 მშობელს ხალხს ესლა რჩენიან!

—

არ შეიძლება, რომ სისხლი
 ამდენი მამა-პაპისა
 მიწას შეესვას იმისთვის,
 რომ მიგვცეს მარცხს და სირცხვილსა!
 არ შეიძლება, რომ ამდენს
 თავისი ქვეყნის ტანჯვასა
 მამულის ერთგული ძენი
 მისცემდნენ დავიწყებასა!

—

არ შეიძლება, რომ ესე
 ძალაი მხურვალე გულთა
 და ესე ძლიერი მკლავი
 შეაკაცთა მხნეთა და გმირთა
 მისთვის დაინთქნენ უწყალოთ
 თვის ბედის ცხარე ბრძოლაში,
 რომე სამშობლო ქვეყანა
 იყვეს ღვთისაგან წყევაში!

—

არ შეიძლება!.. მოვა დრო,
 მოვა, მოძმენო — გჯეროდეთ,
 მოვლენ ის დღენი, რომელთაც
 მოველით ასრე გულცხარედ,
 მოვლენ ის დღენი, როდესაც
 შევლანი, თავ-გადადებით,
 შეიწრებულნი აქამდის,
 მტერსზედან განვიმხედრებით!

—

და, თუ ამ დღესა ვერ ვნახავთ,
 შერა ვიქმთ გულის წადილსა,
 მაშინ ჩვენ სისხლის ზღვაშია
 თვით შთავნთქავთ სამშობლოს კრულსა.
 მაშინ ჩვენ ყველა, სუყველა
 შთავნთქავთ ბრძოლაში ჩვენს თავსა,
 და, სულ მთლად გაჟღეტილები,
 მხრად დავტოვებთ მამულსა!

მაშინ ყველა უცხო ხალხი
 ბაოცებულნი დაუწყებს
 ცქერას საზარო საფლავსა,
 სადაც მთელი ხალხი ჰსუფევს,
 ამ საფლავს მილიონისა
 თვალი მწუხარედ შეჰხედავს
 და ამ თვლებში გლოვისა
 მხურვალე ცრემლი გაეღვავს!

მაშა მაჟარო იყავი
 მართული შენი ქვეყნისა!
 იქა ხარ დაბადებული
 და იქვე ჩახვალ საფლავსა!
 შენ ის გინახავს, ის გივლის
 და მომკვდარს ბრძოლის ველზედა,
 მშობლური სიტკბოებითა
 მოგადებს ბელტსა გულზედა!

შერსადა მთელსა ხმელეთზედ
 შერ ჰპოვებ შენ სხვა ალაგსა,
 სადაც ჰნახავდე ალერსსა
 და სიყვარულსა ამგვარსა!

აქ საბრძოლველად მტერისა
უნდა ატარო შენ ხმალი,
უნდა იბრძოდე, ვიდრემდის
არ დაგელევა აკლავს ძალი!

1867 წ.

პ ა რ ი უ ი

(ბარბიედგან).

აგერა ის ქალაქი, ჯოჯოხეთის უბსკრული,
პარიუს რომ ეძახიან: შავად ჩამყაყებულ
ლაფისა და ქუქკისა იმრგვლივ არტყია თხრილი,
ბოროტით და გესლითა პირამდისინ გავსილი.
როგორადაც ვულკანი, მუდამ ცეცხლის მსულთქავი,
ქაცთა გვამს შიგნიდამა ისურის, ვით ზღვისა ზვაფი.
ის არს წაწყმდის ორმო, სადაც უბსკრულს ძირშია
მთელი ქვეყნის ბოროტი ჩადის ღრმად ქვესკნეთშია:
და როდესაც ამ გვარად პირამდის გაივსება,
ბადმოჰხეთქს, და ამ ლაფში ქვეყანა 'მთაინთქმება.

ამ ჯოჯოხეთის ჯურღუმულს ძვირათა ჰნახავს თვალი
დასავლეთის თბილს სხივსა, არც სჩანს სხივი ნათელი.
და ვააქვს ღრიანცელი, ვითა ზღვისა ლეღვასა
ღლე და ლამ ჩაუდგრომლად, მოუსვენრად ქალაქსა.
არა სძინავთ აქ კაცთა: ის აქვთ მუდამ დარდათა,
რომ სხვის სარჩო და ბედი ხელთ ჩაიგდონ სულ მთლადა...
ხან სიმშილით თავს იკვლენ, ხან ურცხვად ქეიფობენ!..
სიკვდილის წამსაც კია მალლა ცას არ შეჰხედვენ,
და, თუმც ვარს მრავალია მდიდრად დგმული ტაძარი,
მაგრამ ამ ტაძრებშიც კი მათთვის ღმერთი არ არი!

აქ რავდენი ტაძარი, ამაყად ამართული,
მტვერთან გასწორებულა, და ვინ იცი' რავდენი
ცხოვლად მნათი ვარსკვლავი სამუდამოდ გამქრალა!
რავდენი რწმუნებანი უბოლოვოდ დამქნარა!
რავდენს საკვდავს ეტლს მიწა, სისხლით გაწითლებული
შთხრია, რომ ჩამარხოს მცირე და დიდებული!..

მუნ ქარიშხალები განვლო ათასმა ცვლილებამა:
 მათი ელვით და შუქით იწითლა თვით ზეცამა...
 მართის სიტყვით აქ ვველა ისწავლეს კაცთ და სცადეს,
 მაგრამ ფულთ წყურვილთ გარდა გულში არ რა დასტოვეს!

ბევრი ნახა ქვეყანამ უცხოომელი ტანჯვანი,
 უსარგებლო სისხლის ღვრა, ბრძოლა, დევნა, მტრობანი;
 ბევრი ამაყი ტახტი ლუკმა-ლუკმა ნსხვრეულა,
 შთანთქმულა ქვეშკნეთშია და მიწათა ქცეულა!
 მაგრამ, აწ რას ვხედავთ?—დრო, ეს მოხუცი ძველი,
 ძლიერს ფეხქვეშ უწყალოთ მთლათ სამყაროს მთელელი;
 მეფეთა და ხალხებს რომ ხელის მოქნევით მუსრავს,
 დრო, რომელმანც წამხდარი რომი შერია მიწას,—
 ის ხელახლათა ჰხედავს, —ათას წელთა რას განვლეს,—
 ის ჰხედავს სანახავსა რომზედ უუსაზიზღრესს.

იგივე არეულობა, იგივე გულის ლტოლვა,
 ღიდებისა წყურვილით ისივ ცოდვილთა ხროვა,
 იგივე კუთახელთ მოხუცთ შეყრილობა სენატში,
 ჰვეყნის მუცლად ჩადება, შთანთქმულთაგან ბოროტში,
 იგივე ქურუმთ ყრილობა, სულს და ხორცს რომ ჰყიდიან;
 იმგვარვე სიწამხდრისთვის ერთათ თავებს იყრიან;
 იგივე უსირცხვილობა, ოქროზედ გადაგება
 და თავიდან ბოლომდის გაყრყენის კვალის მოდება;
 იგივე ბოროტის ეინი... მხოლოდ არსად სჩანს ისა:
 ძველი მშვენების ნაკეთი, ბრწყინვა სამხრეთის მზისა.

ჰოი, პარიჯის ხალხო, გზა და კვალ დაბნეულო,
 უზნეობით დამდნარო, სინთლის ფერად გცეულო!
 შენ ბავშვზედ უარესად ხარ თვითნება ავზნისა
 და ეძლევი ღლე და ღამ გარყენას შემაზრზინარსა:
 ხან ასტეხავ ძალღებსა, საშიშრად ჩამამხრებსა,
 ხან სჯღაბნი კედლებზედა საზიზღარს ოცნებებსა,
 ბადავდებულმა ბავშვმა, დედის დამაწყევარმა,
 შთავრდომილმა ცოდვებში, ბოროტებით გავსილმა,

შენ უარს-ჰყავ ღვთაება ღვარძლორის დაცინვითა,
 ბოროტს თავი შესწირე კეთილის განკიცხვითა!

ღა ზოგჯერ კი, როდესაც ქარი შეარყევს მყუდროს,
 შითა მღვეი და გმირი შეებრძვის თვით სამყაროს:

„თავისუფლებისათვის!“ ის ამაყად შეჰყვირებს,
 მოსცურავს სისხლის ღვარში და უშიშრად თავს დასდებს,
 მაგრამ რაკი ერთი ჟინს იგი გულში მოიკლავს,
 ღვიწყებას თავს მისცემს, უღელს წაუშვერს კისერს,
 ძველი კერპის გამღვენი, ახალს კერპსა დაისვამს
 ღა ძაღლივით ფეხს უღოკს ახლად დასვენებულს კერპს
 იგი მყისვე ივიწყებს, რაც სცადა წინა ღღესა...

ღა ხვალ კვალად შემუსრავს ღღევანღელ თავის ღმერთსა! .

ჰოი პარიჟის ხალხო! შენთვის შეგცევა არი
 ბრძოლის ხმა, რკინის ჟღერა და სისხლის ნიაღვარი!
 შენ სწორედ ჰგევხარ ზღვასა, განრისხებით როს ჰღელავს,
 ტაღღებსა და ზვირთებსა ცათამღის რომ აჰბერავს:
 იწყებს ისრეთს შფოთვასა, რომ ელით ქვეყნის შთანთქმას,
 პატარასხანს უკან კი დაიწყებს დამშვიდებას...

სიკვდილს ეთამაშები, ცოდობით გავსილი!

შენ მის ღღეში ვერ გიცნობს ვერცა ქვეყანა სრული.

აგერა ის ქალაქი, ჯოჯოხეთის უბსკრული,
 პარიჟს რომ ეძახიან! შავად ჩამყაყებულნი
 ლათისა და ქუქყისა იმრგვლივ არტყია თხრილი,
 ბოროტით და გესლითა პირამღისინ გავსილი.
 როგორ:დაც ვულკანი, მუდამ ცეცხლის მსულთქავი,
 ქაცთა გვამს შიგნიღამა ისერის, ვით ზღვისა ზვაევი,
 ის არს წაწყმდის ორმო, სადაც უბსკრულს ძირშია
 მთელი ქვეყნის ბოროტი ჩადის ღრმად ქვესკნეთშია:
 ღა როდესაც ამ გვარად პირამღის გაივსება,
 ბადმოჰხეთქს, და ამ ლათში ქვეყანა შთაინთქმება.

ლ ა ლ ა დ ი ს ი .

მუხლ მოდრეკით დაჩოქვილნი გამოველით წყალობასა. .
 მბნითა და წინწილითა უღალადებთ გალობასა,
 შევასხამთ და ქებას ვეტყვით, ვადიდებთ მქვერი ენითა,
 ჭირსა ვქამთ, მტლეთა ვედებით და შევრტფით თაყვანებითა.
 მაღალი საყვირისა ხმით ბუკსა ვცემთ და ნალარასა
 და მისსა სახელს დიდებით, ნოვფენტ ყოველს ქვეყანასა.
 იგიც, ზევსებრ, შეჴვერებით, შექმუხნილი გადმოგყურებს,
 ღირსეულისა კილოთი წყალობის სიტყვებს გვიბრძანებს:
 , ერთგულება თქვენი მესმის, არ დავკარგავ თქვენს შრომასა
 და შესაფერს ფასსაც დავდებ თქვენგნით ჩემსა შემკობასა.
 ნუ დაჰზოგავთ ჩემთვის თავსა, სიციცხლე ჩემთვის გასწირეთ,
 თქვენი საზრდო და ქონება მსხვერპლათ გრძნობით შემამწირეთ
 ჩემი მუდამ ერთგულება მკვიდრათ გულში ჩაინერგეთ,
 და თქვენი ერთგულებისა ჯილდო ჩემზედ შემოაგდეთ.
 ჩემს წყილობათ არ მოგაკლებთ საზრდოთ... ჩემსა ნასუფრალსა:
 ჩასაცმელათ... ჩემთ მსახურთგან გამონაცვალს ნაცვეთარსა.
 ბაიხარეთ, სადაცა ხართ ჩემი ერთგული მგოსანნი,
 ჩემთვის თავ-გადადებულნი მანდილოსან-ქედოსანნი,
 იხარეთ, ვინც მიღალადებთ და უფრო სცემთ სიმს ძრიელა,
 მისაც უფრო გეყურებათ სიდიდე და ჩემი ძალა!
 ვინც არ იცის ჩემი ყადრი ან არ აქვს ხმა გალობისა,
 დეე იყვეს მოკლებული ამა ჩემი წყალობისა!"

1867 წ.

პოეზიადან „საქართველო“ *)

ხმა მეოხუტმეტე

ს ი მ ლ ე რ ა უ რ მ ი ს ა .

მღელვარე თიქრი გარს მახვევია,
 ტვინი მთლად მიღულს მოუწვენრობით,
 შეუპყრივარ მე სატანჯველს ყოფას
 და გრძნობა მიკენესს შხამით და გესლით.
 არიან წუთნი, როდეს მე თვითონ
 შემძაგებია სიციცხლე ჩემში,
 ამა საძაგელს ჩვენს ცხოვრებაზედ
 მე ვერ მიცია ჩემთვის ნუგეში:
 წარსული ყოფა, გრძნობის მომწყვლელი,
 აწმყო ცხოვრება უგრძნობლობისა
 და მომავალი შეენისლიანი
 სულ მთლად მიღულებს გულს და ტვინსა.
 და აქ მზათა ვარ მე თვით განვგმირო
 ჩემი უძლოურად მვლელი ცხოვრება,
 მეთაკილება თვით ჩემი თავი
 და ჩემი ესრედ ამალება. .
 ჩემმა ცხოვრებამ წარსულმა, აწმყომ
 არა მომცა რა გარდა ერთისა,
 ის ერთიც მხოლოდ მარტო ის არის -
 უძლოური ბრძოლა მძლავრის ხელისა.
 არ გამამზადა ჩემმა ცხოვრებამ
 არც იმ ბრძოლისთვის, არც იმ საქმისთვის,

*) ეს პოემა დამეყარგა, გარდა ამ წიგნში მოქცეული ნაწყვეტებისა.

რომელსაც ველტვი, რომლისთვისც ვლელავ,
 რომელიც მუდამ თვალწინ მემუქრის.
 ზნა გარკვეული ჩემსა ცხოვრებას
 ჩემთვის არსად არ უჩვენებია,
 ბარს შემომარტყა სიბნელე მკაცრი
 და ამ სიბნელეს მისჩერებია
 ჩემი გონება, აღელვებული,
 და მის ბრძოლაში ჩემი ცხოვრება,
 სიყრმისა ძალა, მხურვლად მომქმედი,
 ჩემი ჭკუა და ჩემი გონება
 თავგამეტებით შემილევია
 ამ სიბნელეში უგზო უკვლოთა
 მივლია, ვცდილვარ, გარდაეჭანცულვარ
 სადმე სინათლის მისაწდომათა:
 თუ სადმე სხივი ნათელის მზისა
 ჯუჯუტანიდამ დამნახვებია,
 ამ სინათლისა მიწდომის გზაზედ
 რკინის კედლები დამხვედრებია.
 და ეძვებრებოვარ მაშინ სხვა გზასა, —
 აქ შეუპყრივარ ძემეს და ეკალსა,
 მერ დაეწვევივარ დაბურვილს გზებსა,
 და, თუმც სინათლე შორს დამინახავს,
 მერ დავლწვევივარ მე იმ მცველებსა,
 ამ ეკლოვანს რომ ჰყარაულობენ,
 და სინათლესთან მიმავალებს რომ
 შუა გზაზედა ანდერძს უგებენ.
 ამა ბრძოლაში დავსთხიე ჯანი,
 ამას შევაკალ სიყრმისა ძალა,
 და როს ოდნავად ვიცან ნათლის გზა,
 აწ აღარ ძალძიძს მე იგი ბრძოლა,
 რომ დავსდგე გზაზედ ნათლისღებისა,

ღაეშალო იგი რკინის კედლები,
 მოვსთხარო ძირით ძეძვი, ეკალი
 და გადავსთელო ბნელის მკველები.
 ჩემი მოძმენი, თანმგრძნობელნი,
 მხნედ რომ სიმართლის გზას შესდგომიან,
 არიან ჩემებრ ეკლით გაბმულნი
 და თავს გაღწესილს ხმაღს შესცქერიან.
 არ ძალუძთ მათაც ჩემებრივ ბრძოლას,
 ვერცა ჩემებრივ გზა უპოვნიათ
 და თავათ ისეც სუსტთ და მცირეთა—
 ჯანი და ღონე შემოჰლევიათ..

მონებთა შორის დავრჩი მე მონად
 და მტრის ბანაკში დამწყვედულ ტყვეთა,
 ბრძოლისა ნაცვლად, რომელიცა მწყურს,
 საკანში ვგდივარ მე უძლოურათა.
 ბანა თუ მართლა არ მქონდა ძალა!
 ბანა თუ გული არ მერჯოდა მე!
 მაგრამ სუყველა ეს უბრალოთა
 ცუდმადს ბრძოლაში ცუდად დავსთხიე...
 ამ ცხოვრებიდამ შექირვებულმან
 ჩემი ნაღველი, ჩემი ვარამი
 მინდა მოგიტხრო, ჩემო პაწიავე,
 თუ გაგრძნობინებს ჩემი კალამი
 იმ სევდას, მე რომ გულს დამწოლია:
 და რომლისთვისაც ვერ მიშველია.

ხმა მეთექვსმეტე.

ჩემო პაწიავე, ჯერ ჩვილო ყრმაო,
 შენ მოესწარი იმ ღროეზასა,
 რომ გონიერულათ და გზა გარკვევით
 უნდა ებრძოდე კაცთ ცხოვრებასა.
 ჩვენ არ ვიცნობდით კარგათ ცხოვრებას,
 არცა გარკვევით საჭიროებას,
 და მხოლოდ სუსტის წარმოდგენითა
 ჩვენ მიველტოდით სინათლისა გზას.
 ჩვენთ წინაპართა ცხარე ბრძოლაში
 დაჰკარგეს კვალი მომავალისა,
 და იმა კაცთა, ვისცა მიგვანდეს,
 ბვიჩვენეს კარი მხოლოდ ბნელისა ..
 ნუ დაიზარებ ცხოვრების ცნობას,
 თუმცა ეს დიახ დიდი ძნელია,—
 ნუ შეიზარებ შენ იმ სიმყრალით
 კაცთა ცხოვრებას რომ ასდენია.
 ღრმად ჩაურიე ამ ცხოვრებაში
 ნაევარჯიშევი ძლიერი მკლავი
 და მის სიმყრალის ამოშვებაზედ
 ბრთხილად ინახე უზადო თავი.
 თან იქონიე სასუნებლები,
 რომ არ დაგეზმოს საყნოსელის გრძნობა
 იმ სიმყრალითა, რომელიც მუდამ
 კაცთ ცხოვრებიდამ ამოყრჩოლდება.
 ჩაჰყავ ძირამდის ტიტველი მკლავი.
 მოურიე და მიაპყარ თვალი,

რომ დაინახო კარგა გარკვევით,
 რა ნივთებითაც არის შემდგარი:
 ჭუჭყი, ნაგავი, ჩირქი, სიმყრალე
 და რაც სიცუდე სით მოხვეტილა,
 შველა ბილწი და შესაზიზლარი,
 ძაცთ ცხოვრებაში შეგუბებულა!
 და თუ რომ კიდევ სადმე სიკეთე
 ამ სიმყრალესა გადარჩენია,
 შველა ეს გრძნობა, ჩვენი მრჩენელი,
 მტარვალთ ხელთაგან დახშოვებულა.
 ღრმად შეისწავლე შენ ეს ცხოვრება,
 ბამოიკვლიე მის კანონები,
 იცან მიზეზნი ამ წაწყმედისა
 და ჩაიხსოამე მისი მოწებნი.

აღინთე გული, მიეც თავს ძალა,
 რომ იყვე შენ მზა საბრძოლველათა,
 რომ შუა გზაზედ ჩვენთ ღროთ ხალხიკით
 არ დარჩე მტრისა სასაცილოთა.

ჰნახავ, რომ იმრგვლივ დედაბერივით
 ბეიბამენ მაგრად გადაფულს ქსელსა
 და მოელიან მწყურვალის გულით
 ქსელში ნიადაგ გასაბმელ მსხვერპლსა.

შით დედაბერი ქსელში გაბმულს ბუზს,
 ისინიც რსრე თვის მსხვერპლს სტანჯავენ,
 სტკებებიან მათის სატანჯველითა
 და თან ტვინსა და სისხლსა სწოვებენ.

შესჰამენ თვისს მსხვერპლს და გაუმადლრად
 შემდეგ ელიან სხვა უბედურსა,
 და თავის ქსელში მუდამ აბამენ
 მოუძღლორებრივ მიმავალებსა...

შენ ამ ცხოვრების ცნობა გასწავლის,
 რომ ბრძოლა მისი არ არს ხუმრობა,
 და, თუ რომ გინდა მისი შემუსრვა,
 ბინდა ძლიერი გამოცდილება...
 ნუ დაენდობი შენ სხვის სიტყვებსა,
 ნუ მიენდობი მჩხავანაებსა,
 ამგვარად გცევა -- სხვის ხელთ შეცქერა —
 ჰშვენოდა მხოლოდ ჩვენს დროებასა.
 ჩვენ არ ვარჩევდით საქმეს და სიტყვას:
 მთქმელი მოსაქმედ ჩვენ მიგვაჩნოდა,
 მხოლოდლა მაშინ ვიცანიტ მთქმელნი,
 როდესაც საქმე კარს მოგვედგომოდა...
 სიტყვის მხარჯავთზედ მინდობილებსა
 ჩვენი ბანაკი დიდი გვეგონა,
 დავიწყეთ საქმე მმეტყველი ხალხი
 ზედ შუა გზაზედ ჩამოგვეცალა!
 ზოგმა უსირცხოდ და უნამუსოდ
 ხელის შემართვაც ჩვირზედ გაჰბედა,
 და ზოგი მუდამ ჩვენსა ქიშპობას
 ჩვენს მტერს ფერხთა ქვეშ ეფიცებოდა...

ქარგათ გაიცან კაცთა თვისება,
 იცან მას გული და მის ზნეობა,
 რომ შენის მტრისა და მოყვარისა
 ბქონდეს ნიადაგ ნათელი ცნობა.
 ჩაინერგევი კარგათ გულშია,
 რომ განსაცდელი წინ გიდევს დიდი,
 და ამ განსაცდელთ გასაეღელადა
 ბაწრთენა და სწავლა არს მკვიდრი ხიდი.
 ცეცხლისა წვიმა, სეტყვა და ქარი,
 შინვა, კაცისა სისხლის მშრობელი

მათს ძალას მალე დაემონები
 და შეიქნები მათი ერთგული,
 როგორც არიან მათი მონები. .
 რაკი რომ მკვიდრად თავს გაიმზადებ,
 იცნობ შენს მტერსა და მოყვარესა,
 მაშინ მოყვარეს მოჰხვიე ხელი
 და შეუდექი ბრძოლას მწარესა!
 ბევრჯერ შეგიბყრობს კარზედ გასულსა,
 და, თუ არა ხარ გამზადებული
 მათს საბრძოლველად, საომარადა,

ხმა მეჩვიდმეტე

შენა ხარ შეილი იმ მამულისა,
 უკუნიდგანვე, რომ იტანჯება,
 რომლისაც კვნესა და მოთქმა მწარე
 თვით მალლა ცასაც კი ეყურება.
 მაგრამ თვით ცასაც დაუხშავს ყური,
 რომ ჩვენს სატანჯველს არ მისცეს შველა,
 რომ არ შეგვაშროს თვალეზზედ ცრემლი
 და განგვარიდოს კეთილი ყველა.
 რომ გადაავლო თვალი ჩვენს წარსულს
 შეგზარავს სისხლი, იქ რომ დაღვრილა,
 ზაგიკვირდება, რომე სამშობლო
 მთლათ სისხლის ზღვათ არ გადაქცეულა;
 ზაგიკვირდება რომ ამ მამულში
 ძიდევ ლა ჰლივის კაცის სახელი,
 რომ ამ ქვეყანას აქამდისინა
 ჰყოლია მცველი და შემნახველი!...

იღვროდა სისხლი საქართველოსი,
 იღვროდა მუდამ შეუწყვეტლათა,
 ძმა ძმის სისხლს ჰსევამდა, გარედამ მტერი
 სულ სისხლსა გვთხოვდა მოუსვენრათა...
 იღვროდა სისხლი და ამ სისხლშია
 თავისუფლება შიგ ჩაგვიმარხეს,
 და ჩვენთა მტერთა, თვითონ მონათა,
 სახლში მონობა შემოგვიტანეს.
 ჩვენ ვერ დაგვიპყრო სისხლისა ზღვამა,
 ვერ შეგვაშინა უთვლელმა მტერმა,
 სისხლში ვსცურავდით, მტერს პასუხს ვსცემდით,
 მაგრამ... მონობამ დაგვიმორჩილა!
 დაგვიმორჩილა და ძვალს და რბილში
 მონობა ესე ისრე გაგვიჯდა,
 რომ ამ მონობით გამოსასვლელად
 ჩვენს სისხლში ძალა აღარ აღიძრა
 სულის სიმდაბლე, მონებრივ კრძალვა,
 შური, ცილი და მამბეზლარობა,
 მალლის წინ დრეკა, დაბლის წინ წვევა
 ბულს შეგვზელთა, და რასც მონობა
 თავის ერთგულს ყმასა შეაძლებინებს,
 სუყველა ჩვენს სულს ზედ დასწოლითა,
 და გული ჩვენი მას აღარ გვაწვევს,
 რომ ყველა ესე შესარცხვენია.
 შეჰხედე გლახათ რა რიგ ფოფხამენ
 მოწყალეებისთვის მდიდართ კართ წინა,
 ტიტველ შიშვლები შეჰკანკალებენ
 და მოელოიან, რომ მათგან შინა
 თავისი წვრილშვილი გამოიყვანონ,
 სიმშოლისგან რომ ეხოცებინან,

და რძე გამშრალის ცოლის საქმელად
 მათგან ნახორხლებს გამოელიან..
 შეჰხედე აბა ტაკიმასხარათ,
 მძლავრთა წინ რა რიგ იგრიხებიან,
 მაიჰუნობენ, თავს იმხეცებენ,
 მის ნაცვლად მხოლოდ ტკბილს ღიშს ელიან
 და ეს ძლიერნი, რომელთ წინ ასრე
 ისინი მდაბლად იდრიკებიან,
 თვითონ თვის მალლად დამდგართა კაცთა
 ძაღლივით ხელებს ელოკებიან.
 და ყველა დიდი თავიზედ დაბალს
 შეჰყურებს ზიზლით და თაკილითა,
 და დაცემულნი მითიც ჰხარობენ,
 თუ თავი ღირს ჰყვეს მათთან ხლებითა...
 შევლგან იტანჯვის, სადაც შეჰხედო,
 პაცი, პირუტყვებრ უღელ დადგმული,
 შევლგან გეცნობა შენი სამშობლო,
 შევლგან ბოროტს აქვს ფერსივი გადგმული.
 შეჰხედე ყველგან, როგორ ერმანერთს
 პაცნი ჩუმ-ჩუმად ცოდვნით ჰქურდავენ,
 როგორ ერთმანერთს, ცხადლივ თუ მალვით,
 ბაუკითხავად ტვინსა სწოვებენ!
 შეჰხედე, როგორ, გაქეზებულნი,
 ძურდნი გაცარცულთ არ კადრულობენ
 და სხვის ოფლითა მოყვანილს სარჩოს
 დაუზოგავად ოხრად ჰლუპამენ.
 გაცარცულნი კი, პირდაღებულნი,
 თვის გამცვარცვავთა ღმერთად ჰხადიან
 და თვის მცარცვაფი მტარვალებისთვის
 დასახოცავად მთლად მზად არიან.

ვერსად შეჭვდები ისრეთს ადგილსა,
 რომ კაცი სადმე კაცსა ჰზოგავდეს
 და ყოველს მარჯვე შემთხვევაშია
 მოძმის დაღუპვას არა კდილობდეს ..
 ძნელად გაარჩევ ამა ხაოსში
 მინ მართალია, ვინ მტყუანია,
 მხოლოდ ეს კი სჩანს, რომ კაცთა ტანჯვა
 შოველს ადგილას დაუთვლელია...
 მაგრამ შეჭვდები შიგ ზოგიერთებს
 ამ გვარს ცხოვრებას რომ არ ჰმონებენ,
 ძაცთ საბოლოოს დასაცველადა
 თვის სისხლს და შრომას არა ჰზოგამენ.
 შენ ჩაატყერდი მათს გამხმარს სახეს
 და ღრმად ჩაცვივნულს ფიქრიდ თვალებსა:
 და ამ თვალებში ამოიკითხავ
 ძაცთა ფიქრსა და კაცთ სმტანჯველსა. .
 ამ ფიქრით უნდა მუდამ იცხოვრო,
 ეს ფიქრი უნდა გქონდეს სარკეთა,
 ამა ფიქრების აღსასრულებლად
 უნდა დაღვედე შენ შენთა ღღეთა;
 უნდა ცოდნით და გაბედულობით
 დაუწყო ნგრევა იმა კედლებსა,
 რომელიც იმავ დასაწყისითვე
 უშენებია კაცთ ცხოვრებასა...
 შეუდეგ მტკიცედ, შეჰპართე ხელი, —
 მის ზღუდეებსა ეტყობა დაშლა,—
 და, თუმც ბევრი ჰყავს იმას დამცველი,
 ბევრი უპყვრია ღონე და ძალა,
 მაგრამა .. ერთი ცოდნით შებრძოლვა,

ერთი ძლიერად იმის შერყევა—
და მის სიმაგრე, ჩირქით ნაშენი,
თავისვე თავად თვით დაინგრევა!
1867 წ.

ს ა ვ ა თ ნ ა ვ ა ს ე ბ უ რ ი

ღამის ირახინი
 ოთახში დამრჩა,
 პროშტის ლაზათი
 ტუჩებში დამრჩა.
 საიათნოვა

აღვირი ამომდეს —
 ბავჩუმებულვარ,
 ქურტანი შემადგეს --
 ბავჩერებულვარ,
 ჭერი დამიყარეს
 ბავხელვებულვარ,
 მნის პატრონებსა
 ვესვრი წიხლებსა.

--
 ზედ რომ შემსხდებიან,
 ველი მათრახსა,
 მათრახს რომ მირტყამენ,
 ვიწყებ თახთახსა...
 მრთხელ რომ გენახეთ,
 ვგავდი მეც კაცსა:
 ღღეს ვირათ მაქციეს,
 მით შემაქციეს.

ჩემ ტოლ-ამხანაგში
 თიავი მომქონდა;
 ვირების დანახვით
 ბუღს ჯავრი მქონდა.

იმათი ყურები
 სიცილათ მქონდა;
 ღღეს ის მიხარიან,
 რომ ვირი მქვიან.

—

ნურავინ დამძრახამთ,
 არა სთქვათ ავი:
 ვის ვირობისთვის
 არ მოსწონს თავი?
 ბედნიერი ვარ, რომ
 ბავხდი მწიხლავი:
 ვინ არს თავის მტერი,
 არ უყვარს ქერი?

—

მოღით, ვისაც გინდათ,
 ზურგზედ შემსხედით,
 ღეზით და მათრახით
 ჩემზედ გამხედრდით,—
 ძერი დამიყარეთ—
 ზემსახურებით...
 ამიკარით პირი,
 მხედავთ ვარ ვირი!
 1868 წ.

—

რას მატყუებთ!

რას მატყუებთ ეს არ არის,
 სატრფოს მე რომ დავეძებდი,
 რომლისათვის თავ გუწირვით
 ჩემს სიცოცხლეს გადავსდებდი.
 ისე არ ჰგავს ეს იმასა,
 როგორც არ ჰგავს ავი კარგსა:

თვალთ აკლია, მარლი არის,
 მრთავ თეძო დამტვრეული,
 მხრებში კუზი, გულში გესლი,
 ნამწეწა და დაღეული;
 ტანთ მუშურა შემოსილი,
 შორით ბრწყინვით თვალთ გვიბნელებს,

ღა რაკი მუშურას აჰხდი
 მძოვრის სუნით აგაყროლებს!
 მე ისევ ის ბებერია,
 სიცოცხლეს რომ მიმწარებდა,
 მხოლოდ ახლების ჩაცმითა
 უნდა ჩემი მოტყუება

ჩემი სატრფო სხვა რამ არის,
 ვითა მზე ჰფენს ქვეყნად სხივსა
 ღა ვინც მას დაიკავშირებს
 ცხოვრებით აუვსებს გულსა;
 ის არის ცხოვრების წყარო,
 მას უესტრფის მთელი სამყარო

ნუ მატყუებთ ის არ არის,
სატრფოს მე რომ დავეძებდი,
რომლისათვის თავ-გაწირვით
ჩემს სიკოცხლეს გადაესდებდი:
ისე არ ჰგავს ეს იმასა,
როგორც არ ჰგავს ავი კარგსა.

1868 წ.

მ მ ზ ო ბ ა რ ს.

წყლოლი გულითა ვისთან წახვალ, ვის ეტყვი შენს დარდს,
ვის გაუმჟღავნებ შენს სატანჯველს, შენს მწუხარებას,
ვინ გაგიგონებს გულის კენესას, გულის ვაებას
და მტკივნეულად ვინ მოისმენს შენი ცრემლის ღვრას!

ვისთანაც მიხვალ, ვისაც ეტყვი შენს სატანჯველსა,
ვისაც შესჩივლებ შენი ყოფის საცოდავობას,
შველა გაკიცხვით შემოჰხედავს შენს ცხარე ცრემლსა,
ზაგირისხდება, რომ უშლი მას ტკბილად განცხრომას.

ვის რათ ეკითხვის დაჩაგრულის მდგომარეობა,
ვის რაში უნდა, რომ სხვის გულში ცეცხლი იღვზნება:
შველა მას სცდილობს, თვითონ კია ამ ცეცხლს გადარჩეს,
და იმას იქით თუნდა ქვაზედ ქვაც აღარ დარჩეს.

1863 წ. მარტი

ზიკი და ცხენი.

(ჰეინელამ)

რკინის რელსებზედ, როგორც რომ ელვა
 ვაგონი გარბის ვაგონს უკანა,
 ბარბის და იმრგვლივ სულ მოლათ ივსება
 ქენესით, ღრიქინით, კომლით ქვეყანა.

სანახიროზედ, ბაკის კარებთან,
 მბა ვირი და მთლათ თეთრი ცხენი:
 შირი ნებივრად კლერტებს ჰკენეტაჲდა,
 ცხენი კი, ვარმით გასიებული,

შესტკერდა რკინის გზის სიარულსა,
 შიშისაგანა უთრთოდა ტანი,
 და მწარე კენესით მოჰყვა მოაქმასა:

„ოჰ, რა დღე არის ჩვენზედ მომდგარი!

„ღმერთს გეფიცები, რომ თვით ბუნებით
 არ მქონდეს ბეწვი გათეთრებული,
 ბავთეთრდებოდი ამდენი ჯაგრით
 ამ რკინის გზების შემაყურალი!

„საშინელი და საზარო რისხვა
 თვით ბუნებისგან ცხენთ მოგედგომია,
 ცხენი ვარ, მაგრამ ვკითხულობ კარგა,
 რომ ცუდი ბოლო ცხენთ გვიწერია.

„ცხენებს ამ რკინის პირუტყვეებისგან
 არას დროს კარგი არ დაგვეყრება:
 სუყველა კაცი ცხენებისაგან
 მაშინებს უფრო მოექიდება.

„რაკი გაიგებს კაცი იმასა,
 რომ უჩვენოთაც კარგათ იცხოვრებს,

მშვიდობით მაშინ ქერო და ბზეო,
ჩვენ ყველა საქმელს გამოგვასალმებს!

„შეა ლბილი არის კაცის გულზედა:
მუქთათ ერთს მტვერსაც არვის მისცემენ...
ზამოცვრეკამენ ბოსლებიღამა

და მთლათ სიცივით ამოგველეტამენ.

„ჩვენ კაცებივით პარვა არ ვიციით,
არც პირფერობა კაცს და ძაღლსავით,
ვერც ვალს ავიღებთ ჩვენ კაცებივით...“

მკ, ღმერთო ჩემო! სულ მთლათ გავწყდებით!...“

ასრე მოსთქვამდა მწუხარედ ცხენი.

პირი კი მშვიდათ ყურებს იბერტყდა,
ღარბაისლურად გაშტერებული

თაეისთვის კლერტებს შეექცეოდა.

ჭამას რომ მორჩა, კუდს უწყო ლოკვა.

„არ შევიწუხებ ამაზედ თავსა,“

ღაიწყო ვირმა მძიმეთ წარმოთქმა, --

„რა ბოლო ელის ვირების გვარსა.

„მს კი ვიცი, რომ ავპარტანავთ ცხენთ

შთუოთ ცუდი ბოლო გექნებათ,

მაგრამ მორჩილთ და მომთმენს ვირებსა

არას ღროს ბედი არ შეეცვლებათ.

„რაც უნდა კარგი მძიმე მაშინა

რამ მოიგონოს ადამიანმა,

მაინც ვირებსა თაეის დღეშია,

არ მოაკლდებათ კეთილ ცხოვრება.

„თვითონ განგება ვირთათვის ჰზრუნავს...“

და ჩვენც ვაფასებთ ჩვენს ხელობასა:

ჩვენც, როგორც მამა-პაპას უზიდავს,

წისქვილში ვზიდავთ მუდამ საფქვავესა.

„მეწისქვილე ჰუქვავს, თვალი ღრიკინებს,
 ტომრებს ავსებენ წმინდა ფქვილითა:
 მიუტანთ შინ ფქვილს, შინ ფქვილს იცხოზენ.
 ქაცნი სძღებიან ამ ნამცხვართა.

„იმავე სოფლისა დაარსებითვე
 ასრე არს ყველგან წესი დამდგარი,
 და თავის დღეში რაც უნდა მოხდეს,
 არ მოისპობა ვირების გვარი..

მორალი.

ჩაინდების დრო ჩავიდა საფლავს,
 ემაყო ცხენთაცა სიმშლილი მოჰკლავს,
 მაგრამ ვირებს კი თავის დღეშია
 პირი ექნებათ ბზეს და ქერშია.

1367 წ.



კინტოური სიმღერა.

თავზედ მადგას დიდი თაბახით ხილი,
 ლავდივარ და მალალი ხმითა ვყვირი,
 რომ ამ ხილში სრულად არ არის კილი,
 და ვფიცულობ, კინტოს პირია-პირი!

მიჯერებენ, დამპალს ხილს ჰყიდულობენ,
 შესკამენ და სულ მთლად ავით ხდებიან,
 მაინც კიდევ ჩემზედ ხელს არ იღებენ,
 რაკი დამპლის ქამას შემოსჩვევიან!

ბულში ვმღერა, ჯიბე გამოკიკნილი:
 „ბიჭმა იცის გამოცინცვლა ფულისა!“
 მუშტარი კი, გუდა-გამოფხეკილი,
 სულ უჩივის თავის მუცლის ტკივილსა.

შველან სცადა დამპალი ხილის წყენა,
 შველამ ჰნახა დამპალს ვაძლევ საღშია,
 მაგრამ მაინც ვერაჲინ დაისწავლა,
 და ქისტის კვრით არ გამაგდეს კარშია.

ნუ ტყუუდდება, რა ძალა შემიძლიან!
 რას გავხდები ერთი ამდენს ხალხშია?!
 თუ პირი ჰქნეს, — ყველამ კარგათ იციან, —
 ბევრსაც მირტყმენ კრუპენტელა თავშია!

მე ერთი ვარ და ისინი ათასი!..
 ლმერთმან ნუ ჰქნას, ისწავლონ მრავლის ფასი,
 თორემ ბევრთან ერთი ვერას გახდება,
 და მუშტართან კინტოს საქმე წახდება!

მაგრამ ვიცი უპირობა მუშტრისა,—
ცოტა კიდევ ეშინიან მუშტრისა!
მეც ეგ მინდა—პირაც მიჭრის მუშტიცა!...
ღამპალს ვაქმევ, გინდ გაუჩნდეს ქუშიცა!

1868 წ.

ს ო ნ ე ბ ი .

(თარგმანი)

შოცხლივევ მკვდარი დიდი ხანია
 ამ კედლებს ქვეშე დაძარხული ვარ,
 სატრფოს, მეგობართ და ბრწყინვალე მზეს
 ბულ მოწყვეტილი დავშორებულვარ.

მხოლოდ მაშინა, როს ქარიშხალი
 ასტეხს მრისხანედ ელვას და ქუხილს,
 ჩემს საპყრობილეს მომესმის ხოლმე
 ხმა სანატრელი თავისუფლების.

მაშინ დამიწყებს ხოლმე ძლიერად
 და სიმწართა გული ცემასა.

მაგრამ განვლილთა წამებათათვის
 არც ვიწყობ კნესას, არც ვაებასა.

ან კი რისთვისა? ვინ გისმენს ტანჯვას?
 ჯაცთა კანონი არვის იბრალებს
 და ლაღადისი არ ესმის თვით ცას

1868 წ.

ბ ე ნ ი ს ი ნ ი ლ ა მ .

ძვირფასს სარეცელს მეფე ელუარდ
 ზანწირული წევს, ელის სიკვდილსა.

აქ მოაგონდა მას ღარიგება
 ზანსვენებული თავის დედისა

— როცა ჰკვდებოდე, — უთხრა დედამა, —
 აღარა გქონდეს არსით საშველი,

ბედნიერს კაცსა გაჰხადე ტანთა
 და შენ ჩაიცივი მის ტანთსაცმელი,

— მაშინ სიკვდილი ველარას გიზავს. —
 მეფეს იმედი უცებ მოეცა.

მან ბედნიერი კაცის საძებრად
 იმ წამს სასტიკი ბრძანება გასცა.

ამ ბრძანებაზედ კიდით კიდემლის
 ღაველენ, ეძებენ ბედნიერს კაცსა,
 სულ მთლად შესძრამენ დედამიწის ზურგს,
 და ვერ ჰპოვენ კაცსა ამგვარსა.

ბოლოს, ბევრი ხნის ძებნის უკანა,
 მართი იპოვეს ძლივს ბედნიერი,
 მაგრამ ამ ერთათ ერთს ბედნიერს კაცს
 სრულად არ ჰქონდა ტანთ ჩასაცმელი.

1868 წ.

ნ ა ბ ე რ წ კ ა ლ ი.

მძინავს და ჩემსა გარშემო სძინავს ყოველსა არესა
 სიბნელე, თვალის დამხშობი, მოედო ყოველს მხარესა.
 ამა სიბნელემ მოიკა ცა და ქვეყანა ყოველი,
 თილისმის სიტკბოებითა იპყრო კაცთ შთამომავალი.
 სძინავთ კაცთ მდევთა ძილითა, ზეცას ისმის მათი ქშენა...
 ცას ღრუბელი მოეფინა, მიწას ბური დაეშენა.
 სძინავთ კაცთა, ბნელით მოცულთ, ბედნივრად და ნეტარათა,
 ქაცთ ცხოვრების ძარღვის ცემა მოსასპობრათ არის მზათა.
 აღარ არის მოძრაობა, არ ბრძანებლობს კაცთ სახელი,
 ღადუმდა და მთლათ მიმტკნარდა კაცთ გონება მძლავრი, მსჯელი,
 ღა ქვეყანა, ქვად ქცეული, აღარ ებრძვის ცხოვრებასა,
 ღაემონა უღლის ზიდვას, ღაემონა მონებასა,
 უცებ სადღაც ნაბერწკალმა მალლა ზეცას გაიფლავა,
 ღა ნათელმა ზეციერმა კაცთ თვალები შეუშსქვალი.
 მაშინ კაცთა შეაჩვენეს სინათლე და მისი ძალა,
 ღა ღმერთს მადლობა შესწირეს, რომ სიბნელე დაამყარა.

1868 წ.

„ #
„

აბა რა დაჰხოცთ მაგათა,
სხვის ოფლსა სჰამენ მუქათათა!

არ განჰგმირავს მაგათს გულსა
არც დარდი და არც ვარამი,
არც იციან თავის დღეში
ქაცის გულის მკვლელი ჯაფრი:
სუყოველ დღე ნადირობენ
ხან კაცსა და ხან თხებზედა,
მოჰკვლენ ნადირს და გულითა
იცინიან მათს ბელზედა.

აბა რა დაჰხოცს მაგათა,
სხვის ოფლსა სჰამენ მუქათათა!

არ იციან თავის დღეში
ჯაფა, შრომა რასა ნიშნავს,
არ იციან — ყინვა დასძრავს,
სიცხე სწვავს და ჯაფა კაცს ჰკლავს:
მის დღეში ვერ მიხედებიან,
რომ არის სადმე მშიერი,
რომ არის ქვრივი, ობოლი,
საწყალი, გლაზა, ტიელი!

აბა რა დაჰხოცთ მაგათა
სხვის ოფლსა სჰამენ მუქათათა!

მქიმთ დასტა ყოველ მუდამ
თავს ადგათ მოკრძალებითა,
შოველ ძირღვის მოძრაობას
უსმენენ ყურადღებითა;
ცივს ნიავს არ აკარებენ,
არ აკლებენ შეგცევებსა,

ხან ქალებს ართობინებენ,
 ხან უმართამენ ბალებსა. .
 აბა რა დაჰხოცთ მაგათა,
 სხვის ოფლსა სქამენ მუქთათა!
 მაგათთვის არც სტიქიონნი,
 არც ბუნება არას ჰნიშნავს,
 თავისი დღეგრძელობისათვის
 დასდებენ მილიონის თავს,
 რას დასდევენ, თუ მაგათთვის
 ხალხი ჰკენეს და ხალხი დრტვინავს,
 თუ ხალხის საცოდაობით
 თვითონ ცაცკი მწარედ ჰგმინავს!
 აბა რა დაჰხოცთ მაგათა,
 სხვის ოფლსა სქამენ მუქთათა!

1869 წ.

ღარიბათ მოსთული და მდიდრათ გამოწყობილი.

(ნეკრასოვიდამ)

I

აჩქარებული თვალით ყურება
 და გაკეთება პირის სახისა,
 შეუხამებლათ ტანთ-მორთულობა—
 შველა გვიმტკიცებს, ვინც არის ისა.
 მაგრამ მოდი და ჯერ ნუ გავკიცხავთ,
 ნუ ვიტყვით მასზედ კუდს ნურაფერსა,
 ისა სჯობიან, თუ გამოვკითხავთ:
 ვით მიაღწია მან მაგ ადგილსა?
 ბრძელი არ არის მისი ამბავი:
 მის მამა იყო მთლათ საცოდავი,
 მრთი საწყალი გლაბა მწერალი,
 ამასთან კუდი ზნისა მჭერალი —
 სულ მთერალი ეგდო და ავგულობდა
 როდესაც რომ შინ დაბრუნდებოდ.
 რა რომ ჰნახავდა დედა ამასა,
 ხელსა სტაცებდა პატარა ბავშვსა,
 ბაიტაცებდა სხვა ოთახშია
 და ჩააგდებდა ძველს კრავატშია,
 დაუკეტავდა მაგრათ კარებსა,
 რომ არ დასწროდა მამის ამბებსა.
 მაგრამ პაწაწას არ ეძინება,
 მსმის, მის მამა რომ იგინება,
 და დედა სტირის ცხარე ცრემლითა
 ბავშვი აწვება კრავატს ხელითა
 და გული უცემს... რა დააძინებს?

ის ჩუმათ ჩითის ფარდებს გადასწევს
 და შესცქერია დაკეტილს კარსა,
 სიღმაც ისმენს სოდომის ხმასა
 ხმა გაკმენდილი იგი ყურს უგდებს
 და შიშისაგან სულს ძლივს იბრუნებს.
 ამ გვარად ჩიტი დიდს ქარიშხალსა
 შიშით ყურს უგდებს, ბუჩქის ძირასა..

ამისი მამა თუმც ავი იყო,
 მაგრამ, როდესაც ბოლო მოელო,
 უფრო ჩასცვივდნენ დიდს გასაჭირსა:
 ცოლი დარდისგან თან გაჰყვა ქმარსა.
 აქ ბავშვი დარჩა უპატრონოთა,
 მშიერ-მწყურვალეთ, მოუვლელათა,
 და ბოლოს გაჰყვა ერთს „მადამასა“
 საკერავისთვის მალაზინშია.
 არ აკერვინეს ბევრი ამასა,
 არც საქმე იყო საკერავშია.

. . . .

II

„მაგრამ რას ვშვრებით? არ დაგვინახოს
 მაგის მახლობლათ მდგომარეები!“
 და აქ შემკრთალნი განზე გავდექით,
 მთლათ სირცხვილისგან ანთებულგები!.
 ვერა, ვერ ჰნახავთ შებრალებასა
 გაკირვებისგან დაცემულგებო,
 ვერ მოესწრობით თქვენს გაკითხვასა,
 თქვენს უნებლიეთ ცოდვის შვილგებო!
 თქვენსა სახელსა მოიხსენებენ

შოველთვის კიცხვით და თაკილითა,
 და სიხარულით მიუტევებენ
 მათ, ვინც ჰყიდიან თავს თვის ნებითა.
 დაუპირვებლად და განუცდელათ
 ნამუსზედ ხელი რომ აულიათ
 და მხოლოდ თავის შესაქცეველათ
 უნამუსობა თავზედ უდვიათ.
 აგერ სამარცხო სარეცელიდამ
 თავ მოწონებით ის წამომდგარა
 და ფერ-უმარლის წასაგლესელად
 დიდი სარკის წინ კობტათ მამჯდარა.
 ზამოპრანქული მდიდრულს საცმელში,
 იგი მშვენიერს ეკიპაჟს სჯდება,
 ისე წაიშვერს კეკლუცად ფეხებს,
 რომ ყველას თვალი იმაზედ რჩება:
 და გაბრძანდება, ნაზათ მზარალი,
 პირველს ქუჩაში, რომ ხალხს ეჩვენოს,
 იმ ქუჩაშია, სადაც რომ ქვეყნის
 მოდა, სიმდიდრე ერთათ ტრიალებს,
 სად დიდკაცობა თუ აფიცრები,
 თუ ლორეტკები, — ვინც კი რომ გნებაჟს, —
 შეველა მორთული და მოკაზმული
 სრულის ღირსებით გაჰოიჩინს თავს;
 სად მთლათ ნახევარ შემოსავალი
 სახელმწიფოსი უცებ ინთქმება
 სხვა და სხვა ქვეყნის საქონელზედა,
 და რუსულისთვის კი არ რა რჩება;
 სადაც დღე და ღამ არს გამართული
 მასკარადი და შესაქცევრები,
 რომლით ამაყობს დედა-ქალაქი
 და თავმომწონე მის მცხოვრებლები:

სად ფრანციკულად და ინგლისურად
 ღაუღმეკითა თვის სახეები;
 დასეირნობენ, შეექცევიან,
 ქობტათ, მდიდრულათ მოპრანქულები,
 სიწამხდრის, გარყვნის, უშვერებისა
 და სიზარმაცას მოდგმით შეილები...
 ის გადაავლებს ამათ თვალებსა.
 ვნახოთ, ვის უფრო უგდებს მახესა?
 აგერ გამოდის კალასკიღამა
 და ლენტით მოჰყავს პატარა ძაღლი.
 მის დანახვაზედ აედევნება
 სიტუტუცისა და მოდის ხალხი.
 ბერს რჩება მისკენ სიშურით თვალი.
 საშურიც არის მართლად ეს ქალი!...—
 აბა რათა ღირს შენი შეხედვა!
 თვალ მარგალიტი, ბრილიანტები
 აღმასის ჯილა, ყვავილთ გვირგვინი,
 საოცნებაო კრუჟევე-ლენტები
 ქაცს გამოიყვანს გონებიღამა
 და შუბლზედ დალით ესე სიტყვები:
 „საქვეყნოთ ქალი ეს ისყიდება!“
 რაო, გარყენილო! რას იყურები
 ამაყის სახით? რით მოგაქვს თავი?
 არამც თუ მართლათ, არაკადაც კი
 საზიზლარია შენი ამბავი.
 შმაწვილი იყავ, პარიჟს რომ მიხველ,
 შენ იქ გაჰყიდე უმანკოება,
 იქ ჩაიკალი გულს სინილისი,
 ისწავლე გლესა და მოტყუება.
 მერე მობრძანდი ჩვენს ქვეყანაში:
 შენ გაგეგონა, რომ აქ, ჩვენს ხალხში
 აღვილათ ჰყვლეფენ დიდს ბატონებსა!

ღიახ, ჰყვლეფავენ! მაგრამ ამისთვის
 აქ თხოულობენ ატესტატებსა.
 ჩვენ ვერ წაგვიძღვეს მშვენიერება,
 ვერ გაგაკვირვებს უსირცხოვება:
 ჩვენ გვინდა იყვეს გამოჩენილი,
 ჩვენ გვინდა იყვეს მოდისა ქალი,
 და უამისოთ ზედ არ შევხედავთ,
 თუნდა რომ იყვეს მთლათ ქვეყნის თვალი.
 აგერა შენა: სიყმაწვილეში
 უფრო ლამაზი კარგიც იყავი,
 მაგრამ შენ მაშინ ღარიბი იყავ,
 და არც მოდაში შესულიყავი,
 იმიტომ ყურსაც არვინ გიგდებდა,
 და არ გიქროდა შენ სამხრო ქარი.
 შემდგომ, შენ ბოლოს, რალაცა ბედმა
 ჩაგიგდო ხელში დიდი ვაჭარი.
 თუმც პირველ ხანად ამ ბრიყვის ხელში
 იყავი მეტათ მეტათ მწუხარე დღეში: —
 ის, როგორც ყველა უშეგერი კაცი
 თან მათრახს გცემდა, თან ფერხთ გკოცნიდა;
 მაგრამ გაგიქრა ბოლოს იღბალმა
 და მხეცი იგი უცებ მორბილდა.
 მან იწყო სწავლა ფრანციკულისა,
 რომ შენთან სიტყვის თქმა შესძლებოდა.
 ამ ხანათ იგდე მარჯვე დრო ხელში
 და შეისწავლე ყოველ მხრივ მოდა.
 შენ გაიჩინე კარგი ცხენები,
 მკიპაეები და მსახურები, —
 დაიწყე ზრწყინვა ქვეყანაშია
 და შემოხვედი დიდს მოდაშია.
 ჩვენც ეგ გვინდოდა! აბა რას დავდევ.

რომ თავსა ჰყიდი როგორც ფარჩასა,
 რას დავდევთ რომა თავით ფეხამდინ
 შენ მისცემიხარ გარყვნილებასა!
 აბა რას დავდევთ, რომ ხარ ტინგიცი,
 ხარ უსირცხვილო, მსუნაგი, ხარბი,
 რომ სილამაზე შენი არ ვარგა,
 როგორც არ ვარგა ძველი პერანგი, --
 არას დაგიდევთ! — ისე ამბობენ
 ბეჯიდათ მკოდნე თქვენის ხალხისა,
 რომ შენს გარყვნაში მშვენება არის
 და ურცხოებაში სახე გმირისა!..
 ბარემ არ გსურდა შენ შვილოსნობა,
 მაგრამ არა ჰქნა ცამ აჯა შენი:
 კბილთა ღრქენით და შეჩვენებითა
 მაჟისა დედა შენც შეიქენი.
 რაკი პაწაწა წამოგეზარდა,
 შენ იგი მორთე მშვენიერათა,
 ასე მორთული გამოიყვანე
 ნევის პროსპექტზედ კადნიერათა:
 თავი მოგწონდა ვაჟის დედასა,
 ბულში სირცხვილის მაგიერათა.
 შინ რას გეტყოდა! ბავშვის დანახვამ
 არ აუძღვრივა არავის გული:
 როგორც ყოფილან აქამდისინა,
 შველანი დარჩნენ შენი ერთგული —
 ჩვენ სიცილათაც არა გვეყოფნიდა
 ბავშვის ცქრიალი, ბავშვური ენა,
 და, პირიქითა, ჭკუის საზრდოსა
 მრავალს ვპოვებდით ამაში ჩვენა.
 და აოცებდა მთელს გვარდიასა,
 რომ ბავშვი ყველას ხელს აწოდებდა

და უძახოდა ყველას „მამასა“
 არვინ აიღო ხელში ტალახი
 და არ ესროლა გარყვნილს დედასა!
 დედის გრძნობითაც იწყო ვაჭრობა
 და უფრო უწყო ყვლეფა ყველასა.
 აგერა მწარეთ ჩამომხმარები
 დაეთრევიან ნევის ნაპირსა
 იმისგნით სულ მთლათ გაყვლეფილეები
 და იწყველიან თავსა და ბედსა.
 მაგრამ კიდევაც მათ მაგალითი
 არვის ჰკუზედ არ დააყენებს:
 ჰიდევ ბევრს გაჰყვლეფუს ეს დედაკაცი
 და ბედზედ კიდევ ბევრს აატირებს.
 რატომ არ იზამს ამ საქმეებსა? –
 ჰკუის სიჩლოუნგე, უსაქმურობა,
 მოდის აყოლა და გარყვნილება
 ჰველა სიმარჯვით უმართავს ხელსა...
 მაგრამ დასცხერი ჩემო კალამო!
 ბევრსაც მოსძიებ ჩვენს უკეთესსა,
 მაგრამ ვერა რა ვერ გაუწყვიათ
 ამათ დამშვრალს მათს კალმის წვერსა.
 შერ შევამცირებთ ჩვენის ნაწერიით
 რუსეთში ურიცხვით სულელებთ რიცხვსა,
 და მხოლოთ ჩვენის დავრდომილის ხმით
 ჰაეშანს მოვფენთ ჰკვიანის გულსა.

1869 წ.

(ჰეინილამ)

ბედნიერება, ვოთა პაწია
 ზოგო, ერთს ადგილს არ დაგიდგება:
 შუბლზედ ხელს გისვამს, თმას გაგისწორებს
 მართსაც გაკოცებს და გაჰფრინდება.

მაგრამ დინჯს მოხუცს, უბედურებას,
 ამგვარი ქცევა ეთაკილება,
 თუ ერთი გნახა და მოეწონე,
 სიკვდილის ღღემლის
 სულ გვედს გიჯდება

1870 წ.

გ ა რ ი ბ ა ლ დ ი ს *)

როს ქვეყანა სისხლით ირწყვის
 და ბოროტი სთქავს ქვეყანას,
 როს სიმართლეს ფეხქვეშ სთეღვენ,
 მართალთ ჰჯენენ გულში დანას, --

მე ნუგეშათ ვხედავ ერთს კაცს
 მძლავრის ხელით ბოროტის მსვრცლს:
 ის მოხუცი ჩვენ, ჰაბუკთა
 თვისის ძალით გულს გვიმხნევენს.

ის გვიჩვენებს, რომ არ ჰშვენის
 ღაერდომა და შიშის ზარი,
 რომ, რაც უფრო საქმე სჭირდეს,
 უნდა ვიყვნეთ გულ-მაგარი.

1871 წ.

*) მაშინ არის დაწერილი, როდესაც გარიბალდი მიე
 შევლა ფრანკუხებს პრუსიელების წინააღმდეგ 1871 წ.

მ ე ლ რ ე ბ ა .

როდესაც ზევსმა ცა დაამყარა
 და ორფეხს მხეცებს მისცა მრავლობა,
 შემდგომ, როს ამ მხეცთ, შურით დაბრმალთა,
 შერ შეიშენიეს ურთიერთობა,
 შველამ დაიწყო ცალკე გაწევა
 და საკუთრებას უწყეს მკვიდრება, —
 მაშინ ყოველმა ხალხმა თავის მხრივ
 ამოიჩინეს თითო მოთავე
 და მიუგზავნეს ღმერთთა მთავარსა:
 რომ მას ენება თავათ თვითონვე
 ბაენაწილა მათთვის ქვეყანა
 და დაეწესნა ვის რით ეცხოვრნა.
 მათ შორის ჩვენი ხალხის რჩეული
 წყნარის ნაბიჯით მიეახლოვა
 შიქრით ღმერთთ ღმერთსა,
 რომელიც ყველას აძლევდა ხვედრსა,
 მისაც რაც სურდა და რასც ითხოვდა.
 ზოგი შესთხოვდა დიდს სიმდიდრესა,
 ზოგი სიმძლავრეს სხვა ხალხებზედა,
 ზოგი შრომასა და ზოგი რასა, —
 ხოლო ქართველი ყურს მიუპყრობდა
 და შესცქეროდა პირდაღებული,
 ზევესისაგან არ შენ-შნული:
 ისა ჰფიქრობდა დიდს და ღრმა ფიქრსა...
 შინ დარჩენოდა ქვევრი მოხდილი. —
 ბოლოს შენიშნა ძლივს ღმერთთა ღმერთმა
 ჩვენი ქართველი გაშ-ერებული
 და ჰკითხა: „კაცო, შენ რაღა გინდა?“

მაშინ მოვიდა გონსა ქართველი
 და შევედრა ზეესსა ცრემლითა:
 — შინ დაგვრჩენია ღვინო ქვევრითა
 და მერმე ისიც სარქველ მოხდილი,
 და გაღვებულებს ღმერთი ძლიერი
 არ დამახედრო ის ცარიელი,
 არ გაუბოძო ისიც სხვა ხალხსა,
 და არ ჩამაგდო მწარე ტანჯვასა.
 ჩემი ქონება, ჩემი ცხოვრება,
 ჩემი ჰკუა და ჩემი გონება
 ის ქვევრი არის, საესე ღვინითა
 და სულდგმული ვარ მხოლოდ იმითა.
 თუ გამომწირავ იმა ნექტარსა,
 აღარ ვიცოცხლებ არც ერთს წუთს თავსა
 „წადი“, უბრძანა ღმერთთა უფროსმა
 „და დაგარჩინოს მარტო ღვინომა“
 1871 წ.

კ ა ნ უ ხ ი.

რას მომტეხიხართ შეგცევის ხმებო,
 რა გინდა ჩემგან გლოვისა ზარო!
 ჩამომეხსენი შენც მწარე მოთქმავ,
 შემშერი თვალზედ ცრემლისა ღვარო!
 მე ჩემს ენასა და ჩემსა გულსა
 პროდეს თქვენს ხმებს არ დავამონებ,
 და მხოლოდ მხნე ხმას, გულ გასაგმირსა,
 ჩემს ყოველს ლექსსა ვამღერებინებ...
 არ მივცემ ნებას მე ჩემსა გულსა,
 რომ დაძალოლმა ამოიკვნესოს,
 არ მივცემ ნებას, რომ ბნელში მყოფმა
 მან სიხარულით გაიხარხაროს.
 მისი ძახილი, მისი სიტყვის თქმა,
 მისი შექცევა და სამღერალი
 უნდა ყოველთვის იყვეს ერთი ხმა,
 ერთი და მუდამ დაუვიწყარი:
 უნდა გაბედვით, თავგამეტებით
 შესძახდეს კაცთა მკვდრებით აღდგენას,
 უნდა ყოველთვის ომახიანად
 წარმოიტყოდეს ზართაღსა სიტყვას;
 უნდა იმედით სდულდეს მის კილო
 და მისი სიტყვა ძლიერებითა,
 რომ თვის სიმტკიცით განამხნევებდეს
 შეშინებულთ და დაძინებულთა, —
 რომ ამცნოს ამით თვის მეგრძოლს მძლავრსა,
 რომ მისგნით იგი არ დაძალოლა,
 რომ მისთ ჯაჭვთა და ბორკილის ხმითა
 ჩემში სიმხნევე გაღვიძებულა;

ამცნოს მას მძლავრსა, რომ მას აროდეს
მხნე გული ჩემი არ ჰმონებია;
ამცნოს იმას, რომ ჩემი სიმართლე
არაოდეს არ დამვიწყებია;
ამცნოს მას მძლავრსა, რომ მისი ძალა
მხოლოდ მიმატებს მე ძარღვში ღონეს,
და უსამართლოდ მისი მოპყრობა
თან-და-თან მე თავს მამეტებინებს!

1871 წ.

ბ რ ძ ო ლ ა .

მტერთა ურიცხვნი დასნი საომრათ აღჭურვილან,
ჩემსა შესამუსრავათ მძლავრათ აღლეგებულან:

აღარ ჰზოგვენ ჩემსასა არც სიმართლეს; არც თავსა,
სუყველგან კარს მიხშობენ, მიკლამენ გულის თქმასა,
ჰდარაჯობენ უცხრომლათ ჩემსა ყოველსა აზრსა,
სდევნიან მოუსვენრად ჩემის სიმართლის გზასა...
რაც რომ გულში გამივლის, ან მომადგება პირსა,
ან თუ უსამართლოჲა განჰგმირავს ჩემსა გულსა,
მტერი-ჩემი ჯალათი — სველსა სპობს მედგრათა
და შორილამ ტაშს უკრავს ჩემსა უბედობათა!

რასა შუოთავ, ჰოი, მტერო! რას დამცინი უძლოურსა?!
რას ჰღელავ სიხარულით, წიხლ ქვეშ მთელავ გულწყლულსა?!
რაც გინდა გაიხარო, რაც გინდა ბევრი სთელო
ჩემი სიმართლის გზანი, — მაინც ჩემია ბოლო.
რამდენიც შეუწყალოდ და ამაყად შეჰმუსრავ
ჩემი გულის პასუხსა და რაც ძრიელ გასთელავ
ჩემი სიმართლის გზასა, იმდენათ ძლიერდება
ამ გზაზედ მიმავალი, და შენ ძალა გაკლდება.
ჩემი სისხლი და ტანჯვა, სისხლით გაუმძღარო,
ნუ გგონია რომ შეგერჩეს: მოვა შენიცა ბოლო,
მოვა ჟამი, როს ძმანი ერთგულათ, მამაცურათ
ჩვენი სიმართლისათვის თავს გამოვიდებთ ძმურათ,
მაშინ ვაი შენ, მტერო! ნუ ჰფიქრობ გამკლავებას,
შენ ველარ გაუმაგრდე ჩვენს ღელვა-მრისხანებას!
მაშინ შენ, მავნე მძორი, კაცთა წამაწყმედელი,
შთანთქათ შენსავ ცოდვებში; შენი სახსენებელი
მივცეთ საშვილი შვილოთ წყევლა შეჩვენებასა,
რომ ვერ ჰპოვოთ სიმშვიდე თვით საფლავის კარგბსა.

ო რ ი ძ ა ლ ა

იმავ სოფლის დაწყებითვე იბრძვის ზეცას ორი ძალა.
 იბრძვის მუდამ შეუწყვეტლად ავი სული კეთილთანა,
 იბრძვის, და მათს ბრძოლაშია, მათს საბრძოლველთ მიწას
მცხოვრებთ,
 მათი ნასროლი ისარი არასოდეს არ ასვენებთ.—
 შოველთვის ასე ყოფილა: სადაც იბრძვიან ბატონნი.
 იქ ზარალით დარჩენილან მათნი მონანი მარტონი,
 არის ბრძოლა შეუწყვეტლივ, ხან ავი სძლევს, ხან კეთილი
 და ამ გვარს მათსა ბრძოლასა არ ჰქონია დასასრული
 ბევრი სცადეს ორთავ მხარემ მტრისა სიმტკმცის დარღვევა,
 მტრისა ბანაკში მტრობა და ძმაზედან ძმის წასევა,
 მაგრამ ყოვლი მათი ხერხი და მათი მეცადინება
 უქმი გამოდგა: ვერაფრით ვერ დაასუსტეს მტერობა.
 მაშინ ბელზებულ მთავარსა თავში ფიქრმა გაუფლვა,
 ფიქრმა სწორეთ ბელზებულის გონივრების შესაფერმა.
 მოაგონდა, რომ მას ჰყვანდა ჯოჯოხეთში ერთი გვარი,
 ლიძახა: „აქ მომგვარეთ ბაგრატიონთ ძე და ქალი:
 მათ იციან ეს ხელობა, მათა აქეთ ეს შენასწავლი,
 მათ დაჰლუპეს საქართველო, მათ გასტეხეს მათი ძალი,
 მათ შთაწერგეს იმათს გულში ძმის მტრობა და ძმისა შური,
 ლიდის ცოდნით დაარღვიეს მათ ერთობა მტკიცეთ კრული!..
 აქ ბელზებულს წინ წარმოდგენს საქართველოს ხელმწიფენი.
 მოახსენეს: .დიდებულო, ეგ ხელობა არის ჩვენი:
 ჩვენ გავყავით საქართველო ვინ იცის რაედენ ნაქრათა
 და გაუბოძეთ სხვა და სხვათ სულ თითო ქიან კაკლათა;
 შოველს კუთხეს დაუწესეთ საკუთარი მეუფობა
 და თავისუფალს ერშია ჩამოვაგდეთ ბატონყმობა.

მან არია საქართველო, ააღელვა ძმა ძმაზედა,
 შური, მტრობა და წასევა მახრისაგან მახრაზედა.

ამან დასცა ეს ქვეყანა, მან დაღუბა მძლავრი ერი:

ახლა მათის ძლიერების დარჩა მხოლოდ ბზე და მტვერი!

აქ ბელზებელ დაფიქრებით მიაბჯინა თითი შუბლში
 და დიდათ შეწუხებულმა, გაიფიქრა მწარეთ გულში:

„მითიც ვნახოთ ეს აზრები მათ მოჰფინონ ჯოჯოხეთში!..“

ხომ დაერჩი მეც მაგათსაეით უსამკვიდროთ სხვისა ხელში!“

1872 წ.

თ ა რ ზ მ ა ნ ი .

პატარა ვიყავ, და ჩემს სახლშია,
 შხიზელსა, მძინარს, შინ თუ კარშია
 როზგით მიდებდნენ ქკუას თავშია.
 მიყავ ამ ცეცხლსა და ტანჯვაშია.
 წამოვიზარდე — მიმცეს სწავლაში
 და აქ ჩავარდი უარეს ქამში.

ღღე და ღამ წიგნზედ სულ სულს მართმევდნენ,
 ტემითა, ტანჯვით მას ჩამძახოდნენ:
 მოკვდი, გასწყვი და გაიგონეო:
 რაც რომ გიბრძანონ — დაემონეო.
 შვებას ველოდი მე სწავლაშია
 და ჩავარდი კი უფრო ქამშია...

ღავდექი ბოლოს ცხოვრების გზაზედ
 და აქ დამესხა ნავთი ცხარს ალზედ:
 ისრე გაჭირდა შოენა გროშისა,
 რომ კისერს მდებდნენ მისთვის ბორკილსა.
 ბოლოს მიბრაღა უფალმა მეკა:
 ცოლის მზითვეში სიმდიდრე მომცა.
 მაგრამ დაჰხედეთ ჩემს მწარე ბედსა:
 ჩავარდი უფრო უარესს დღესა.

სუყველა ვცადე მე უბედურმა
 და ვერ შეუძლო ამ ჩემმა გულმა
 ცოლის ჭინჭულებსა, ცოლის ბაშმაკსა,
 ცოლის შფოთსა და მის გულისყრასა.
 ამ ცხოვრებისა მნახველი დღესა
 წარსულს უგზავნი შესხმა ქებასა:

ღმერთს გეფიცებით, რომ ჩემს ბავშვობას
ჰიგონებ, ვითა ბედნიერებას,
შურების გლეჯას, ვით განსვენებას,
როზგით ცემასა, ვით ცის წყალობას.
1872 წ.

ჩემს სანატაროს.

მოქანცული ტყვეთა ვგდივარ,
 ვიბრძვი, მაგრათ შებოქვილი,
 შენ მოგელტვი, ვერ დავსწყვიტე
 ამირანის ჯაჭვი მსხვილი.

შენდა სატრფოთ თავგაწირულს
 ბული მერჯის ხელი აღარ:
 მითხარ, ჩემო ნეტარებაე,
 ღამენახვე, ნეტამც სად ხარ?

მთლად მომწყვიტა ცხარე ბრძოლამ,
 სიბნელისგან თვალთ მაკლდება,
 მხნე ხმა ჩემი შემზარავი,
 ღღეს არს კვნესა და ვაება;
 ღა, რამდენიც გეტანები,
 ბარს მეხვევა ბნელი მევე,
 სად ხარ ჩემო ნეტარებაე?
 ღამენახვე გამამხნევე

თუ იმედი არა მქონდეს,
 რომ ოდესმე შეგეყრები,
 უშენობით ვერ გაესაძლებ და
 თავს მოვიკლამ, გეფიცები:
 ამ სიცოცხლეს სჯობს სიკვდილი,
 თუ ვიცოცხლო — ვგავდე ცოცხალს!
 სად ხარ ჩემო ნეტარებაე,
 რათ არ მასმენ ცხოვრების ხმას?

ნუ თუ ჯერაც არ გაივსო
 მსხვერპლით თხრემლი, წინ რომ გვიდევს,
 ღა თვისის უბსკრულის ძირით

ქიდევე ბევრს ხანს დაგვაშორებს!
იკმარი შეწირული,
ისმინე ხმა ვაებისა,
 შამობრწყინდი ნეტარებავ,
 მოგვეც სხივი ცხოვრებისა!
1873 წ.

ბაყაყებისგან მეზის თხოვნა

(კრილოვიდამ)

ბაყაყებს არ მოეწონათ, რომ თავისუფალნი იყვნენ, რომ ყოველს თავის საქმესა თავად თვითონ აოიგებდნენ, რომ ბრძანება არა ჰქონდათ, მეფეები არა ჰყვანდათ და არაფერსა საქმეში ძალას არვინ არ ატანდათ.

„რა ხალხი ვართ! — იძახოდნენ, — რომ მეფეც კი არა გვყვანდეს! რომ მას მთელი ბაყაყეთი თვის ნებჯზედ არ დაჰყავდეს!

მის ერთგულება, დიდება, სასოებით თაყვანება

ჩვენ სულ გაგვაპატიოსნებს და ვილა შეგვედარება.

თუ არა გროშათ არა ჰღირს ამ გვარი ჩვენი ცხოვრება:

თავისუფლად მას ჩავდივართ, რაც რომ ჩვენ გვეპრიანება.

ზვინდა ვსხედვართ, გვინდა ვდგევართ, ვსჯამთ როდესაც გვიამება,

დავსვირნობთ, დავნავარდობთ, სადაც რომ მოგვეწონება;

არცა გვცივა, არცა გვცხელა, გვაქვს რალაც მყუდრო ცხოვრება!

ამ გვარად მუდამ სიცოცხლე არის მთლად ამაოება!

არა სჯობს, რომ მეფე გვყვანდეს, მის ბრძანებასა ვმონებდეთ,

და მის დიდებულს სიტყვასა ერთგულათ გავიგონებდეთ?!“

მაშინ ბაყაყთ, ცხარეს კრემლით ღმერთს შესტირეს დიდებულსა:

„თუ კი სხვებს უბოძე მეფე, ჩვენ რალათ დაგვაკელ გულსა?

„ზვიწყალობე, ღმერთო, მეფე, გვედრებით ბაყაყები,

თუ გინდა რომ წინ დაგიდგათ კლავის სიმსხო კელეპტრები“

თუმცა ღმერთებს არ შეჰშვენით სისულელის ყურის გდება,

მაგრამ ისე ცხარე იყო ბაყაყთ კრემლი და ვედრება,

რომ თვით ღმერთთაც გაუჭირდათ მათი ყურის არ დაგდება:

ღმერთებს ცხარე კრემლი უყვართ, ეს ყველას მოეხსენება.
 მაგრამ, რაკი ღმერთთ იცოდნენ, რომ ბაყაყებს ესე თხოვნა
 მოსდიოდათ სიბრძევეთა, და რომ იმათ მეფის შოვნა
 საუკუნეთ დაჰლუპავდათ, და ბოლოს ბევრს ინანებდნენ,
 ამის გამო განიზრახეს და ამ განაჩენზედ დასდგნენ,
 რომ მათ შეესრულებინათ ბაყაყების სათხოვარი
 და მიეცათ მათთვის მეფედ უსულო და უვნებარი
 მართი დიდი მუხის ჯირკი, გათლილი და გაგლესილი
 და ნამდვილი მეფესავით თაღლითებით შემოსილი.
 განიზრახეს და ზეცილამ მუხის მეფე ჩამოაგდეს,
 და კინალამ ამ წყალობით ბაყაყეთი ამოაგდეს:
 ამ საშინელს ხანთქანზედა ბაყაყებს ეცა თავზარი.
 და მთელი ერთი საათი ქაობს გაჰქონდა ზანზარი.
 მლდისაგან ბაყაყები ეძგერენ სამალავებსა
 და თითო ჯუჯუტანაში ასობით ჰყოფდნენ თავებსა.
 დიდ ხანს იყვნენ ბაყაყები ამ 'შიშა და ვაგლახ'შია.
 ფათერაკი არა სჩანდა. ამა საზარელს ხანშია
 ბადიარა შიშის ზარმა, ბაყაყებმა მოიხედეს,
 ბული გულის ადგილასა ჩაიგდეს და მოისვენეს;
 მაშინ იმათ ჩუმ-ჩუმათა თვალები გამოაქყიტეს,
 სამალავებიდამ მეფეს ჩუმით ყურება დაუწყეს.
 დიდებული მეფის ნახვით ბაყაყები მთლად გაოცდნენ
 და ნეტარების სახმილით ძვალთ რბილამდის გაივსნენ.
 მართლაცა და ბაყაყთ მეფე საოცარი ბრძანდებოდა,
 მის სახეს და სამოსელში დიდება ისახებოდა:
 მშვიდი, წყნარი, უზბარი, დიდი და აბრაოიანი,
 ღარბაისლურად დონჯით, რიხიან ომახიანი, —
 მართის სიტყვით ყოველისფრით იყო მეფე შემკობილი,
 მაგრამ ამ დიდებულს მეფეს ჰქონდა მხოლოდ ერთი კლი:
 არცა ჰქონდა ყურთა სმენა, არც გრძნობა და არცა თვალი; --
 მართი სიტყვით ჯირკი იყო, ძველი მუხის განათალი.

რა ბაყაყების შეხედვა დიდებულმა არ იწყინა,
 მაშინ ბაყაყთ ცოტ-ცოტათი დაუტოვეს თავის ბინა,
 თავის მეფის თაყვანება განიზრახეს გულთა შინა,
 ჩოქის რთვით და დაოთხილნი წარდგნენ კრძალოვით მეფის წინა.
 რადგანაც რომ სასწაული შორილამ გვჩანს სასწაულად,
 და როდესაც ახლო ვნახავთ, აღარც კი გვეკოფნის სიცილად,
 ისე ბაყაყთ და მათ მეფეს ესევ საქმე დაემართათ:
 შორილამ ბაყაყთ თვის მეფე დიდათ რაღათაც მიაჩნდათ,
 და, რაკი რომ ახლო ჰნახეს, იმათ თვალნი შეუმართეს,
 და ცოტ ცოტა შიგა-და-შიგ საუბარიც გაუმართეს.
 მემრე უფრო გამბედავნი, მეფეს გვერდზედა მოუსხდნენ,
 ზოგი მასაც არ დასჯერდა, უზრდელათ ზურგსაც აქცევდნენ.
 რა შეატყეს, რომ მათ მეფე იყო მეტად ღმობიერი,
 არა სჯიდა სიბრიყვისთვის, არვის უთხრა არაფერი,
 მაშინ ბაყაყთ უარესად მეფეს ხელი შეაჩვიეს,
 ჯერ დაღრეჯით, მერმე ჯგვლემით საპამულოდ გადაქციეს.
 არ დასჯერდნენ აღარც ამას, თავზედ ჩაჩი ჩამოაცვეს,
 მეფის სამკაული მოღსნეს, ტანს ქილობი გადააცვეს,
 ზედ ათურმას თამაშობდნენ, აბტებოდნენ კისერზედა,
 შემურეს და ლაფი მოსცხეს მას დიდებულს ცხვირ პირზედა.
 რა მეტის მეტი მოთმენა და სიმშვიდე მას შეატყეს,
 ბაყაყთ ესეც ითაკილეს: „რა მეფეა! შემოსძახეს --
 „რომ საპანულოდ გახდომა სათაკილოდ არ მიაჩნდეს!..“
 და ღმერთებსა ბაყაყებმა მუხლ-მოდრეკით შეკლადადეს:
 „ღმერთნო, მალლა ზეცას მსხდომნო! რა შეგცოდეთ, რა გაწყინეთ,
 რომ მეფეთ რაღაც პამულა სამასხაროთ მოგვივლინეთ?
 ბეწყალობეთ თქვენსა მადლსა, მეფე ყოვლად შემძლებელი,
 მეფე, მეფური გცევისა, ძლიერი და დიდებული.“
 მაშინ იმათ ღმერთთა ღმერთმა მეფედ მისცა ერთი სვაფი,

და სვავთ, ხომ მოგეხსენებათ მეფურად უჭირავთ თავი.

სვავმა საბაყაყეთშია გასცა ამგვარი ბრძანება:

. მე მეფედ თქვენად მოვსულვარ, თქვენ გმართებთ ჩემი მონება.

დამნაშავეთ დასასჯელად მე მაქვს ერთი სამართალი. .

შემცოდენი მე არ მიყვარს, და მეჯავრება მართალი.

მე არ მიყვარს ქვეშევრდომთა შინ სხდომა და მცონარება,

და, ვაი იმის ბრალიცა, ვინც გარეთ დამენახვება;

არ გაჰბედოს არავინა, რომ ყოყინით შემაწუხოს,

და ვაი იმის მშობელსა, ვინც ყოყინი არ დაიწყოს!

რ მოუთმენ ქვეშევრდომთა მე ამ გვარსა ურჩებასა,

და ვინც ამაებს დაარღვევს . იმ წამს გავედენ ყლაქანსა!..

და რომ ამისი ბრძანება ბაყაყებს არ დაერღვიათ,

მრისხანედ და დიდებულად, აკპარტავნულად, მეფურად

მეფე-სვავი დადიოდა, დამნაშავეთ დაეძებდა,

და რადგან ყველა ბაყაყსა, რომელიც კი შეხვდებოდა,

მართი რამე შეცოდება მეფე-სვავთან ექნებოდა,

ამის გამო ის ყველასა უცებათ ყლაქანს ადენდა.

ბადიოდა დრო და ჟამი, ბაყაყეთი განახევრდა:

ღღეში ათასს ბაყაყს სვავი თვის სვავს მუცელში აძვრენდა.

ზახდა ერთი გლოვის ზარი, შეიქნა შიში და ელდა:

მაშინ მიხვდნენ ბაყაყები, რაც სიბრიყვე ჩაიდინეს,

და გულმტკივნეულად ღმერთებს მათ ცხარე კრემლით შეს-
ტირეს:

„ღმერთნო, ღმერთნო, დიდებულნო! რა შეგცოდეთ აგრეთიო,
რომ მეფე-სვავს შეაყლაპეთ ნახევარ ბაყაყეთიო?

ჩვენ ამგვარი მრისხანება თქვენგნით ჯერ არ მოგველენია,

არც გვალვა, არცა სიმშილი, არც ჯოჯოხეთის გენია

თქვენგნით ბოძებულს მეფესა არაფერი არ ედრება!

თქვენს მადლსა და თქვენს სახელსა შეგვისმინეთ ეს ვედრება:

ჩვენ მეფე სვავი არ გვინდა, მოგვეციო მეფე ნამღვილი.“

მაშინ ღმერთთა გადმოსძახეს: „ისმინეთ ჩუენი თხრობილი:“
ლაგვიჯერეთ და დასჯერდით, ვინც რომ მეფედ თქვენ გყავთ
დღესა

თორემა ნამდვილი მეფე თქვენ დაგმართვეთ უარესსა!“

1873 წ.



ბ ა ტ მ ბ ი

(კრილოვიდამ)

უზარმაზარი გრძელი ფურჩხითა,
 შილაც გლევკაცი, ფაცხა-ფუცხითა,
 მრეკებოდა ბატის ფარასა:
 მჩქარებოდა ბაზარ ალაგსა.
 უნდა სწორედ სთქვას კაცმა მართალი,
 თუმცა არ იყო ეს სამართალი, —
 მაგრამ გლევკაცი გაჩქარებული,
 თავაზაზედა ხელ აღებულა,
 უშხაპუნებდა ბატებს შხებლასა;
 მსწრაბებოდა ქალაქს შესვლასა,
 რომ იქ აეღო ბატებში ფული;
 და მოგებისთვის, არამც თუ ბატებს,
 ქაცსაც დღენი აქვს ჩამწარებული.
 და ამაში გლევს ვინ გაამტყუნებს.
 მაგრამ ბატები ამბობდნენ სხვას,
 აი, მომავალს გზათ ვილაც კაცსა,
 ამ გლევკაცზედა ვით შესჩიოდნენ
 და თვის მწარე ბედს ვითა სტიროდნენ:
 ..ჩვენზედ უბედურს ბატებს ვინ ჰნახავს! —
 რაც უწყალობა ჩვენ დღეს გვადგია,
 მის დღეში არა ბატს არ უნახავს
 და არა პირუტყვს ეს არ ადგია:
 მართი შეჭხედე ამ კანქ-ჩახვეწილს
 სოფლის უბრალო ყარტლიანს გლევსა,
 რა გაუზდელად მოგვდევს და გვდევნის

და ქვეშაპუნებს ქრცხილის უხეპლებსა!
 ისე გვექცევა ჩვენ, როგორც სხვეებსა,
 უბრალო დაბალს ბატის უვილებსა,
 ის კი არ იცის მაგ გაუზრდელმა.
 რომ იმ ბატების მოდგმა ვართ ჩვენა,
 რომელთაც ერთხელ, როდისღაც ძველათ,
 რომი წახდენას გადურჩენიათ,
 და ამ ბატების სადიდებლად
 რომში დღეობაც გაუჩენიათ.“

— მგ ყველა კარგი, — უთხრა მათ მგზავრმა,
 მაგრამ მიბრძანეთ: ახლა თქვენგანმა
 ვინ შეიძინა ქვეყნის დიდება?
 . ჩვენთა წინაპართ დიდებულს რომსა...“

— მგ ყველა ვიცი და მეყურება,
 მაგრამ შითხარით, თქვენ თავის თავათ
 რა სამსახური გაგიწევიათ?
 „ჩვენა, ბატონო! ჩვენთა წინაპართ
 რომი წახდენას გადურჩენიათ.“

— მგ ყველა მჯერ, მაგრამ მიბრძანეთ,
 თქვენ რა საქმენი ჩაგიდენიათ?—

„ჩვენ არაფერი! თუ ჩვენი ბრძანეთ?“

— თქვენ არაფერი! მაშ რად გწყენიათ,
 ან რითი მოგაქვთ აგრე თავები;
 თუ თქვენთ წინაპართ გადურჩენიათ
 და დაუხსნიათ რომაელები,
 იმათ დიდებაც ღირსი ჰქონიათ,
 და რადგან თქვენა არ დაგიცვიათ
 წინაპართ საქმე, წინაპართ წესი, —
 არაფერშია არ ვარგებულხართ, —

არ გეკადრებათ მაშ უკეთესი
და შეხებლებისა ღირსი ყოფილხართ.

—

ამ არაკს უფრო კარგათ აფსხნიდით,
მაგრამ მით ბატებს გაეარისხებდით.

1873 წ.

—

მგელი და ბატკანი.

(კრილოვით)

სადაც ძლიერთან უძლურსა
 ჰქონია როდისმე საქმე,
 იქ სუ ყოველთვის უძლური
 ღარჩენილა დამნაშავე.
 ასეა ასე ყოფილა,
 ასეც იქნება დიდს ხანსა,
 და ამის მაგალითისთვის
 ბიამბობთ ერთსა ამბავსა.

მართხელ ერთს ძლიერ ცხელს დღეში
 ერთს ბატკანს მოსწყურებოდა
 და მოსაკლავად წყურვილის
 წყაროს წყალს დასწათებოდა
 საუბედუროდ ბატკნისა
 ამ ადგილებში მშვიერი
 და მწარედ გადაღწეული
 დასუნგელოაობდა მგელი.
 ამ სუნგელსა და სუნსულში
 მგელმა ბატკანს მოჰკრა თვალი
 და მეტის სიამოვნებით
 დააწყებინა კანკალი.
 მაგრამ მძლავრთა ესეცა სჭირთ.
 რომ თავის ცუდსა საქმესა,
 ცუდათ არვის ეჩვენოსო, --
 ადებენ რჯულის სახესა.
 ამ მგელმაცა ბატკანზედა
 მონინდომა ეს ხრიკები

და შორიდამვე დაუწყო
 იმას ამ გვარი სიტყვები.
 ..როგორ გაჰბედე შე ურცხო,
 შე მყრალო და შე უზნეო,
 დასაღევათ ბილწი პირით
 ჩამოსულხარ ჩემს წყალზეო;
 მწარეული და მურტალი
 მიმღვრე და მიყროლებ წყალსა!
 მაგ გვარი თავხედობისთვის
 მხლავე წაგგლეჯავ თავსა!“
 ამ გვარს მრისხანე სიტყვებზედ
 ბატკანმა ძლივას გაჰბედა
 და მათსა ბრწყინვალეობასა
 მგელს მისგან ესე მოხსენდა:
 —თუ რომ ბრწყინვალე მგელი ინებებს
 და მოიხსენებს ჩემს სიმართლესა,
 მე ვერას ღონით და ვერა გზითა
 შერ ავამღვრეკდი წყალს, მის სასმელსა:
 თქვენა ბრძანდებით მალლა იმ ქედზედ
 სიღამაც წყალი ძირში ჩამოდის,
 მე ძირს გახლავართ და წყალს იქა ვსვამ.
 თქვენს მოშორებით ათასის ბიჯის;
 და არ სმენილა, რომ დაბლიღამა
 წყალი მალლობზედ ამღვრეულიყვეს,
 და ამის გამო ჩემი სმა წყლისა
 თქვენი საწყრომი არ უნდა იყვეს
 , მაშ, შენი სიტყვით, მე ვტყუვი რალა?—
 მართი შეჰხედე რაებს მიბედავს!..
 შენ ისაც შეგრჩა, რომ შარშან წინა
 სწორედ ნამღვილად ამავე ადგილას,
 ბრიყული გცევით გამათახსირე!

შენა გგონიე, რომ შენი გცევა
 ღლევანდლამდისინ დამეიწყებოდეს
 და არ ჩამაჩნდეს გულში ისევა?"
 — როგორ გვიბრძანებთ მაგ გვარსა წყრომას -- !
 კიდევ შეჰბედა ბატკანმა მგელსა
 -- ორი წლის საქმეს მიბრძანებთ თქვენ მე,
 ორი თვის ბატკანს, ძუძუ მწოველსა. -
 „მაშ თუ შენ ჯერა ორი თვისა ხარ,
 შენი ძმა იყო მაშ სწორედ ისა.“
 — არც ძმა მყოლია, რადგანაც მე ვარ
 ხულ სიყრმის შვილი დედიჩემისა. —
 „თუ არც ძმა იყო და არც შენ იყავ,
 მაშ იყო ვინმე თქვენი გვარისა:
 თუ არც ვინ თქვენი გვარისა იყო,
 მაშ იყო ვინმე თქვენი ფარისა..
 მართის სიტყვითა, განა არ გიცნობთ!
 თქვენცა და თქვენი მეცხვარებიცა,
 თქვენი ფარისა ყველა ძაღლები,
 თხებიცა და თვით მათ ციკნეპიცა
 ჩემი მტრობილამ ვერ ამოსულობართ:
 თქვენს ხელთ რომ იყვეს და რომ შეგეძლოთ,
 ბანა მარტო მე, მთლად მგლის სახელი,
 მგონებ საცაა, ყველგან გაგეწყობთ.
 იმათს ჯავრს და იმათს ვარაშსა
 ხულ შენზედ ვაყრი ეხლავ ემ წამსა!
 — ბრწყინვალე, მგელო. სხვამ რომ შეგცოდოს,
 სხვის ცოდოებში მე რა ბრალი მაქვს? —
 „ხმა ჩაიკმინდე! ვინ გკითხავს შენა
 ბრალი გაქვს აქ თუ ბრალი არა გაქვს!
 შენ ის ბრალი გაქვს, რომ კვირე გადის
 და არ უნახავს ჩემს პირს ნაყრია,

და შიმშილისგან აქეთ-იქილამ,
შერდი ლასტივით ფერდზედ გამკვრია.“
 ამ სიტყვის შემდგომ მგელმა ბატკანსა
ზაჰკრა კბილი და გასწია მთასა.
1873 წ.

შვანის და მელა

(კრილოვიდამ)

შვეყნისა გაჩენილამვე

ზაიძახიან ამასა:

პირფერობა და პირს ქება

ავენებს და არცხენის ყველასა.

მაგრამ დაუხშეთ ჩვენ ყური

პირში თქმას, სიტყვას მართალსა

და გული ჩვენი გაუღეთ

ცრუ მაქებას და მუხთალსა.

მრთხელ ერთს ყინჩლიან ყვავსა,

საცალას სანცხვეზება

მპოვნა ყველის ნაქერი

და გამჯდარიყო ხეზება.

ზახარებული ტრფიალით

დასცქერდა ყველის ნაქერსა,

ხან ნისკარტს უჯიჯგვირებდა,

ხან მოუქერდა კლანჭებსა:

ჭლალობს, ჰნავარდობს, ყვაჩალობს,

არის ერთს შექცევამია

ამ დროს მახლობლად მელია

ცუნცულებდა ქალაშია.

ქუქ დამშეულსა მელიას

შორსვე ეცა ყველის სუნი,

სთქვა: „თუ ამ ყვავს არ უხერხე

მაშ წამიწყდეს მამის სული!“

მსა სთქვა და ჩვენი მელა

ზაინაბა, გაიწურა,

ზაძგაბილი გაიპარა,

ქულიც ქვეშ ამოიძუა,

შეძერა ჩუმათ მუხის ქვეშა,
 სადაც იჯდა ყვაფი წვერზედ
 და ის იყო აპირებდა
 შექცევას ყველის ნაქერზედ.
 შუყს ჩაცუცქდა აქ მელია
 შვავს განუპყრო ორთავ თათი,
 ბანცვიფრებით შეპყურებდა
 და დაუწყო მასლაათი:
 - ბენაცვალეთ, რასა ვხედავ?
 მს მშვენება რისა არის:
 ზეცით სხივი მოვლენილა, -
 თუ რამ სამოთხისა არის?
 მრთი შეჰხეთ მის კისერსა,
 მის სარო ტანს, ბროლის მკერდსა,
 შარშავანგის ბოლო, ფრთებსა
 და ნისკარტსა ზეციერსა!
 შეჰხეთ ფეხებს!.. შეჰხეთ თვალებს...
 რა მშვენიერათ აყრიალებს!
 შეჰხეთ ბუმბულს!.. შეჰხედეთ გულს...
 მნა უჯობს მშტვენელს ბულბულს.
 ჩუმათ არის, ხმას არ იღებს:
 მსა ჰნიშნავს სინაზესა...
 ნუ თუ თვის მშვენიერებასთან
 არ მოგვასმენს თვის ტკბილს ხმებსა?
 ნუ გრცხვენთან ცის მნათობო,
 შემოსძახე გალობანი,
 და, თუ მაგ მშვენიერებასთან
 შესაფერიც გაქვან ხმანი,
 მაშინ ყოვლისფრით შემკობილს,
 შოვლისფრით შეხამებულსა,
 შთუოთ ყველა სულდგმულნი

ღაგადგმენ მეფის გვირგვინსა.“

ამ გვარმა შესხმა ქებაჲ

ბაუბრუვა ყვავსა თავი

და დაავიწყა სრულებით,

რომ იყო ყვაჲალა ყვაფი:

ხრინწიანის ყვავის ხმითა

მოჰყვა ჩხავილს, გაჰხსნა ყელი,

ხახა ღიას, საცოდავს ყვავს,

პირიღამ გავარდა ყველი.

მელიასაც ეს უნდოდა,

იმ წამს სტაცა პირი ყველსა

ეს დამართა პირში ქებამ

ჟავს, მშვენიერს მგალობელსა

1873 წ.

მელა და შურამნი.

მართხელ მაწანწალა მელა,
 სიმშილისგან მიყმენდილი,
 შესუნსულდა ნელა-ნელა,
 ვენახში, ყურ დაცქვეტილი.
 მისუნსულდა, მოსუნსულდა,
 ნახა დიდი ხეივანი,
 ზედ ებარდნა ქარვასავით
 შვითლათ ყურძნისა მტევანი.
 სიხარულით მელიამა
 სცქვითა ყური, პრიწა თვალი,
 მეტის მეტმა სიამემა
 წამოჰგვარა პირას წყალი.
 მაგრამ დაჰხე ბედის წერას,
 ხეივანი მალლა იყო,
 და ვერ შეეძლო მელიას
 შურძნის მტევნებს შესწდომიყო.
 შუყს ჩაცუცქდა ბოლოს მელა,
 შესწკმუტუნა, ჩაჰკრა კბილი,
 ვერცარა ამან უშველა,
 და ვერ ჩაიტკბუნა პირი.
 შეხტა მალლა, შებზაკურდა
 წაატანა მტევანს პირი,
 მაგრამ მაინც ხახა მშრალი
 რჩებოდა ის უბედური.
 ხან განს გახტა, ხან კუდს უქნევს,
 ხან შეჰყეფს და ხან შესწკმუის,
 მაგრამ მაინც საბრალოსა
 ვერცარაფერს ესა ჰშველის.

რა ვერას გახდა მელია,
ვერ მისწვდა ყურძნის მტევნებსა,
სვედისა გასაქარვებლათ
ამბობდა ამ გვარს სიტყვებსა:
_ ჯერ სრულებით ისვრიმია,
მკვახე და მოუსვლელები,
რომ შემეკამა უთუოთ
მთლათ დამცვივოდა კბილები
1873 წ.



ეწამეთ!.. თქვენებრ ეწამენ
 მართლისთვის ჯვარზედკმულები
 და მტერს არსად არ უნახავს
 შემდრკალი მათი გულები!
 ეწამეთ! წარბსაც ნუ შეჰხრით,
 ბული ფოლადებრ იწრთვენით,
 ჯალათის ცულსა, შემართულს,
 ამაყათ მიეგებენით!
 ზამხნევდით და სიმხნით თქვენით
 ამცნობეთ თქვენსა მდევნელსა,
 რომ ბასრი მისი ვერ, შესდრეკს
 ბულსა, მართლისთვის მგლეჯელსა.
 ეწამეთ, სისხლი დანთხიეთ,
 მორწყევით მდელი და ველი
 და თქვენი საქმით აღბეჭდეთ
 მიწის ნაბიჯი ყოველი,
 რომ ამ ადგილას მოსული
 ტესლით გცეულით პურათა,
 ქაცთ ყველა თქვენი საქმენი
 ძარღვს შესდიოდეთ სისხლათა...
 ეწამეთ! და სისხლი თქვენი
 მზეებრ გამოჰფენს ნათელსა,
 ზანაბნევს ბნელსა უბსკრულსა,
 ბნელსა, სიმართლის მფარველსა!
 ზანაბნევს... და განანათებს,
 დაჰბადებს დღესა ცხოველსა,
 ჰველა ჩაგრულს და დავრდომილს
 ის აუხილებს თვალებსა.

თვალ ახელილნი თქვენს საქმეთ
პაცისა გულზედ დასწერენ,
რომ ამ საზიზღართ ჩვენთა დღეთა
ჩვენთ შვილთა მოაგონებდნენ,
მოაგონებდნენ ძრწოლით, რომ
აღარ დაბრუნდნენ ეს დღენი.
აღარ განახლდნენ ხელახლად
პაქთ სამარცხვინო საქმენი!

1876 წ. 6 დეინობისთვის.

ს ი ბ ნ ე ლ ე .

(თარგმანი)

იმ სანატრელსა დროსა, ჩემი უმაწვილობისას,
 ბრწყინვალე გზას ცხოვრების და თავისუფლებისას
 მე მხნედ გამოვდიოდი:

ჩემს თვალწინ აღდგებოდნენ კაცნი მღვენი, გმირები.
 მჯეროდა, მათი სიმხნე, ქადილი და სიტყვები,

დაწყობა და იმედი;

მჯეროდა, რომ ყველანი ერთპირად ძლიერს მტერსა
 მედგრათ ჩავერეოდით ძართალი საქმისთვისა,

და, გაივლიდა ხანი,

ღედა-მიწა უმაღვე უსამართლოებასა

მორჩებოდა; ახალი, მოწმენდილს ლაჟვარდს ცასა,

დაჯდებოდა ვარსკვლავი.

ჩემს თვალწინ ამაყათა იშლებოდნენ დროშანი,
 მპირულის ხმით და ჭეჭვით ისმოდა ვაჟკაცთ ხმანი,
 ბუღს სევდას გადაგყრიდნენ.

მს გმირული ძახილი მედგრათ გამოგვითხოვდნენ
 მტერზედან საომრად და ძლევას აღგვითქვამდნენ,

მითი გაგვამხნეებდნენ.

ძაცთ ნუგეშო, იმედო, დიდო მალალო აზრო,
 სიციხემ დაგწვა, ტეხერამა გაგყინა და დაგაზრო,—

მავნე ხელთა დაგახმეს!

ბრწყინვალე სხივი მალლის, დიდებული წყობისა
 ზახდა მსხვერპლი მტარვალთა ძლევამოსილობისა,

მის ძარღვიც კი აღარ ჰფეთქს!

მღვეის მსგავსი გმირები შეიქნენ ქონდრის კაცად,
 უსამართლობის უღელს კისერს უშვერენ დაბლად

და ჯაკვის ჩხარუნითა

მტრის ფეხქვეშა შიშითა ფიანდაზად ავიან,
შესარცხვენად, საზიზღრად ქვეყანას შესცქერიან
შსირცხვილო პირითა!

ღანტვრეული აბჯარი, ღროშა ფეხქვეშ ნათელი,
ძილი, ბრძოლისა ნაცვლად, ღმერთად გამხდარი მტერი,
ჩუმობა და მონება—

შველა გულის საკლავად ჩვენ ამაზედ გვარწმუნებს,
რომ კაცს კიდევ ბევრს ხანსა უნდა კისერზედ აწვეს
საქვეყნო ბოროტება.

მხოლოდ ათასში ერთხელ ესე უფრსკული ბნელი
შცებათ განათდება. ხმა გამამხნევებელი
„ღროა!“ შესძახებს ხალხთა,

ქაცთ შეცკრთაღთ, დაძინებინებულთ ის დარცხვენით
ჩასძახის

სიმარაღისათვის ბრძოლას, მოსპობას ბოროტების

აღღგინებას მართაღთა:

შაშინ თითქო კიდევცა კაცნიც დაცოცხლდებიან,
აქა-იქა გაბედვით გულნიც აღელდებიან,
შაგრამ ყველა მყის ჰქრება...

მწუხარებით, დავრღომით ეს გმირის ხმაცა სწყდება,
შა ისევ ხელახლათა ქვეყანაზედა რჩება
შატონად ბოროტება.

1976 წ.

ნეტამც რად ვარ.

ნეტამც რად ვარ შეუწყვეტლივ
 ასრე მწარედ აღრეული,
 ასრე მტკივნად რას შემკვნესის
 სამარის ხმით მგრძნობი გული.
 რათ მემღვრევა ხშირათ თვალი,
 ცრემლთა ღვრას არდაჩვეული,
 მიდულს ტვინი, მიჩქეფს გრძნობა,
 წამებისგან ქვად ქცეული?..
 რას მექადის, რას მასწავის
 წინად გრძნობა ეს წყეული?
 ნუთუ მძლავრი გულის ცემა
 იქნეს მტრისგან დაძლეული?!..
 მაგრამ რაა? რისგან არის,
 რომ ეს სევდა აღზნებული,
 როს გისახავ კაცთა შეგებავ,
 შეიქნება გაპნეული?..
 მითხარ, ტურფავ, სისხლით ზრდილო
 რათ შესქვალე კაცთა გულ,
 თუ შენამდის სავალსა გზას
 არ ექნება დასასრული?
 ნუთუ სისხლი ცრემლი, გლოვა,
 შენთვის ქვეყნად დაბრქვეული
 უნდა იყვეს ლაღადისი,
 უდაბნოში გაპნეული?! .
 თუ ასრეა, დასცხერ, გულო,
 ნუ აპყვები წუთის თქმასა,
 ნუ აპყვები სიზმრისაგან
 ბატაცებულს ოცნებასა:

ვითა უნდა მოისვენოს
მან, ვინც ბნელსა დაუპყრია,
ვისიც ძალა და სიმართლე
მძლავრის ხელსა აღუფხვრია!
ვითა უნდა დაიდუმოს,
ვის პურის წილ ქვას აწვდიან,
ვინ სიმშლით შეიღოს ხორცს აგლეჯს,
ვის კაცათაც არ ჰხადიან.
8 მკათავეს 1877 წ. ქ. გორი

—

ზ მ ო ბ ა.

ტრაგედიიდან „განწირული“.*)

ზანელო სიცოცხლემ სიმწარითა და ვალალებით!
 ზამტყდარი გულით, სასო მიხდით, მოღლილი ხელით,
 შკანასკნელათ და მოვსულვარ შენთან მრისხანეთ
 მდინარეო, წყალო, მშფოთარო, რომ ჩემთ სატანტჯველთ
 მივცე წუთისა დახშოვება და დავიწყება
 და სიკვდილის წამს არ აღმოვთქვა მე შეჩვენება
 საყოველთაოთ კაცთა მტყუნთ და კაცთ მართალთა!..
 იხუვლე, წყალო, დააქანე კლდეთა პიტალთა
 შენი მშფოთარეთ აღქაფული, მძლავრი ტალღები,
 და სულით ღელვილს მომყარეთ თავპირს წინწყლები,
 რომ ოღნავ მაინც გამიგრილო გეენის ალი,
 ჩემს ტანჯულს გულში შეუწყვეტლივ მუდამ მტრიალი,—
 მისთვის კი არა, რომ მე კვალად დავრჩე ცოცხალი:
 მკვდრისთვის სიცოცხლე არის ყოვლად შეუძლებარი!
 მე სიკვდილს ველი, ვით სიმშვიდეს და განცხრომასა,
 და ვგონებ კიდევ, რომა ჰკითხო მილიონს მკვდარსა,
 იმათში ხუთმაც არ ინდომოს მკვდრეთით აღდგომა
 და ხელმეორეთ სიცოცხლისა გზისა გადგომა!..
 შენი დამხშომი ღელვარების მძლავრი ხმული
 და შეუწყვეტლივ პიტალთ კლდეთა ბრძოლა მედგრული
 შერ განაღვიძებს ჩემში სურვილს სიცოცხლისასა
 და ვერ აღაგზნებს მომკვდარს გულში ჩამქრალსა აღსა!
 მეტათ მწარეა ის ღღენი და სავალნი გზანი,
 რომელნიც სიყრმით მე წინ მედვა, ვითა საკანი;

*) ეს ტრაგედიაც დავკარგე სხვა ნაწერებთან ერთათ სამსახურისაგა-
 მო სხვა-და-სხვა ადგილებში გადასვლის დროს.

მარტო ბავშვობას თუ ვიგონებ სიამოვნებით,
 ისიც იმიტომ, რომ ვიყავი სავსე იმედით;
 და რა გამეხსნა თვალები და ვიცან ცხოვრება.
 მას აქეთ არის, არ მინახავს წუთს მოსვენება.
 ბარეშე კვნესა და ღმუილი კაცთა ტანჯვისა;
 კბილისა ღრქენა, და წამება ჯოჯოხეთისა.
 ცრემლი, ვალალი ჩაღშობილი და დაფარული
 იყო მოფენილ ჩემს გარეშე შეუწყვეტელი!
 ხალხი ხალხს ჰმუსრდა, კაცი - კაცსა, ძმა თავის ძმასა,
 შვილი — მამასა, მამა შვილსა და ცოლი -- ქმარსა,
 და ყველას ამათ ჯალათი ხმლით დასცქერდა თავსა.
 შევლა ამათში უფრო ჰკვნესდა და ვალალებდა
 სამშობლო მხარე, აკენიდანვე ცრემლების მღვრელი:
 ბოდება მწარე მშობელთ მათთა იმრგვლივ ჰფარავდა
 და მოთქმა ესე იყო გულშივ ჩაბრუნებული!..
 რა გულით კია და რა გრძნობით მე გამოვედი
 ცხოვრებაშია ცხოვრებისა საბრძოლველათა!?
 შითა ვულკანი გულით და გრძნობით ვღელავდი
 მს ღელვა გულის თვით ზეცასაც ბრძოლად ითხოვდა;
 იმედებიცა ჩემს ყმაწვილს გულს ტკბილად უღიმდა,
 ჩემსა ქადილსა და წადილსა გაამხნევებდა:
 თვალწინ მესახა ჩვენი აწმყო ფერხთ განართხული,
 მთლათ შემუსვრილი, მოსპობილი და დამარხული.
 მომავლის ბედი მზეებრ 'მუქსა ყველას მოჰფენდა,
 ქაცისა გული ამაყათ და იმედით სცემდა.
 აღარ ისმოდა არცა კვნესა, არც ჯაჭვთ ჩხარუნნი,
 არცა ტყვეობის და მონობის კბილთა ღრაქუნნი;
 დედანი ტკბილათ თავის შვილთა გულს ჩაიკრავდნენ,
 მათ სანატრელსა სიცოცხლესა დაჰლადებდნენ...
 წარხდა ყოველი!. რით ამიხდა ეს იმედები? --
 იმედნი იმედთ თან გასდევდნენ, ვითა სიზმრები:

ის კაცნი, რომელთ შენ გაგზარდეს, თვალნი აგიღსნეს,
 რომელთ ზედ გული ვითა კლდეზედ გემყარებოდა,
 იმ დიდსა საქმეს პირველ იმათ ზედ შეაფურახეს,
 და ბევრი მათში წინანდელს მტერს აწ მუხლს უყრიდა!..
 ქაღნი, რომელნიც შენ გვერდს გიდგენ, მხარში მოგდევდენ,
 პირველს ზარზედვე ზურგს გადრეკდენ, მტრისკენ გარბოდენ,
 და, ვით იუდა, ჩვენსა მტერსა პირში გვაძლევდენ,
 ჩვენსა სატანჯველს უსირცხვილოდ დაჰხარხარედენ!
 იგივე კაცნი, რომელთათვის ჩვენ თავს ვწირავდით,
 რომელთ გულისთვის არც სიცოცხლეს არც თავს ვზოგავდით,
 ბაუგებრათა შეჰყურებდენ ჩვენსა საქმესა
 და თავის მტრებსვე ჩვენ საკლავად აწვედენდენ ხელსა!
 როდეს წინ გვედო დიდი საქმე საბრძოლველათა,
 იქ წვრილ საქმეზედ ჯანსა ჩვენსა გვალევიებდენ:
 როს ჩვენ ვლელავდით კაცთ ცრემლით და სატანჯველითა,
 ჩვენთ მოძმენი ჩვენვე პირში შემოგვეცინოდენ...
 ჭეხასაც გასტეხავს ძმის ლალატი, მეგობართ გმობა,
 ძლდესაც გასცვეთავს მუდამ მოძმეთ უპირულობა!..
 შოველს საქმეში, შინ და გარეთ, შორს და ახლოსა
 მტრისა დიდება და დამცრობა შენი საქმისა -
 თვითონ რკინასა, თვით ფოლადსაც დასწევას, დაადნობს;
 და კაცის გული, ნუ თუ ყველას ამას არ იგრძნობს!..
 საწამლაივიით ყველა ესე გულსა მივლიდა
 და ჯანი ჩემი ლამპარივით ჩუმით ჰქრებოდა.
 ჰხედავდე, რომა შენი მტერი შენზედ იმარჯვებს
 იმავე ხელით, რომლისთვისც შენ სისხლი გდიოდეს!
 ეს ცეცხლი არის, ცეცხლზედ ცეცხლი, მოუნელეზი!..
 ვისთვისაც იბრძვი, შენვე გკლავენ მისი ხელები!;
 არსით ნუგეში! თვით შენს სახლშიც უნუგეშობა,
 უნუგეშობა, ცრემლები და მუდამ ყვედრება! .
 იქ კაცს სიმხნევე გულს ეძლევა, როდესაც ისა

თავის სახლშია მაინც ჰპოვებს განსვენებასა.
 როდესაც იგი თავის ცოლში, თავის შეილებში
 თავის მშობელსა დედასა და გამზრდელს მამაში
 ჰხედავს თვის ღელვის მოზარეს; თანამგრძობელსა,
 და განა ჩვენა ჩვენს სახლშია ეპოვებთ ამასა?!
 თვით სატრფოს გულსა და სატრფოსა ხვევნა-აღერსში,
 ვერ ჰპოვო შენა, მცირეც არის, ღელვის ნუგეში!..
 ჩვენშია ქალსა განა უცემს რისთვისმე გული?
 ბანა რამ საქმით არას იგი გატაცებული?
 იმას ცხოვრება მარტო უნდა შესაქცევრათა,
 შინა და გარეთ ის ქცეულა პირუტყვ-ძროხათა!..
 შეილით ნუგეში?! და აქ უფრო გწამლვის გული:
 შენ მას შთასწურო შენი გრძობა და შენი სული.
 შენ სანუგეშო მას შესწირო შენი სიცოცხლე,
 ბოლოს მასშიც კი დაინახო შენი მოსისხლე
 და მტრის გუნდშია შენზედ მახვილამოწდამილი!!.
 სუყოველ მხრითა ჩემი გული არს დამსხვრეული!..
 არა! გათავდა! მე სხცოცხლე აღარათ მიღირს:
 ის ჰღირს სიცოცხლეთ, ვინცა იბრძვის სიმარათლისათვის,
 მისაც არც გული და არც ხელი არ მოჰღალღია;
 მე კია ბრძოლა აღარაფრის არ შემოძლიან:
 არც ხელი მერჯის, აღარც ჯანი, მხოლოდ გული ჰკენეს;
 და გულის კენესა მეცა მწყლავს და სხვასაც გულს უხდენს...
 და აგერ მწარე ქლოშინი და მძიმე ხველოება
 მე გულს მაწვება და აღარა მაქვს შით მოსვენება!
 აი ნაყოფი უიმედო ცხარე ბრძოლისა:
 დამპალი ფილტვი და უძლური ბრძოლა გულისა!..
 მშვიდობით ყველავე: სანანურად არა რა მრჩება:
 სულ მწარე იყო ჩემი გზა და ჩემი ცხოვრება!
 მიგონებ მარტო ჩემს ბავშვობას, ჩემს ტკბილ აზრებსა,
 როს იყედებით აღვავესბდი ჩემს ყმაწვილს გულსა...

მშვიდობით ყველავ! და მშვიდობით, სამშობლო მთებო,
 ჩემი მღელვარე გულისა და გრძნობის აღზრდებო!
 თქვენი ბორცვები, ხშირნი ტყენი და კლდე-კაპანნი,
 თქვენი გულიდამ მოჩქეფარე მრისხანე წყალნი
 მშობელს ხალხს დადს ხანს ერთობასა შეუნახავდნენ...
 და ახლა თქვენც კი შეიცვალეთ: ხართ მტრის სადგური
 და მეგობრულათ მტერსა ჩვენსა გაუღეთ გული!..
 და შენც მშვიდობით მზეო მწველო, მზეო ცხოველო,
 შენ მაღლიდამა კაცთ ცხოვრებას თავს დამცქერელო,
 შენ, რომელიცა „სწორათა ჰფენ ყველას ნათელსა,
 შენ, რომელიცა აცხოველებ ყოველ ცხოველსა.
 მშვიდობით! და თუ რომ გაქვს ცნობა, მომაჴლის გრძნობა
 და თუ არა სჩანს მომაველშიც კაცთათვის შებება,
 ჩააქრე შენცა სამუდამოთ შუქები შენნი,
 და კაცთ სამუდამოთ ეს ცხოვრება მთლათ მოუსპვეი!..

15 ივლისს 1879 წ.

მ რ ი ს ხ ა შ ლ ა ვ ზ ე დ .

ნუ მოსთქვამთ აგრე მწუხარედ, ნუ ჰკენესით ვალალებითა.
ისინი მკვლარნიც ცოცხალან, ცოცხალან თავის ვენებითა!..

როდეს გარშემო ყოველი მოცული იყო ბნელითა,
როს გამარჯვებულს ბოროტსა ამკობდნენ ლალადებითა,
იგი ორი ყრმა ვაბედვით კაცთ თვის სიმართლეს შესძახდნენ,
ჯვარზედან განართხულებითავს მართალს საქმეს სწირავდნენ..
მწამნენ, გაჰქრენ, წავიდნენ არც ისმის მათი სახელი,
არც აღძრავს კაცთა მკრთალს გულსა მათ საქადილო საქმენი.
მაგრამ ისინი იმედით შესცქერდნენ თავის საქმესა,
ამაყად კისერს უშვერდნენ მტრის მახვილს, თვისას მბასვ-
რელსა...

ჩავიდნენ საფლავს და მათ თავს გარს ადგათ მტრისა გუნდები,
მათთა მოძმეთ კი, ტყვე ქმნილთა, ფეხთა ეყარათ ხუნდები..
არ გაჰყვა იმათს კუბოთა ხალხი, ცრემლისა მბრქვეველი
და მათს საფლავზედ არ ჰქუხდა სიტყვა, ზღვევისა მთხოველი!..
მხოლოდ ისმოდა ქვითინი ჩუმი დამწვართა მშობელთა ..
და .. განკიცხვა და სიცილი მათთა სისხლისა მწოველთა ..
მხოლოდ ისმოდა ქუხილი მღელღვარე წყლისა ჩქარისა
და ღრინანცელი მშფოთვარე, მრისხანე ქარაშხალისა. .
ჩავიდნენ საფლავს, მაგრამა . აქ დარჩნენ მათი ქალიღნი,
მით ნაბერწკალი, მათთა გულთ მოედვით მათნი წადიღნი.
ბავა ეამი და მათ სიტყვა ალაგზნებს ცეცხლსა ძლიერსა
და კიდით კიდეთ მოედვის ყოველს კაცს, ყოველსა ერსა.
მს გაუნათებს ქვეყანას მათს საქადილო საქმეთა,
აწნობებს გაღვიძებულს ერს მათთვის გვარცმულ ნაწამებთა;
აწნობს, რომ კაცთა შვებისთვის იმათ გასწირეს ცხოვრება,
რომ მათ და მათგვართ გმირებმა დაჰბადეს თავისუფლება!..

ნუ მოსთქვამთ აგრე მწუხარედ, ნუ ჰკენესით ვალაღე-
ბითა;

ისინი მკედარნიც ცოცხალან, ცოცხალან თავის ვენებითა!..

24 მაისი 1880 წ.

დედი ჩემის ნანა

მე რომ გაუჩნდი დედაჩემს,
 სწყევლიდა თავის ბედსაო,
 სწყევლიდა ძწარედ ქვიჯინით
 ჩემი გაჩენის დღესაო,
 სწყევლიდა . . თან ნორჩს გულზედა
 მასხამდა ცხარე ცრემლსაო,
 ნანად დამძახდა მკენესარედ
 ბუღსაკლავს მწარე ხმებსაო:

„შმანკოვ! ნდობის თვალითა
 შეჭხარი ნათელს მზესაო,
 არ იცი, რა დღე მოგელის
 უბედო დედის ძესაო!
 როგორ ვერ ავციდი შობიღვან
 ბენის ალს და ცეცხლსაო,
 სიკვდილამდისინ შენ უფრო
 სკიმავედე ჰაპანს ძნელსაო...
 ,რა რომ მოისვამ თავზედ ხელს,
 იცნობ ქვეყანას კრელსაო,
 ბაიცილობ მტერს და მოყვარეს,
 უცხოს და მეცნიერსაო;
 დასწყევლი შენსა გაჩენას,
 შენს გამზრდელს ძუძუ-რძესაო,
 მრავალჯერ სიკვდილისაკენ
 ნატვრით გაიწუდი ხელსაო

„მტერს ვერ გაუწევ მტრობასა,
 მოყვრობას — მოყვარესაო,
 შენი მოყვასი შენს სამტროდ
 შენს მკვლელს მოეხვეს ყელსაო,

უენი სისხლითა ჰკურნებდეს
 მის უკურნებელს სენსაო,
 უენი ტანჯვით და წამებით
 ბაუნათებდეს ბნელსაო ..

„სადაც დასთესავ მუფარახს,
 მოიმკი შხამს და გესლსაო,
 ვისაც შესწირავ სატრფოდ თავს,
 ბულში ჩაიხვევ გველსაო,
 მოგიწყველენ წრფელთა ზრახვათა,
 ბარს მოგიდებენ ცეცხლსაო
 და სიხარულით, ხარხარით
 ზედ მოითბობენ ხელსაო.

„სადაც მართალი გულითა
 შესძახი მართალს ხმებსაო,
 აწვდი საშველად ხელებსა
 ლაფში ჩაცვივნულს ძმებსაო,—
 იქ სიმართლისა მთრგუნველად
 შეხვდები მოკეთესაო...
 უენვე მტრად ხელში მიგცემენ
 თვისგნით დაღუპვილს ერსაო! .“

დაჰმღერდა ამ გულსაკლავს ხმებს
 თავის უსუსურს ძესაო,
 მოსთქვამდა, წინად ჰგლოვობდა
 ჩემსა მომავალს დღესაო,
 თან მხურვალეთა მიკრავდა
 თავის ძუძუს და მკერდსაო.
 მთანი აძლევდნენ გლოვით ბანს,
 ღრუბელნი ჰღვრიდნენ ცრემლსაო.

აჰა, ამიხდა სულ ყველა:
 ბზას ველარ უქცევ მტრებსაო;

მოყვასნი ჩემნი ჩემზედვე
ჰლესვენ ჟანგიანს ხმლებსაო,
იბანვენ ჩემსა სისხლშია
თავის ჩირქიანს ხელსაო,
ძმა ქვასა მესვრის, და სატრფო
ჩემს მტერს ეხვევა ყელსაო
31 დეკემბერს 1880 წ.

ა მ ა ო ს მ ე ბ ი .

დასცხერი, ჩემო კალამო, თავს რათ იტკივებ შრთელსაო!
დასცხერი, გულსა ნუ მიმღვრევ, გულს შხამით ნაწამებსაო.
შენი ძახილით ცოდვილთა ვერ დაჰკვეც ბრთებსა გრძელსაო:
მიდრე არს ოქროს ბომონი იშოვნის მლოცველებსაო.

შეხედ, აიმ ჩათუქესანს, დაბლა რომ იხრის ქედსაო:
ლოცულობს, ჰლაღადს, მუხლს უყრის თავის გუშინდელს
მტრებსაო!

ბუშინ ის შენზედ მალლათა შესძახდა შენსა ხმებსაო
და მრისხანებით ბოროტსა მოსთხოვდა მუქარებსაო.

მაგრამა იგი ზეცამა გონში ჩააგდო დღესაო:
ზეგარდმო თვალნი აუხსნა და... გვერდს აახლა მტერსაო!
ახლა მიხვდა, რომ ის გუშინ სქამდა თვის ქუდით ერთსაო,
და დღეს ის ზიზლით აფურთხებს გუშინდელს საქმეებსაო.

შეჰხედე აიმ იუდას, თავი რომ უგავს გველსაო!
მან გასცა თავის მოძღვარი და ხელში მისცა მტრებსაო,
თვით ბედნიერად ვეზირად მარჯვენით უზის ზევსსაო
და იმის გულისათვისა ქვეყანას ანთხევს გესლსაო.

შეჰხე იმ ენა როსკიპსა, ვის მოსდგომია გვერდსაო!
ბუშინ ის იმას თვის კალმით ჩამწარებდა დღესაო
ახლა ზეგარდმო ნათელი მასცა უნათებს ბნელსაო
და ძაღლისავით თვის მტერსა უსლანქავს ფეხის კვლებსაო!

შეჰხედე აიმ ჩოტლაკსა, ჰკუა-თხელს, ენა-გრძელსაო!
რა გამირულათა შესძახდა, ..ხმალი აიღეთ ხელსაო,
შევმუსროთ იგი ცოდვილნი. ვინ ბოროტს უდგმენ ფერსესაი.
შევმუსროთ ძირით ბოროტი, ბოლო მოუღოთ ბნელსაო!"

მაგრამ მანც აღლო აართვა მტრის გაკვლეულსა გზებ-
საო;
და ახლა ბნელის ნაყოფში ხარბათ მოურევს ხელსაო.

ახლა ის მიხვდა კარგათა, რომ ბნელი კაცს სწევს ბედსაო
 და გუშინდელსა სალოცავს ესერის წიხლს და ტლინკებსაო!
 შეჰხედე აბა აიმ ვირს, რა რიგ ზელს ტალახებსაო!
 რა რიგ ერთგულათ ეწევა თვის მტარვლის საპალნესაო!..
 ის იმას ემსახურება, ვინც ცემით სწყვეტავს წელსაო!..
 ბუშინ შენს საპალნეს სწევდა, სხვის საპალნეს სწევს დღესაო!..
 შეხედე!.. მაგრამ ვინ გითხრა... ვინღა მღერს, შენსა
 ხმებსაო!

შველა დაცინვით გიყურებს. „შეხედე იმ ხეპრესაო!
 აქამდის თავსაც ატყუებს, ატყუებს კიდევ სხვებსაო!
 აქამდის ისევ ხეპრულათ ადგია ხეპრე გზებსაო!“
 დასცხერი, ჩემო კალამო, თავს რათ იტკივებ მრთელსაო
 შენის ღალადით რაშათა ვერ აქცევ სახედრებსაო
 აღეკ და ქება დაუწყე, ვის ძალა ეპყრას ხელსაო,
 შეაქე ოქროს ქურუმნი—გაკმევენ ოქროს ქერსაო.
 ოქროს ტახტზედან დაგსვამენ, მოგცემენ ოქროს კვერ-
 თხსაო!

ოქროს ჩანგს ხელში მოგცემენ, გამღერენ ოქროს ხმებსაო,
 მოგცემენ ოქროს მელანსა და ოქროს ქალღღებსაო,
 და თვითონ ტვინის ადგილას ჩაგისხმენ ოქროებსაო!

1881 წ.

აზერ ჰმარხაჰინ ებრაელს

(თარგმანი)

აგერა ჰმარხვენ ებრაელს ნაცნობნი, ნათესავები
 თაგს დასტირიან, გულმდულრად სდით თვალთა ცრემლთა
 ღვარები

მოსთქვამენ კენესა ვალალში მკვდრის ჩინებულსა სახელსა,
 ამკობენ მისსა სიბრძნესა, მისს მაღალს კეთილს საქმესა.

შემდეგ სუყველამ დაუწყო ქვის სროლა მიცვალებულსა
 თითქო ყრილობდნენ ამითი მის ჯაერს, გულს ჩაყოლებულსა
 ზავკვირდი, ვკითხე: „რათ შერებით ძმანო ამგეარსა ამბავსა:
 რას ემართლებით, ქვას ესვრით კაცსა ბრძენსა და მართალსა?“

მათ მითხრეს: „ძველად ასრე გვაქვს ანდერძი მამა-პაპისა:
 სიცოცხლით ბრძენთა, მართალთა უძღვნიდნენ შესხმას პატივსა
 რა მოკვდებიან მაშინ კი ვესროდეთ ლოდსა და ქვასა,
 რათგან მოგვაკლეს თვის საქმეთ და თვისსა ბრძნულსა ზრახვასა.“

მე ვუთხარ: ძმანო, აბალე, სულ სხვა გექონია ჩვენ რჯული:
 სიცოცხლით ბრძენთ და მართალთა, — ძველად გვაქვს წესად
 დებული, —

შესვრით ქვასა და ტალახსა, ვკლავთ შიმშილით და წყურვილით
 როს მოვკლავთ, მაშინ შევამკობთ ყვავილებით და გვირგვინით.“

მგესლავთი

მოეცით გულსა მშვიდობა,
 მოეცით წუთის ერთისა .
 იქნება ითქვას სათქმელი,
 სიტყვა საქნელი ქვეყნისა
 იქნება, მოხდეს, უმოძღვროს
 ჭვეყანას ემცნოს მცნებანი,
 ბაიკვლნეს გზანი უვალნი,
 ბატყდეს კლდენი და კაპანნი.
 ნუ ჰმატებთ ზვირთსა ზვირთებსა,
 ბედისგნით მრისხნათ მოსეულს,
 ნუ სტეხავთ აზრსა აღძრულსა,
 ისრეც მცირეს და გაბნეულს.
 ნუ ჰგესლავთ, ნუ სწყლავთ მას, რაცა
 არ თქვენგან მოღებულთა,
 ნუ ჰკლავთ სიტყვასა სათქმელსა,
 რაც არა ჯერედ თქმულთა.
 ნუ სწირავთ პირადობასა
 სიტყვას, საქვეყნო საქმესა,
 ფეხ-ქვეშ მიწასა ნუ უთხრით
 ბულწრფელათ საქმის მზრახველსა.
 ნუ ჰბილწავთ, რაცა არ გესმით,
 ნუ ჰყრყენით აზრს ფქვენგნით უცნობსა,
 ნუ უთხრით რეგვნათ საძირკველს
 აზრსა ახალს და უცხოსა...

მეცით გულსა შუვილობა,
მეცით წუთის ერთისა...
იქნება ითქვას სათქმელი,
სიტყვა, საქნელი ქვეყნისა

1891 წ.



ქვეყნის ფარ-ხმალი.

ბრძოლის ველზე გამოვსულვარ
 ბურბუმელით შექურვილი,
 ლანტსა ვიქნევი ლიჭისას,
 თოფსა ვისვრი თვალ-ხუჭვილი.
 მყვირი, ვქეპავ, მტერს უძახი,
 მტერს დავეძებ დაუცხრომლად.
 მემალემა უკულმართი:
 მშინიან ჩემი მედგრად.
 მერჯის გული, მქავა ხელი:
 მსურს და მწყურის ცხარე ბრძოლა
 ვაი შენ ჩემო მკლავო მძლავრო,
 რომ გაგიფთხვა აგრე ყველა!..
 სად ხარ მტერო, გამო მტერო!
 თავის სოროს თავს რას ჰმალავ?..
 ჰნახე როგორ თავს ზარსა სცემ
 შველას, ჩემო გმირთა ძალავ!
 მსა ვარ და ესა მქვიან...
 ქვეყნის ფარ-ხმალს მეძახიან.
 მინცა ჰნახავს ჩემს საჭურველს
 ბულხეთქებით ველათ რბიან .
 რა ვიქნები, ნეტავი, რა, —
 მტრის ელდა და მტრისა ზარი —
 რომ არ მადგეს თავსა მღვეი,
 მფარველი და მეგობარი!..
 როს შევიძვრი, განვიზრახავ
 სულ შევმუსრო ზღვა და ხმელი,
 მდნავ კისერს ჯაჭვს ჩამიქერს,
 მიდუნდება გმირთა ხელი.

პრომეტეოსს

(ფრუგიდგან).

მწუხარედ ვუსმენ წამებასა
 და კენესას შენტა
 ძაცთა მცნებისთვის ღმერთთა
 ცეცხლის წარმტაცებელი.
 მწუხარედ გიმზერ უფსკრულს კიდულს
 ნაპრალთა კლდეთა
 შეუწყალებლათ მიჯაჭვულო
 და მიქედილო.
 ბუღს სისხლით მივსებს შენს ხელ-ფეხზედ
 მძიმე ბორკილი
 და შენს გმირს გულში სვავის კლანჭი
 მაგრად ჩაყრილი.
 ო! ზევესი იყო ღმერთი,
 ღმერთი მზღეველი,
 მის გულს ატკობდა შენი სისხლი
 და სატანჯველი ..
 მაგრამ შესდები ზღვეის მსხვერპლო
 წუთასა ერთსა,
 შესდებ ერთს წუთას და შეჭხედე
 სატანჯველს ჩემსა.
 არ წარმიტაცავს საღმრთო ცეცხლი
 მე ღმერთისთვისა,
 არ წარმიტაცავს: მე ის ღმერთმა
 თვით მიწყალობა,
 და მიბრძანა, რომ წარმოემლო
 კაცთა შორისა.

სადაც მკვიდრობენ სიბნელე და
 ტანჯვა-მონება.
 ბრძანა მოვფინო ამა ცეცხლით
 კაცთა ნათელი,
 და ჩამაბარა იგი წმინდა
 თვისი კანდელი:
 მელღებინა ჩაუქრობლად
 მქეროდა ხელში,
 მენათებინა კაცთათვის გზა
 უკუნო ბნელში. .
 არ მომიპარავს ღმერთისათვის
 მე ცეცხლი ისი
 მაგრამ შეჰხედე, რა დამიჯდა
 შეძენა მისი:
 მაჴი მივეცი ცხარე კრემლი,
 სისხლი მჩქეფარი,
 და ხარკათ მადევს გვენისა
 უშრეტი ალი,
 ტანჯვა, წამება, შეუწყვეტლივ
 კვნესა-ვალალი
 და შენსავით განა ერთი
 სვაფი მსისხარი
 მომვლინებია მე მტანჯველად
 გულის მგლეჯავად?
 ბანა ერთის მხრით მომსვეიან
 მგლეჯაფ-მგეჯნაფად!
 ათასთა სვაფთა, ათასობით
 ასპიტთა გველთა
 ჩემს წამებულს გულს ჩაუყრიათ
 ბრკყალი, კბილები,

სწიწკნიან, ჰგლეჯენ და ჰშხამავენ
იარათ ჩემთა . .
ო! პრომეტეოს, შეადარე
შენი წყლოულები
ჩემსა წყლოულებსა, ჩემს სატანჯველსა:
შენი წამება
ამ სატანჯველთან, ამა ცეცხლთან
დაგაფიწყდება

1894 წ.

გმირო გაჩნდი.

გმირო გაჩნდი, მღევო გმირო,
 გაჩნდი გადმოგვხედე თავსა.
 გადმოგვხედე, დაგვინახე
 შით უპყრივართ ბნელს და ჟამსა
 წახდა გული, წახდა სასო,
 შრი განართხული ჯვართა,
 ბეწვის ხიდზედ გასაყვანად
 ჩვენ მივყევართ ქონდრის კაცთა,
 შემოგვხედე ლილიპუტთა,
 შით დავქოჩრეთ ერთმანერთი,
 ჩვენი თავი გავიხადეთ
 სალოცავე ხატი, ღმერთი:
 ჩვენს ანგარს გულს ვანაცვალეთ
 მშობელი აღმზრდელი ერი,
 გახრწნალება მის გულს შეგვაქეს
 შითა ნიქი ზეციერი
 ზნე გარყვნილნი, ზნე გვემულნი
 ბეიპირებენ მოძღვრებასა,
 ჩირქიანი ხელით სთესენ
 თვის ზნესა და თვის მცნებასა;
 შოველს მაღალს აზრს და წადილს
 მძახიან ოცნებასა
 მხოლოდ ქუქყსა წუმპეს, ნაგავს,
 ლოკულობენ, სწირვენ თავსა
 შემოგვხედე ვით ვამაყობთ.
 მამა-პაპათ საფლავებსა,
 აკლდამაებს ჩავსცქერივართ:
 მკედრებში ვეძებთ სიცოცხლესა

რა განკიცხვით, რა კილვითა,
 საქოჩრემდის ტალახს ფლოლნი,
 ძვეყნის წალმა ბრუნვას ვწუნობთ,
 უმეცრებით შემუსრულნი

შემოგვხედე, ვითა შთაენტქეთ
 მამა-პაპათ სისხლი, ძვალი,
 შით უკიდებთ სამშობლოს ცეცხლს.
 და არ ძღება ჩვენი თვალი.
 შით ასპიტი უხამიანი
 შკამთ ჩვენთ შვილთა ხორცს და ძვლებსა,
 რა დიდებით მუცელს ვაყრით
 ბაუმადრათ ხვალის დღესა.

შემოგვხედე, ვით გველს ბუჩქში,
 მოგვეცემია ცეცხლი გარსა,
 ჯოჯოხეთის კუბრი, ნავთი
 დასაწველათ გვესხმის თავსა .
 კომღმა, ნისღმა, ბურმა, ჯანყმა
 დაგვიბნელეს მზის ნათელი.
 ცის მნათობათ მიგვაჩნია
 ბარს მომდგარი ცეცხლი მწველი.

აღარა სჩანს გზა და კვალი,
 წახდა, გაჰქრა გულს იმედი
 აღარ ვიცით რომელს ელქაჯს
 შეუპყრია ჩვენი ბედი
 ტვირთმა მძიმემ დაგვიხრა
 ძვესკნელისკენ თვალი, თავი,
 რა მოგველის, რას ვებწვეით
 აღარ არის დამნახავი.

არც გაკითხვა, არც ნუგეში,
 მნას გაზი ტვინს მუხრუქი,

ზული ათას დაღს დასმული ..
აღარ არის ძალა, გონი,
დაგვეკარგა მცნება სრული...
ზმირო გაჩნდი მღვეო გმირო,
ჰკურნე ჩვენთა სენთა წყლული:

15 ენკენისთვეს 1893 წ.

* * *

აღიძრა ერი ჩაგრული,
 ხელი მოჰკიდა მახვილსა,
 თვალეზზედ ხელი მოისვა,
 თავი აართო ღრმა ძილსა,
 ღვენილი, სისხლით დაკლილი,
 სამშობლო ქვეყნის მომთქმელი,
 მტერსა ეგონა უსულო,
 ცივს სამარეში დაფლული.

აგერ გაისმა უცებათ
 მტერზედან აშლის ძახილი,
 აგერ გავარდა თოფი და
 მალლად შემართეს მახვილი
 მართის ხმით, ერთის პირითა
 მტერზედ აშლილან ბრძოლადა,
 მკურავთა სისხლის მორევში
 შეჰმართეს ხელი მტარვალთა.

ხელი შეჰმართეს თვისთ მჩაგვრელთ,
 შეეხნენ მათსა წყლოლებსა,
 შეეხნენ მათთა ზღუდეთა
 ქაცთ სისხლით აგებულებსა .
 კვლავ გაიღვიძა გმირულმა
 სისხლმა, ძველადვე ქებულმა,
 კვლავ გაიღვიძა სიცოცხლემ
 მტრის ფეხ-ქვეშ მიძინებულმა.

აღიძრნენ ჰაიკის ძენი,
 აღანთეს სამღრთო ლამპარი,
 შესძახეს „ანუ სიკვდილი!
 ან ერი თავისუფალი!

ვანელების სიმღერა.

(სომხურიდამ).

ქმარა, ძმანო, კმარა; კმარა
 წამება და ტანჯვა ჩვენი
 ქმარა ესდენ მოთმინება,
 ვაჟკაცთათვის შესარცხვენი!
 ბვეყო ტანჯვა, გვეყო ცრემლი
 ძურთ-ოსმალთგან მოფენილი,
 ბვეყო ზილწვა, გვეყო ძარცვა,
 ბვეყო სისხლი, ზღვად დაღვრილი!

 აღიშალნეთ ვანელებო,
 მტერს დაუხვდეთ ბრძოლად წინა,
 შინც არ მოკვდეს ან არ მოჰკლას
 დაეკარგოს ზეცას ბინა!

 არა სცნობენ ჩვენად არას,
 არც ქირნახულოს, არც ჩვენს ოფლსა,
 არც ჩვენთ ქალწულთ, არცა ქმრიანთ,
 არცა ჩვენს შვილს, არცა ცოლსა.
 მათ სიცოცხლე ჩვენი მათთვის
 ხმლის მჰრელობის საცდელია,
 ძაღლი, მათი კარის ძაღლი
 მთელს ჩვენს ერსა ურჩვენია.

 აღიშალნეთ ვანელებო,
 მტერს დაუხვდეთ ბრძოლად წინა,
 შინც არ მოკვდეს, ან არ მოჰკლას,
 დაეკარგოს ზეცას ბინა!
 რით გვეჯობიან, რომ საკლავათ

ბვილესამენ თავზედ ხმაღსა!
 ბანა უნდა ტყის ნადირი
 ჰბატონებდეს კაცის თავსა?!
 ცოდნა, სწავლა, ხელოვნება
 ჩვენ გვიჭირავს და ჩვენია,
 ჩვენი თავი, მიწა-წყალი
 მტერს საკმელათ დარჩენია!!..

ავიშაღნეთ ვანელეზო,
 მტერს დაუხვდეთ ბრძოლად წინა,
 შინც არ მოკვდეს ან არ მოჰკლას,
 ღაეკარგოს ზეცას ბინა!

მხნედ დასდევგი გმირო ხალხო, —
 ნუ გეშინისთ არ ვართ მარტო, —
 არ დასტოვო შენი მიწა,
 შენც ქვეყნად არ გაიფანტო:
 მოგვხედამენ შორით ძმანი
 ჩვენთვის ცხარე ცრემლს რომ ჰღვრიან
 თავის სარჩოს და სიცოცხლეს
 ჩვენთან ერთათ გასწირვიან.

ავიშაღნეთ ვანელეზო
 მტერს დაუხვდეთ ბრძოლად წინა
 შინც არ მოკვდეს ან არ მოჰკლას
 ღაეკარგოს ზეცას ბინა!

1896 წ. გორი.

ხალხური ლექსები

(შეკრებილი)

1.

გაგონილი ქორე-დეპარისაგან.

ჭრელია, კრელი წუთისოფელი
 ტალღებით სავსე, მიუღვამელი:
 ნამუსიანი შრომითა კვდება,
 უნამუსოსა რჩება ყოველი.

2.

აღაზანსა და იორსა დავყოფ პირსა და ხლუპს ვუზამ,
 ნეკით შვილდ-პოძალს მოვზიდავ, მაღლა ცას ვკრავ და ფშენიტს
 ვუზამ,
 ძვეყანას პანლურს ამოვკრავ, დავსვამ ყალბს და თავს ძირს
 ვუზამ,
 შაჟი ვარ ამის მომქმედი, ქალო შენს ქმარსა რას ვუზამ?! —
 „შაჟი თუ იყავ, სად იყავ, როს არ ვიყავი ქმროსანი?
 ქმარი თავს მაღვას მდევ გმირი, ლაღსრული მოლაშქროსანი:
 აღგება ჩაჩქანს ჩაიცვამს, გამოვა ქარქაშოსანი:
 შენითანას ათასს თავს მოჰკვეთს ტიტველა პერანგოსანი!

3.

შაჟაკს რას გამოადგება
 სოფელს მშვენება თავისა,
 უნდა ხმაღს აქრევიებდეს,
 იმედი ჰქონდეს მკლავისა.

4.

ჩვენი ბატონი ირაკლი
 მრთი პატარა კახია:
 ჩაიცვა ჯაჭვის პერანგი,
 ხელი გაჰკრა და გახია.

5.

ძაცო დარდას თავს ნუ მისცემ,
 ბუღს ჟანგი მოეკიდება,
 წაგიღებს საფიქრებელი
 და ცეცხლად მოეკიდება.

6.

წუთისოფლის სტუმარნი ვართ,
 ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
 აეს ავად მოიხსენებენ,
 ძარგს კარგი საქმე დარჩება

7.

მრთი უბრალო კინტოსაგან ეკსპრომტათ თქმული, რო-
 დესაც გორში ვმარხავდით მასო ლეკანოზოვს
 მინდორი აჰყვავებულა, აგერ მაისიც გვეწვევა.
 ძართველო ხალხო, ობოლო, შენ ბედი როდის გეხწვევა?

8.

იმერეთი დამივლია,
 ძართლი შემიჯერებია,
 არ მინახავს შენისთანა:

ცად მზე შეგიჩერებია,
წამწამსა და წამწამს შუა
ბალი გაგიშენებია,
შიგ სურვილი დაგიტეხავს
ქაცი მიგიყენებია.

9

ძველი ლექსი.

არა ჰშვენის ბუხს ქორობა,
თავეს კატობა, თხას ლომობა.
ღორს გვირგვინი დათვს პიზონი,
ვირს საკრავთა ხელთა ჰყრობა.

10.

გაგონილი თბილისში სომეხი მოქალაქისაგან.

ჰმართებს ბრძენსა სულგრძელება,
ბუღოსა ჟანგი არ მოიცხოს,
როს სოფელმან შეამჭირვნოს,
ისწავოს, და არა ჰკიცხოს
არ ბრძენია, ვინცა კირსა
შალალეებს და ვაგლახ—ვიშობს;
ჰირსა უკან ლხინი დასდევს.
თუ ბრძენია, მაშ რას შიშობს!

ბალიჯილი გლეხის იასე ბერიძისაგან, რომელიც არის 90 წლის
კაცი, გაგონილი ლექსი.

ბარჯილობასა მოჰქონდა
საწუთრო დაულეველი;
მცონარსა კაცსა თან დასდევს
შბედურება ყოველი.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

გვერდ

1	ჩემს მეგობარს	—	—	—	3
2	პასუხი	—	—	—	4
3	მუძღვნი ძრისტეფორე მამაცაშვილს				5
4	ბანსჯა	—	—	—	7
5	პროგრესი	—	—	—	11
6	* * ბარბელიდან	—	—	—	13
7	ნეკრასოვიდამ	—	—	—	14
8	სია	—	—	—	15
9	I ბაირონიდამ	—	—	—	18
10	ბერანჯიდამ	—	—	—	20
11	მესამე ხმა პოემიდამ		—	—	23
12	სერბიული მოტივები		—	—	24
13	სიმღერა ბედნიერისა		—	—	27
14	პოემიდამ საპყრობილე		—	—	29
15	ნეტარ არიან		—	—	30
16	საშინელი ამბავი	—	—	—	32
17	ღიღი საქმე	—	—	—	33
18	ფიქრები საპარადო მისაველთან		—	—	35
19	უნგრული სიმღერა		—	—	41
20	პარიჟი	—	—	—	46
21	ღალადისი	—	—	—	49
22	პოემიდამ საპყრობილე		—	—	50
23	საერთაშორისო	—	—	—	61
24	რას მატყუებთ	—	—	—	63
25	მეგობარს	—	—	—	65
26	პირი და ცხენი	—	—	—	66
27	ქინტოური სიმღერა		—	—	69

				გვერდ.
28	სონეტი	—	—	71
29	ტენისინილამ	—	—	72
30	ნაბერწკალი	—	—	73
31	* * * აბა რა დაჰხოცოთ მაგათა	—	—	74
32	ღარიბათ მორთული და მდიდრათ გამ- წყობილი	—	—	76
33	ჰეინელამ	—	—	83
34	ბარიბალდის	--	—	84
35	ვედრება	—	—	85
36	პასუხი	—	—	87
37	ბრძოლა	--	—	89
38	მრი ძალა	—	—	90
39	თარგმანი	—	—	92
40	ჩემს სანეტაროს	—	—	94
41	ბაყაყებისაგან მეფის თხოვნა	—	—	96
42	ბატები	—	--	101
43	მგელი და ბატკანი	—	—	104
44	შვავი და მელა	—	—	108
45	მელა და ყურძენი	--	—	111
46	მწამეთ!	--	—	113
47	სიბნელე	—	—	115
48	ნეტამც რათ ვარ	—	—	117
49	ბმობა	—	—	119
50	მრის საფლავზედ	—	—	124
51	ღედიჩემის ნანა	—	—	126
52	აპაო ხმები	—	—	129
53	აგერ მარხავენ ებრაელს	—	—	131
54	მგესლავთ	--	—	132
55	ჰეეყნის ფარ-ხმალი	—	—	134
56	პრომეტეოს	—	—	135
57	ბმრო გაჩნდი	—	—	138
58	* * * აღიძრა ერი ჩაგრული	—	—	141
59	ვანელების სიმღერა	—	—	142
60	ხალხური ლექსები	—	—	144